დაბრუნოს მისი კეთილი განწყობა და მთლიანად ამგვარად თავის თავს. ვაჭი ხედავს, რომ სრული შეუსაბამობაა ამ ქალზე მის წარმოდგენასა და მას შორის. „იდეა, მისი დაბადება, სიკაცხლე და სიკვდილი“ გვიამბობს, როგორ დაიბადა ადამიანის თავში ახალი ბრწყინვალე, ზვირვასი იდეა, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მონაკვეთი, განსაზღვროს — კაცობრიობის მორალური ყოფაცქვევა. ეს იდეა, როგორც აფნა ზეცის თავიდან, ისე იწვა მაკედონთან მუღომი ადამიანის თავში და მას ქალის სახე ჰქონდა. მაგრამ მან თავისი პირდაპირობით, სიშიშვლით შეაშფოთა მეშინაური საზოგადოება. მას დაევეებინან, ხელთ იგდებენ, თავისი გეგმუ მართავენ. იდეა კი — თავისი ჭეშმარიტი აზრის აბეჯარი გაყალბებით შეწყუბუღული — ცდილობს დააღწიოს თავი ამ სამოსელს. ამას მისდევს სხვადასხვა პერიპეტეები — ციხეში ჩასმა, ვასამართლება, იმ მოხუცი მეცნიერის სამართალში მიცემა, რომელმაც იდეა წიგნში მოათავსა; შემდეგ მიწის მუშებთან მისვლა და მათ მიერ იდეის მოწოდებათა შეგება, შემდეგ კი სტამბაში შეატარა და იეიდან — დაბეჭდილი სახით გაგრეობება მიველ მსოფლიოში. მეშინაური კანონი ცდილობს ცუცხლს მისცეს ამ აკრძალული იდეის შემცველი წიგნები და აუტოდაფეს მართავს. მაგრამ იდეა ცუცხლისაგან აღდგა და ტელეგადაცემათა ყოველგვარი საშუალებით ყველანაირ მოგზაურობს, ყოველგვარ ზღუდეს ლახავს. დასასრულ — ამდენი განსაცდელის შემდეგ — იგი უბრუნდება თავის შემოქმედს და აღმოაჩენს, რომ მას უკვე ახალი იდეა მოსვლია თავში და ისიც კვლავ უნდა გადაისროლოს ქვეყნად. ქალიოვრაფების ამ სერიაში ისევე, როგორც სხვებშიც, იმდენი განსხვავებული დეტალია, რომ შეუძლებელია აქ ერთი რომელიმე გარკვეული იდეის „ჩასმა“. აქ მინიშნავალია იდეები საფრანგეთის რევოლუციური ქრისტიანობისა, სოციალიზმისა და სხვა იდეები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის დიდ პერიოდებს ახასიათებდა.

ამ სერიების დამახასიათებელია ადამიანის ცხოვრების (როგორც კერძოსი, ისე საზოგადოებრივის) დიდი ზოგადი საკითხების რთული გადაწყვეტა: ერთი მხრივ — ზოგადი პრობლემების ვადაწყვეტისადმი მისწრაფება; მეორე მხრივ — ცხოვრებაში ამ პრობლემათა ხორცშესხმის გზაზე დაბრუნებათა და სიძნელეთა ჩვენება.

თუ საგაზეთო ნახატებს მაზერელი მსობუქი და თართო ფუნჯით ასრულებდა და მხოლოდ ძირითად შუქრდილს გადმოსცემდა, სერიულ ილუსტრაციებში ის ეტებს მთელი კომპოზიციის გამაერთიანებელ განწყობილებას, შავისა და თეთრის ფართო ლაქების განლაგებას. ეს კარავს ჩანს ქალიოვრაფისზე, რომელიც მუშის დხეობის სცენას გამოხატავს. ლაკონურ, მკაფიოდ წასაიკითხ კომპოზიციას, რომელზეც შავ კედელთან მდგარი სიკვდილიანი ფიგურა გამოხატული, ჰკვეთს ძლიერი შუქი. დიდ სერიებში ეს ხერხი კიდევ უფრო განვითარებულია. ცალკეული კომპოზიციები აგებულია რიტმულად, შავისა და თეთრის მონაცვლეობა კომპოზიციის გადაწყვეტის ორიგინალური მომენტია.

შემდგომ წლებში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, მაზერელი დროდადრო აერთილებს ქალიოვრაფულად, ლითოგრაფიულად და ტუშით შესრულებული ნახატების კრებულების გამოცემას, რომლებშიც კვლავ ჩანს მისი დაკვირვებანი და განწყობილებანი, მისი აღ-



ფრანს მაზერელი „ქან-კრისტოფის“ ილუსტრაცია, 1925-27 წ. წ.

შფოთება და მრისხნევი განაჩენი ცალკეული საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თვით სახელწოდებებიც კი დამახასიათებელია: „გროტესკული ფილმი“, „ს. ხეები და გრიმასები“, „ქალაქი“, „დღი კალაქის სურათები“, „სიორენა“, „დედაქალაქი“ და სხვ. ამავე დროს მხატვარი ქმნის ილუსტრაციებს სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, მათ შორის, ასურათებს ბარბიუსის, ვერპარნის, მეტრლინკის, ტოლსტოის, როლანის, უელდის, მოპასანის, დე-კასტისათვის და სხვათა ნაწარმოებში.

1925 წელს, როგორც ჩანს, პირველად მაზერელი მო-



ფრანს მაზერელი „ქან-კრისტოფის“ ილუსტრაციები 1925-27 წ. წ.





ფრანს მახვრელი „უღუნაშვილები“ ილუსტრაცია

ნაწილებს გამოფენებზე ზეითთა და აკვარელით შესრულებული სურათებით, რომლებშიც მძიმე და მუქი ტონები მართობს — მუქი მწვანე, მუქი ლურჯი, ყავისფერი, მუქი ნაცრისფერი. სიუჟეტები უმთავრესად ქალაქის ნერვულ, დაძაბულ, კონტრასტებით სავსე ცხოვრებას ასახავს ან ბულონის ახლოს მუდამ მღვდელადრ ზღვის სანაპიროს,



ფრანს მახვრელი „უღუნაშვილები“ ილუსტრაციები

სადაც მხატვარი პერიოდულად ზაფხულის თვეებს ატარებდა.

მაზერელისთვის, როგორც მულმივად მიძიებული ტალანტისთვის, ტიპურია ის, რომ აკეთებდა თუჩინებს, კერამიკულ ნივთებს, მუშაობდა თეატრალურ მხატვრობაში, მოზაიკურ კომპოზიციებზე, დასასრულ, კინოსცენარულადაც კი.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების პირველ წლებში მაზერელის შემოქმედებაში კლავი ჩანს დაკვირვებები ევროპის ქალაქებზე, სადაც გაფხვებულია ჩაჯრა და უსამართლობა, მუდმივი ომი, ისევე, როგორც ომის წლებში ამას ნათლად მოწმობენ მისი ქსილოგრაფიებისა და ნახატების ცალკეული სურათები.

ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში 1926 წელს მაზერელი ომის შემდგომ წლებზე ასე წერს: „ცხოვრების სკოლა იზიდავდა ჩემს ყურადღებას; ჩემი ღრმა რწმენით, იგი არსად არ გველპარაკება ისე ცოცხლად, როგორც პარიზში. მაგრამ მე არ მაქვს არც დრო, არც განწყობილება დილხანს ვილაპარაკო ჩემს თავზე, ან ჩემი ნამუშევრების შესახებ, მათი შექმნის თარიღებზე, ჩემს მიერ განცდილ გველებზე, ჩემი ცხოვრების წყვილმანებზე, ჩემს თეორიებზე. — ვის არა აქვს დღეს თეორიები, იმედებსა და იდეებზე. მაგრამ მაინც უნდა დავუმატო, რომ ცოცხალ თუ გარდაკვლილ მხატვართა შორის, როგორც ფერმწერი და როგორც ადამიანი, ყველაზე უფრო მიყვარს ვან გოგი.“

ამ სიტყვებში, შეიძლება ითქვას, მთლიანად ჩანს მაზერელის, როგორც ადამიანისა და მხატვრის, არსი.

და მართლაც, მაზერელის გრაფიკულ სერიაში ძლიერად ვლინდება მისი ნათესაობა ვან გოგთან. ამ წლებში გრაფიკული სერია, სტეფან ცვაიჯის სამართლიანი შეფასებით, „მონუმენტურია, როგორც თანამედროვე დიდი ქალაქის — ყველა ვნებათა ამ პანდემონიუმის მნიშვნელოვანი მონუმენტი, მილიონობით ადამიანთა ბედით, ხალხთა მასების ფართო ნაკადით, გაკვირებისა და მძაღარი სიმძიდრის, უქონლობისა და გარყვნილების ტრადიკული კონტრასტებით. აქ არის ბოლიტიკური დემონსტრაციაც და დახვერტაც, სახრჩობელა და საბირაო აკოტიტაცია, ცათაბუკუნების არქიტექტურა და ფინანსიური მაგნატიზმი, ვაზუთების რეკლამურ-დეტექტიური და სენსაციური ხასიათი, ვარიეტე და რევიუ, თავაშვებულობა და ომის ინვალიდები, ქალიშვილის სუფთა პროფილი და უბედურ მეძაბთა ნაირნაირი ტიპები, ახალღმერთი და მოკრივე — ძველი ღმერთი — პრიმადონა, და ა. შ. და ა. შ.“

ცხოვრების სევდის მომგვრელი სურათების გვირდით, მაზერელისთვის ერთგვარი დასვენება იყო მხატვრულ ლიტერატურის დასურათებზე მუშაობა. ამ ნამუშევართა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ დიდ ციკლს, როგორც არის რომენ როლანის „ჟან-კრისტოფის“ ხუთტომიანი გამოცემა და მარლ დე-ვიკტორის „ულენშაიკლის“ ორი ტომი.

„ულენშაიკელი“ ეს ერთგული ეპოპეა, რომელშიც ასახულია ნიდერლანდების ბრძოლა ქსანელ დამპყრობლებთან და კათოლიკურ ინკვიზიციასთან. იუმორით და მიწვიერ ცხოვრების სიხალისით სავსე ამ ნაწარმოებმა



1926 წელს მაზერელის კალმით ადექვატური მრავალფეროვანი განსახიერება ჰპოვა. წიგნში 50 ილუსტრაციაა მთელი გვერდის ზომისა და ასზე მეტი მცირე ზომის ნახტი ტექსტში. დიდ ილუსტრაციებში მაზერელი გამოიყენებს უსაინფენლოვანეს მომენტებს, ან ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც ლირიკულად იტაცებდნენ მას და შთააღმებდნენ დასრულებული დიდი სურათის შექმნას. მცირე ზომის ილუსტრაციებში მხატვარი ზოგჯერ იმავე თემას ასახავს, რასაც დიდ გრაფიურებში, მაგრამ ყოველთვის ისეთივე მონდომებით, საინტერესოდ და ახლებურად ილუსტრაციას ამოცანას. ე. ი. ილუსტრაციების ზომა არაა გააფრევეტი. ილუსტრაციები ერთგვაროვნადაა შესრულებული ორსავე შემთხვევაში, მაგრამ ავტორი სხვადასხვაგვარობას ქმნის იმით, რომ სასახლის სკენებს სწევებს მუქ ტონებში, განსხვავებით ნიდერლანდურ ნახევრბათა ამხაველი ნათელი კომპოზიციებისაგან, თუ აღარაფერს ვიტყვით სოფლისა და ქალაქის მრავალრიცხოვან ხედვებზე, პეიზაჟებზე, რომლებიც მშითი გასხივოსნებულნი და ხალისიანია. დამაჯერებლადაა მოცემული აგრეთვე ღამისა და საღამოს სკენები, ფარნით განათებული ქუჩები და ტავერნები, ზამთრის პეიზაჟები...

მეორე ხერხი, რომელსაც ნაირფეროვანება შემაძქვს შესრულებაში და რომელიც გამოყენებულია ფურცლის ზომის ილუსტრაციებშიც და ტექსტში ჩართული ნახატებშიც, იმაში მდგომარეობს, რომ დახატულია თითო დიდი ფურცელი — ზოგჯერ მთელი ტანით არც კი, — და მისი სახის გამომეტყველება დაწერილობითაა დამუშავებული; ასეთია პირველი დიდი გრაფიურა — ახლად დაბადებული ტალ ულენშაიგელი, რომელსაც დედა ძუძუს აწოვებს. ამის საწინააღმდეგოდ, მრავალფეროვანი კომპოზიციებში, ფოტურები სხვადასხვა ზომისაა იმისდამხედვით, თუ რა ზომისაა კადრი, ან რამდენი ფიგურაა და როგორია მათი მოძრაობა. მთელი გვერდის ზომის, დიდ ილუსტრაციათა შორის, ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, გრაფიურა სარკმლიდან მსხლში სიოტკინითა და ნელვით, რომელიც ამაოდ ელოდებოდა ულენშაიგელს; მაზერელი აქ გვიჩვენებს, რომ საჩუკრიდან ისინი ხედავენ ქალაქს, ქუჩის ცხოვრებას. ან — ხუთი პრინციის თათბირი ბუხართან, რომელშიაც ულენშაიგელია დამალული; ან მხატვრებისკენ მოლაპარაკებისათვის მიმავალ ნილბოსანთა (ვიტომ ქორწილის მონაწილეა) გაგლა ესპანელთა ბანაზე; ან ავადყოფილ, მწილიარე ნელს მონახულება ღამისა და ტილის მიერ; ან — ბოლო ნაწილი — მკა,

შრომა და სიხარული თავისუფალ ქვეყანაში. რამდენიმე ამორჩეული ილუსტრაციით მთელი სერიის სიმდიდრის გადმოცემა შეუძლებელია, მით უფრო, რომ წიგნში, შეიძლება ითქვას, ბევრია წმინდა პეიზაჟი. ტყუილად კი არ ამბობდა მაზერელის ამ გრაფიკული ნაწარმოების შესახებ იგივე სტეფან ცვაიგი: «მისი მშვენიერება ყოველგვარ სიტყვებს აღემატება, ყოველი ახალი ფურცლის ნახვა სულ უფრო და უფრო ინტენსიურად განიშვებს ბედნიერებას, რადგან აქ იშვიათი რამ მოხდა, სახელობორ ის, რომ ილუსტრაცია და ტექსტი ისე შეუისხსობროცდნენ ერთმანეთს, როგორც ზოგჯერ სიმღერაში ხდება ხოლმე. მაღლობით გრძნობ: როგორც იქნა ელისე წიგნს, რომე-



ფრანს მაზერელი „ულენშაიგელის“ ილუსტრაცია

ლიც მარტო ამ ერთი სეზონისთვის კი არაა, როგორ ეს ახლა შემოვიდა წესად ამერიკულ ყაიდაზე (the book of the season), არამედ ჩვენი დროის ნაწარმოები, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია».

ფორმის მხრივ კიდევ უფრო მრავალფეროვნადაა გადაწყვეტილი მაზერელის მიერ ამოცანა აქან-კრისტოფში.




ფრანს მაზერელი

„ულენშაიგელის“ ილუსტრაციები



ყოახს ძაბუელაი გოაიელო ციკლიდა «მაიღან თეთრისაყენ» 1939 წ.

ფრანს მავრელი გრაიერა ციკლიან «იხორების ასაყევი», 1948 წ.



ნაწარმოების რთული და თავისებური ფორმის შესახებმისად, იგი, გარდა მთელი გვერდის ზომის დიდ გრაფიკურებისა და ტექსტში ჩართული მცირე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური, ილუსტრაციებისა, აკეთებს კიდევ პატარა ნახატებს ტექსტის არმიგზე და დიდ ბოლოსათვის, რომლებიც თითქმის აუკმებს ეპოპის მიმდ ნაწილებს. ეს ნახატები შეერულებულია სავანებოლ გამომუშავებული განსხვავებული მანერით: კარიკატა პაწაწკინტელა, მლიქვებულურად მოზრილი ფიგურები ჰერცოგის მუღლის ფიგურათას, რომელიც სააჯერო-ოთხჯერ სპარბოთა მათ, — ეს ხერხი სათახალო გადამუშავებით იმეორებს იმ ხერხს, რომელსაც შუასაუკუნეში იყენებდნენ ქტიტორთა გამოსახატავად. ეს გრაფიკურად თითქმის მხოლოდ ხაზებითაა ამოკეთილი, იგი სრულიად ღია ფერისაა, ძირითადი ილუსტრაციებისაგან განსხვავებით.

უეშველია, რომ «ვახ-კოითოვო» ცალკეულ ნაწილთა გავორებისას მავრელს ტექსტის აწყობასთან ჰქონდა კოხტაქტი, იმ მიზნით, რომ წიგნს მთლიანი, დასრულებული ახაითი ჰქონოდა. ამ ნაწარმოებში, რომელიც რამდენიმე ასეული გრაფიკისაგან შედგება, მავრელი ერთი მხრივ აკეთებს ჩვეული ჩაოყობილებული მანერით შესრულებულ მკაფიოდ მტყველ, გრაფიკული თვალსაზრისით შერულ გრაფიკებს, რომლებსაც მიაკანნი, ზოჯვერ კი ფორსალური, რიტული ურთიერთკაფირიც აქეთ და რომლებიც, საბოლოოდ, გარკვეულ სახეს ქნინან; მეორე მხრივ, იგი პოულობს წიგნის მთლიანი გავორებისთვის დამატებით აქცენტებსაც: ამიტომ გასაგებია, რომ თვით ამ გრანდიოზული ეპოპის ავტორმა ასე შეაყვანა მავრელის ილუსტრაციები: «მე სრული რწმენითა და სიხარულით ვახდებ მავრელს ჩემს სულიერ შვილებს. ამიერიდან მათი ბედის გადამაწვიებული ვარ. მე ვიცი, რა ბედიც არ უნდა ხვედეს წილად ლიტერატურულ ნაწარმოებს, თომავალში მათი სახე მინც იცოცლებს შთამომავლობის თვალში».

მავრელისა ნიქსა და შემოქმედებს, რომელიც იმ დროისთვის უკვე სავსებით გამოვლინდა, კარვად განსაზღვრავს მისი ეგობარი სტეფან ცვაიჯი. იგი მას აყენებს ჰენდებს, რუბებსის, უიტმებს, ტლასტროსა და მალზაყის გვერით და ჩვენს დროის ერთ-ერთ უღელეს ოსტატს უწოდებს მას... ასეთი სრულყოფილი ადამიანების ხვედრია. დაუსწრომელი, ყოველდღიური შემოქმედება მათთვის უცნობია შემოჭილობა და მოღუნება, შემოქმედებითი აზრის უეცარი აღმავრენა და დაცემა, რაც ახსიათობს იმ მხატვრებს, რომლებიც გუნების ნიხედვით ქმნიან. მათი შემოქმედი ენერჯია ჰკავს უწყვეტ და ოანბარ ნაკალად მომდინარე წყაროს». ცვაიჯი აღიშნავს მავრელის მხედველობითი მესხიერების განსაკუთრებულ სიმახილეს, რის წყალობითაც მხატვარი მარჯვად და მსუბუქად ქმნის თავის ყოველ ნაწარმოებს, ცვაიჯი ხაზგასმით ამბობს, რომ «მავრელი სულ ადვილად იკოიებს ნებისმიერ მოძრაობას — მტაცებლის ნახტომს, ყაყუყ შემდგარ ცხენს, მატარებლის კლაკნილს მოსახვეში, სიხარულისა და მწუხარების გამოქცევილებს ადამიანის სახეზე». მართლაც, ისეთ გრაფიკურებში, როგორიცაა ხარხანსებერ კიხეზე ჩამომავალი კატა, ან ვაგონში ერთიმეორის ვერდით მსხდარნი ქალი და მამაკაცი, აღმუღლილია ისეთი მოძრაობა და განწყობილება, რომელიც მხოლოდ წამიერად გამოკრთება და რომელთა გადმოცემაში მხოლოდ მხატვრის განსაკუთრებულ ნიჭს შეუძლია.

სტეფან ცვაიჯის აზრით, «მავრელის ნახატების ძალა არის არა მისი მანერის თავისებურებაში, არამედ არჩევულეზობრივად ფართო ხედვაში, რაც მხატვრის ტლანტის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. იგი საოკრად შეზამებულია ჩველებრივ ყოველ უზარალოებასთან — მშრომელი ადამიანის მომთმენ და ბეჯით შრომისთან... «მან უკვე ათითასამდე ნახატი და გრაფიკურა შექმნა. მიუხედავად ასეთი უმაგალითო პროდუქტიულობისა, არ არის იმის საფრთხე, რომ მისი შემოქმედებითი ენერჯია ოდესმე

დაილოს, ვინაიდან მისი მხედველობითი შესიერების მაჩაი ამოწურავია, როგორც თვით საპყარო“.

მართლაც, ცვაივის ამ სტრიქონების დაწერიდან 35 წლის შემდეგ, მართლდება ეს წინასწარმატებლება. მხატვის შემოქმედებითი ეხერგია წლების მანძილზე არ გაარჩიებულა ისევე, როგორც წყაროს თანხარზომიერი ხაყლი. მისი კომპოზიცია ისევე მტკიცედ და თავისუფლად იქმნება, ხასიათდება დამაფრებლობით, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრელი დღემდე სამ ნაწარმოებად ქმნის.


თუ როგორ სხვადასხვაგვარად ასრულებს მხატვარი გრავიურებს ხეზე, ამას მოწმობენ მის მიერ ილუსტრირებულ ნაწარმოებთა ავტორების პორტრეტები. 1921 წელს შესრულებული ანრი ბარბუსის პორტრეტი მოცემულია პროფილში, ხაზგასმულია ხასიათი მწერლისა, რომელიც ურადლებით შორს იმზირება. სახე ფარავს მიუღ კადრს, მის ირგვლივ ხალხის მოძრაგი, მღელვარე ტალღა და ცეცხლის მითროლავი ენები, ცაში კი გზისგამკვლევი ხუთქიმიანი ვარსკვლავები. ბარბუსის სახე შესრულებულია ძლიერი, კუთხოვანი ჩრდილებით, ხოლო თეთრი და შავი სინარტყების უცნაური შეხამებით სავსებით დამაჯერებლადაა გადმოცემული მწერლის ჯიუტი, აწეწილი თმები.

ტუშით შესრულებული პორტრეტი რომენ როლანისა კვალდეს მწერლის საერთო იერს. როლანი მაგიდასთან ზის და მუშაობს. ნახატი მსუბუქი მტრიხებით გამოცეის ტიპურ პოზას, რომელიც ჩვენთვის ბეგრი ფოტოდანაა ცნობილი. მაგიდაზე დაყრდნობილი დაძაბული ხელები, ფხვი ფხვზე გადაღებული, უბრალოდ, სილუეტურად მოცემული ფიგურა ცოცხლად წარმოგვიდგენს მწერალს.

სხვაგვარად ხატავს მხატვრელი ლევ ტოლსტოის პორტრეტს, რომელიც მისთვის მხოლოდ ფოტოდანაა ცნობილი. მთლიან შავ ფონზე, ყოველგვარი მოდელირების გარეშე, მოცემულია თავი ანფასში პატარა განმეგრეტი თვალბით, სქელი წარბებითა და გრძელი წვერით. ნახატის მიზნალური საშუალებებით მაქსიმალური ეფექტითაა გადმოცემული დიდი მწერლის ფსიქოლოგიური იერი.

იმევე ხერხით, რომლითაც შესრულებულია ტოლსტოის პორტრეტი, — მიელი ფიგურის ძუნწი გმოკლიებით ერთიან შავ ფონზე — მხატვრელმა 1930 წელს იგ დასურათა, მგონი, ერთადერთი გრავიურით — ფრანსუა ვიოის „დიდი ანდერძი“. სიბნელეში იხატება ფეხზე მდგომი მწუხარე მამაკაცი, რომელიც ძველებურად ბატის ფრთით წერს გრძელ ქარტიანზე. იგი თითქოს კედელს მიყრდნობა და მთლიანად ამ ანდერძის წერიტთაა გატაცებული. თურთ სინარტყების ცალკეული, მკვეთრად განათებული ნაწილები გარემოს სიმაჯეს ერთვის. მხოლოდ აქ-იქ წვრილი წყვეტილი თეთრი ხაზით, დამატებითაა მოცემული ფიგურის კონტური.

1935—1936 წლებში მხატვრელი ეწვია საბჭოთა კავშირს. ჩვენში იგი ბევრს მოგზაურობდა, ვოლგასაც ესტუმრა ასტრახანის მახლობლად, იყო ბათუმში. დიდი ურადლებით აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას, დაინტერესდა ბავშვების ბელოვებით და აღიარებდა, რომ „კარგი იყო შესაძლებლობა ქონოდა აერჩია თორმეტამდე მოწადე და ემუშავა მათთან. მე ვისურვებდი, რომ თვითიველი მათგანი მისი ტექნიკური და იდეური მიდრეკილებების მიხედვით გამომეწერეთათა“. სწორედ ასე მუშაობდა იგი იმ ხანებში პარიზელ მუშებთან. საბჭოთა კავშირში მხატვარმა დაწერა რამდენიმე სურათი ზეთით: ლენინის მავხოლეუმი, ვოლგა, პეიზაჟები, გააკეთა ი. ბეხერის წიგნის „უცნობი ჯარისკაცის დაბრუნების“ ილუსტრაციები. მან ღირსეულად შეაფასა სოციალისტური კულტურის ნაციონალური ფორმები და, როგორც ჩანს, ამის შემდეგ შექმნა ნ მ ნახატი, რომელშიც ასახა გახრწნის გზაზე დამდგარი კაპიტალისტური ქალაქი. ამ ფურცლებში, რო-



ფრანს მხატვრელი ლევ ტოლსტოის პორტრეტი, 1930

ფრანს მხატვრელი გრავიურა ცოლადან „სიბუბეკა“ 1948 წ.





ფრანს მახერელი ნახატი «ქანკისიტოსათვის»

მელიც «დედაქალაქის» სახელწოდებას ატარებს, არის სარკასტული კომპოზიციები ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე.

ამ დროისათვის მაზერელის გზა, რომელიც ბირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწახა, გზა აღდგომაშია, თავისუფლების მკაფიო გაგებისა (რომენ როლანის სიტყვებით რომ ვთქვათ), უკვე სასვებით ჩამოყალიბდა.

მაზერელის სიტყვით, მხატვრის ადგილი ახალი სისტემისათვის მებრძოლთა ბირველ რიგებშია, სისტემისა, რომელიც გამორიცხავს ომს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას მხატვარმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ამ სამყაროს შესაფერ დიდ ხელოვნებას მიაღწევს მაშინ, როცა დაეყრდნობა ასახვის საშუალებათა სილამაზეს, რომ ამ ბირობებში მისი შემოქმედება იქნება ზიძვის მიმცემი, რასაც შექმლება შესძარს ადამიანის გული. სტეფან ცეკაიგის სიტყვებით, არ არის რა პოლიტიკოსი, ე. ი. თავისი ბუნებით აქტიური მებრძოლი და პოლიტიკური მოღვაწე, მაზერელი სოციალისტური მორალისა და მსოფლმხედველობის ნამდვილი წარმომადგენელია და ამ პოზიციებიდან გვიჩვენებს მის გარემომცველ ცხოვრებას თავის გრავირებასა და ნახატებში. ხოლო მისი მოწაფეები ზარბრიოქეში, სადაც იგი 1947 წლიდან ასწავლის, მასთან ერთად იწილავენ არა მარტო ხელოვნების, არამედ საზოგადოებრივისა და უბრალო საყოფაცხოვრებო ბრობლებებს.

მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, მაზერელი ქმნის 57 სტილოგრაფიისაგან შემდგარი ციკლს, რომელიც შვეიცარიამში, ციურიხში გამოიცა და ეწოდება «შვიდან თეთრისაკენ». მას წამმდვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიც ფორმულირებულია მისი პოზიცია, როგორც მხატვრისა, რომელიც იბრძვის აბსტრაქტული ხელოვნების ყოველგვარი სახეობისა და ავტორთა სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვის წინააღმდეგ, მოითხოვს გამოხატვის საშუალებათა სილამაზის გამოყენებას. ათეული წლების მანძილზე მთელი მისი შემოქმედება ნათელი დადასტურებაა ამ სიტყვებისა. ხალისიან ცხოვრებასა და კოლექტიურ შრომებზე ნათელი ოქენება მან გამოატარა მეორე მსოფლიო ომის ბნელი წლების შემდგომ,

როცა, სხვათა შორის, დაიღუპა მისი თითქმის ყველა ადრინდელი ნამუშევარი.

ციკლი «შვიდან თეთრისაკენ» წარმოადგენს ფორმის მხრივ ერთგვაროვანად ჩაფიქრებულ, ნახატის მხრივ დამთავრებულ გრავირებს, რომლებიც აკრებულია გაზარებულიად ამოკეცილი ძუნწ თეთრ ხაზებზე. უკვე ბირველი ფურცელი მელური ტყის ბუნქანარში ჩამდგარი საილოს თავის გამობატლებით, იძლევა ამ ტონს. ფურცელი კი, რომელზეც გამოხატულია ქუჩის კუთხეში მდგომი ორი მათხვარი და შორს სინათლის რეკლამისკენ მისწრაფებული ბრბო, კიდევ უფრო ავლენს ამ თავისებურ ხეგანს. მთელი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ დამაჯერებელ ოპტიმისტურ ტონს კარვად ავლენს ახალგაზრდობის შეხმატბილებული მუშაობის ამსახველი ფურცელი, რომელიც რტმულადაა შესრულებული, და ციკლის დამამთავრებელი ნახატი — მომავლისაკენ ხალისით მიმავალი ახალგაზრდა წყვილი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მაზერელის შემოქმედება კვლავ მისკენა მთლიანად მიმართული. მაგრამ ახლა მის ნაწარმოებებში არ არის აღფთოება, გამკიცხავი ტონი, შეფთოებული მოწოდება, არ არის აქტიური ბრძოლა ომის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო ახალგაზრდობის წლებში, თუმცა მხატვარი თავისი ხასიათით არც მაშინ იყო აქტიური პოლიტიკური მებრძოლი. ახლა ომისადმი მიძღვნილი ციკლები სრულიად სხვა ხასიათს ატარებენ და მთლიანად უბასულებენ მისი ფსიქიკის წყობას. უკვე ამ ციკლთა სახელწოდება სხვაგვარი ენით, დაკვირვებისა და დავიქრების ენით, ლაპარაკობს: «სიკვილის ცეკვა» (შესრულებულია 1941 წ., 25 ნახატისაგან შედგება), «ბედი» 1943 წლისა, ადამიანთა ბედი და მათი შედგება 1939-1942 წლებში, 44 ნახატი). აქ ჩანენენია ადამიანთა ცხოვრების სურათები, მათი ბედი ზურგში თუ ფრონტზე, ამ სერიის დასკვნითი ნახატი გამოხატავს ქალაქის ნანგრევებს, ერთ-ერთი დანგრეული შენობიდან ამოწურულია ხელი სოლდარობის ალმით, ხოლო მეორე შენობიდან მას საბასუხო სალამს აძლევს მეორე ხელი.



ფრანს მახერელი
«დღე ქალაქის
სურათები» 1923

ასევე სხვა ციკლები — „დედამიწა სატურნის ნიშნით“ (20 ნახატი), ან „დაიხსოვე“ (20 ნახატი) შესრულებულია 1944-1945 წლებში. დაახასიათებელია, რომ ყველა ეს სერია-ნახატი მხატვრის მიმდევრობით და არა გრაფიურებში განხორციელებული მხატვრული შთაგონება. როგორც კი დაითავრდა ომი და დაიწყო შვედიბოიანი ცხოვრება, მანერელს, რომელიც ომის დროს სამხრეთ საფრანგეთში ცხოვრობდა ბორდოს მახლობლად, ახალი თემები და ახალი იმედები შთაგონებენ. 1948 წელს პოეტის პოემაზე ქმნის: „ცხოვრების ასაკები“, „სიტყაბუკე“ შედგება გრაფიურებისაგან ისევე, როგორც მის მიერ ილუსტრირებული მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები. ორივე ეს სერია გამსჭვალულია კაცობრიობისადმი და მისი ნათელი მომავლისადმი რწმენით. ჩვენს წინ იშლება ცოდნას დაწვავებულია სურათები, მეცადინეობა სკოლაში, კითხვა, კოლექტიური შრომა, ახალგაზრდა ოჯახის ხალისიანი ცხოვრება, ბავშვების აღზრდა და რიტმული შრომა. „სიტყაბუკე“ ტომას მანის შესავლით გამოიცა. მანი ასეთი სიტყვებით აკეთებს დასკვნას: „ჩვენ მოვულოდებთ თქვენ იმედი იქონიო“. ამ გრაფიურებს მანერელი ასრულებს მკაფიო და ფართო შავი ხაზებით გაშვებული ნახატებით, ხერხით, რომელიც მან შეიმუშავა ციკლი „ოეთრიდან შვისაკენ“, მაგრამ უკვე საწინააღმ-



ფრანს მანერელი „ღლი ქალაქის სურათები“ 1923 წ.

ფრანს მანერელი რომენ ჩოლანი. 1921 წ.



დეგო აზრით. მოყვანილი ილუსტრაცია გვიხატავს ახალგაზრდობის სასიხარულო მომავალს, აღსაცეს რთული და პროდუქციული შრომით.

მაგრამ გაციდა მხოლოდ რამდენიმე წელი და მხატვრის ფიზიკა გონებამ და განმეგრეტმა თვალმა დაიანახა, რომ კაცობრიობას ახალი უბედურება ემუქრება. 1953 და 1954 წელს გამოვიდა ტუმით შესრულებული მისი ნახატების ორი სერია, რომელსაც არ გავცნობივართ, მაგრამ რომელთა შესახებ მეგრემტყველურად ლაპარაკობენ თვით ციკლების სახელწოდებები. „ჩვენი დროის აპოკალიპსისი“ და „აპოკალიპსური მხედრები“. ეს სახელწოდებები აშკარად ჩაგონებულია მისთვის კარგად ცნობილი მის გრაფიურებით „აპოკალიპსისით“, რომელთა ავტორია წინააღმდეგობით სახსე ეპოქაში მცხოვრები მადიებული მხატვრის აღზრეხტ დიურერი.

ეს ნარკვევი მანერელზე და მის გრაფიკაზე მინდა დავამთავრო ზემოთ არაერთხელ ციტირებული ცვაივის სიტყვებით: „მანერელი ჩემთვის არის შეუდარებელი ძალის განახიერება, თვით სამყაროს ძალისა მისი დაუსრულებელი ცხოვრებით და მომწიფებული, შემართული ვაკაკობით. მის გრაფიურებში იგრძნობა კოსმოსის სუნთქვა... ის კეთილისმსურველია, როგორც ყველაფერი ბუნებრივი, ამაღლებული, როგორც ნამდვილი მხატვარი, როგორც ადამიანი, რომელიც მოწოდებულია გაამხნევოს, შთაგონოს და გაახაროს სხვა ადამიანები“.



ალექსი ცხომელიძე

საციკო ხელოვნების უხუცესი ოსტატი

(ალექსი ცხომელიძის მოღვაწეობის 60 წლისთავთან
დაკავშირებით)

ვახტანგ კობახიძე-კობელი



ხრა-ათი წლის ბიჭუნა იქნებოდა ალექსი ცხომელიძე, როცა პირველად ნახა საციკო წარმოდგენა. ეს იყო ბაქოში, 1897 წელს. ალექსის მამა, ბათუმის მკვიდრი გიორგი ცხომელიძე სწორედ ამ წელს გადავიდა ბაქოში სამუშაოდ, გადავიდა იმიტომ, რომ ბათუმის მანთაშევის ქარხანაში მეთუნე ქვისტატის ხელფასით ძალიან უჭირდა ცოლ-შვილის რჩენა. ბაქოს ნავთისმრეწველებს კი იმხანად მუშახელი სჭირდებოდათ და გიორგიც, ერთი შეხედვით, თითქმის უფრო ხელსაყრელ სამუშაოზე მოეწყო ზალახანაში.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ხელფასს აქ მეტს იღებდა, ორ ოჯახად ცხოვრებამ უფრო გააუარესა მისი ცოლ-შვილის მდგომარეობა. სახელოსნო სკოლის მოსწავლე პატარა ალექსი იძულებული გახდა მამის გზას დაედგომოდა. არ დაელოდა რა შშობლების ნებართვას, თვითონაც გაემგზავრა ბაქოს, რათა საშუაო ეშოვა და ოჯახს დახმარებოდა.

მოულოდნელად ჩამოსული შვილი გიორგიმ მოტოვილოვის ქარხანაში მოაწყო შეგირდად. ალექსი სატყეს გულმოდგინედ მოეკიდა, მალე აითვისა ხარატის ხელოვნება და თანდათან გაიწაფა საქმეში.

იმხანად ზალახანაში საციკო წარმოდგენები იმართებოდა. ალექსი იმდენად გაიტაცა ცირკმა, რომ თითქმის ყოველდღე ესწრებოდა წარმოდგენებს. ბოლოს გაიცნო ცირკის პატრონის შვილი პავლე ხარინი და თხოვა ესწავლებინა ერთ-ერთი საციკო ნომერი.

ახალგაზრდა მსახიობი ხარინი საკმაოდ დაუფლებული იყო საციკო ხელოვნებას. სიამოვნებით მიიღო ალექსის თხოვნა და დაიწყო მასთან მეცადინეობა; ასწავლიდა ხტომას, ცხენოსნობას, მუშაითობას და სხვ. ამ მეცადინეობას ცირკის დირექტორი ხარინი შეუმჩნევლად თვალყურს ადევნებდა. გავიდა ხანი, ხარინი დარწმუნდა ცხომელიძის წარმატებაში, ერთხელ მიუახლოვდა მას, ხელი დაკრა და ღიმილით უთხრა:

— ჭაბუკო, თქვენგან კარგი მსახიობი გამოვა!

„ამ შექებამ ფრთები შემასხა და მაშინვე გადავწყვიტე გაეყოლოდი ცირკს მამის დაუკითხავად, რადგან ვიცი, რომ ის არ მომცემდა ამის ნებას“, — მოგვიხსრობს ცხომელიძე.

1902 — 1903 წელს ხარინისა და ესიკოვსკის ცირკი გაემგზავრა ქ. კულთუხს, ირანის საზღვრის მახლობლად. შემდეგ კი მიეღო რიგ ადგილებში — თემერხანშურასა და აღდამში, განჯაში, კახეთსა და ზაქათალაში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

ალ. ცხომელიძემ მოწაფედ მუშაობდა და თვიურად 25 მანეთს იღებდა. ცნობილია, თუ როგორ ექსპლოატაციის უწყევდნენ ცირკის პატრონები თავიანთ შეგირდებს. ვერც ალექსი გადაურჩა მათ პრესყალებს. „პატონები“ მას აკეთებინებდნენ თავიანთ საოჯახო საქმეებს, არეცხვინებდნენ ჭურჭელს, იატაკს და ა. შ. ამ მომენტეული მუშაობის შემდეგ ჭაბუკს უნდა გვევლო ოთხსაათიანი რეპეტიცია, რადგანაც რამდენიმე ნომერი — ხტომაში, კლოუნადაში, მუშაითობაში, ტანვარჯიშსა და ცხენოსნობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. შეგირდები ვალდებული იყვნენ რეპეტიციის შემდეგ დაესუფთავებინათ ცირკის შენობა, დაემზადებინათ საღამოს წარმოდგენისათვის ნათესი ღამეები და სხვა, ხოლო საღამოს წარმოდგენების შემდეგ დაუფრინდათ საჯინოში, მოველით ცხენებისათვის. ალექსის მუშაობა უხელოვდა ღამის ორ სამ საათამდე. დილის ხუთი-ექვსი საათიდან კი უკვე ფეხზე იყო. ამგვარ მძიმე პირობებში ცხომელიძემ იმუშავა ოთხი წლის განმავლობაში (1898 წლიდან). ალექსის პირველი სამსახიობო ნათლობა შედგა 1902 წელს, 1903 წელს კი მოულოდნელად ალექსის თავს დაადგა მამამისი. ჭაბუკი დარცხვინილი იდგა მამის წინაშე და კრინტს ვერ ძრავდა. გიორგიმ დატუქსა იგი და ისევ ბაქოში წაიყვანა. აქ ალექსი კვლავ დაუბრუნდა მოტოვილოვის ქარხანაში სახარტის დაჯგას.

1903 წელს მოტოვილოვის ქარხნიდან ცხომელიძემ ტაგვივის საქსოვ ფაბრიკაში გადავიდა. აქ იგი დაუკავშირდა მოწაფეებთან ორგანიზაციას და მონაწილეობას იღებდა გაფიცვებში. „მუშები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას და რვა საათის სამუშაო დღეს, — მოგვიხსრობს ცხომელიძე, — პოლიცია არაერთხელ ესხმოდა თავს მუშაობაში.“



ხეებს, მაგრამ მუშები არ ეუბნებოდნენ მათ. ერთხელ მიტინგი დაიწყო იყო „სტენკა რაზინის“ გამოქვეყნულთან — ბლახანასა და ბაქოს შორის. გადაწყვეტილი იყო შევეჩვიებოდნენ ჰაზურლილების კომპლექსს მომუშავეთა მუშაობა. მასსუსე, ერთ ღამეს, მიტინგის შემდეგ წვედით ქაბებთან ერთდის გამოსაშვება, რომ კომპლეს ვე-დარე ემუშავათ. მეორე დღის (1905 წელს) ბლახანასში თავი მოიყარა ჰაზურლილების სამი ათასამდე მუშამ, მათ შეუერთდნენ რკინიგზის დეპოს მუშებმა და ყველანი ერთად გადინდნენ დემონსტრაციას. დემონსტრანტებმა გაიარეს პავლი ბაქო, გზადაგზა აჩერებდნენ ფაბრიკებისა და ქარ-ნების მუშაობას. ჩვენ მოვიხიდა გავლა გუბერნატორის ბაღთან, რომლის უკან ჯარისკაცები იდგნენ, ხოლო ქუჩა-ზე — კაზაკები. მათ გზა შევიწყვეს და გვერდებოდნენ აქეთ-იქით. ჯარისკაცებმა დავეჩვიეს სროლა, ცხენოსანი კაზაკები კი ისევ ერეკებოდნენ დემონსტრანტებს. იმ დღეს ბევრი დაიჭრა და დაიხცა. ერთმა ჯარისკაცმა თოფის კონიხი ჩამოხსო ცხილებში. მე უფროდ დავეცი. როცა გონს მოვედი, ვნახე რომ მთლად დასისხლიანებული და ცხილებმანტერტული ვიყავი. ეს არ მაგარეს და ციხეში ჩამსვეს. ორი თვის პატიმრობის შემდეგ მოვახერხე გაქ-ვევა და მიმაღლა“.

პოლიციისა და ტაგიევის ფაბრიკის მეპატრონის თვალს რომ მიფარებოდა, ალექსი კვლავ დაუბრუნდა ხარინისა და სიაკოვსკის ცირკს. ცირკის მფლობელებმა უარი არ უთხრეს ცხოველიძეს და მიიღეს სამუშაოდ.

მაღე ცირკი ქუთაისს წავიდა, ალექსიც თან გაჰყვა. ამ-გვარად თავი დააღწია ბაქოს პოლიციას. ქუთაისშიც ცირკ-ი ფოფს წევიდა. ამ ხანებში ცხოველიძემ ცოლად შეირთო ცირკის დირექტორის ხარინის ქალიშვილი მარია, რომელ-იც არაბადლები წარმატებით გამოიღოდა ცირკის არენაზე ორი ნომრით — ცხენოსნობითა და ტანჯარეულობით. ცხოვე-ლიძეს გამოსვლა მოუხდა შობილიურ ქალაქ ბათუმშიც, სა-დაც წარმატებით სარგებლობდა.

მაღე ალ. ცხოველიძე ოდესაში გადავიდა სამუშაოდ და ადვილად მოეწყო ჩინიზელის ცირკში, რომელიც იმ სეზონში ოდესაში გამოდიოდა. აქ იგი აკრობატიულ ნომ-რებს ასრულებდა. ერთხელ ჩინიზელიმ თხოვა ცეცადა გა-ბრუნება ფარდაგის კლოუნმა — შევესო ჩინიზთა შორის პაუზები და აგრეთვე მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა სცენებსა და პანტომიმებში. მართლაც, ცხოველიძე წარმა-ტებით გამოვიდა ამ ყანრისა და სულ მაღე მოიპოვა მა-ყურებელთა სიყვარული და პოპულარობა.

ორდესაც ჩინიზელმა სეზონი დაამთავრა და თავისი ცირკით სხვა ქალაქს უნდა წასულიყო, მან წინადადება მისცა ცხოველიძეს თან გაყოლოდა, მაგრამ შენობის პატ-რონმა პაკლივიჩმა არ დაუთმო ჩინიზელს ალექსი. „ცხოვე-ლიძე ჯერ კიდევ საჭიროა ოდესის მაყურებლებისათვის და ჩვენთან დარჩება მომავალ სეზონშიცო“ — განუცხადა მა-ლექვიჩმა ჩინიზელის.

თუმცა ახალი სეზონის დაწყებამდე დრო ბევრი იყო და ცირკი ან მუშაობდა, მაგრამ მალექვიჩმა მინც არსად გა-უშვა ალექსი და ყოველდღეურად უხდიდა ხელფასს. ამ-გვარად, ცხოველიძემ ოდესის ცირკში მეორე სეზონიც იმუშავა.

1909 წელს ოდესაში საციკო სეზონი გახსნა ძმების

ნიკიტინების რუსულმა ცირკმა, რომელიც იმ დროს ღიდა-სახელითა და პოპულარობით სარგებლობდა მთელს რუ-სეთში და კავკასიაში. ახალგაზრდა ალექსის ღიდა სურვე-ლი აღძრა ემუშავა ნიკიტინების ცირკში და თხოვნი მი-მართა მის მმართველს. მაგრამ უკანასკნელ არც სურდა ამის გაგონება. „ჩვენ უშეზღვევ ბევრი ვყავს კლოუნე-ბიო“ — უსასუზა მან და ზურგი აქცია ალექსის. ხოლო როცა ცირკის ექიმმა ცირკის მფლობელებს მოახსენა: „თქვენ ამგვარი ორიგინალური კლოუნს არ ვყავთ“ და ცხოველიძის საკლოუნო კოსტუმით გადაღებული ფოტო-სურათი აჩვენა, მათ ძლიერ მოეწონათ. განსაკუთრებით, ცირკის დირექტორს — აქიმ ალექსანდრეს-ძე ნიკიტინს. დირექტორმა განკარგულება გასცა შეტანა ცხოველიძის ნომერი პირობაში. მიუხედავად ამ განკარგულებისა, ცირკის მმართველმა ოდესაში მინც არ გამოიყვანა ალექ-სი, მაგრამ აღუქვა, რომ ამ ნომრის შესარულებიანება შემდეგ ქალაქში — იალტაში. ცხოველიძის ძლიერ ეწევი-ნა, მაგრამ მინც დაკმაყოფილდა ჯიუტი მმართველის პა-სუხიით.

ქ. იალტაში, ცირკის სეზონის გახსნისას, ცხოველიძე გამოვიდა მანქნე თავის საკლოუნო კოსტუმით. ღიდა წარმატებით შესარულა ნომერი და მაყურებლების ხანჯ-რძლივი ივაცია დაიმსახურა. წარმოდგენა არც კი იყო დამთავრებული, რომ ცირკის ხელმძღვანელებმა დაიხარა ცხოველიძე და ხელშეკრულება დაუდო ორი წლით. ცხო-ველიძე ნიკიტინებთან მუშაობდა 1910 წლიდან 1917 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ცირკმა შემოიარა თბილ-ისი, ბაქო, ნიჭინ-ნოვოგოროდი, სარატოვი, როსტოვი, ხარკო-ვი, ივანოვო-ვოლნისენსკი, მოსკოვი და მთელი რიგი სხვა ქალაქები. ალექსი ძლიერ შეუყვარდა ნიკიტინს ვაჟს ნი-კოლოზ აკიშის ძეს, რომელმაც წინადადება მისცა ცხოვე-ლიძეს ემუშავა მასთანაც. ალექსი სიანოვნებით დაეთან-ხმა და დაიწყო მასთან ერთად ჟონგლიორობა, რაც ძლიერ მოსწონდათ მაყურებლებს. ნ. ა. ნიკიტინის დამოკიდებუ-ლება ცხოველიძისადმი გულწრფელი იყო და ალექსიც ყოველთვის სიყვარულით იხსენიებს მას: „გულწრფელად ვამბობ, ნიკოლოზ აკიშის-ძე არა მარტო გულითათვის ადა-მიანი იყო, არამედ უნივერსალური მსახიობიც. ჟონგლიო-რობის გარდა, იგი მონაწილეობას იღებდა ჯგუფური სა-პაერო ნომრის შესრულებაში, იყო საუკეთესო მხტომი, შე-ეძლო გადახტომოდა 15 ცხენის რიგს და ადვილადაც ას-რულებდა ამ თრულ ილეთს. ნიკოლოზ აკიშის ძემ დაამა-რა ხტომის პირველი სარეკორდი ილეთი — ტრამპლინიდან გადახტა დაახლოებით ოთხმეტრიან საათის კოშკს. მე ბევრი კარგი რამ ვაღიერებ მისგან და უარსულსადაც ვუ-მადლი მას ჩემდამი ძმური მოპყრობისათვის“.

1914 წელს ცხოველიძე უნდა გაეწეათ მეფის არმიასი, მაგრამ ბაქოში წავიდა და იქ იმალეობდა გვარგამოცვლი-ლი.

იციოდა რა ალექსის ადგილსამყოფელი, მისმა მეგო-ბარმა ნიკოლოზ ნიკიტინმა კვლავ მიიწვია ის ცირკში სა-მუშაოდ. იმეამდ ცირკი ქ. ასტრახანში გამოდიოდა. ამ-რიგად ცხოველიძემ კვლავ ნ. ნიკიტინთან განაგრძო მუშა-ობა.

ასტრახანიდან ნიკიტინების დასი მოსკოვს წავიდა. აქ კი ცხოველიძე მახემი გაება — ჯარში გაიწვიეს, მაგრამ

შორს არსად გაუგზავნიათ. იქვე მოსკოვში მსახურობდა, დღისით ყაზარმაში იყო, საღამოთი კი კვლავ ცირკში მუშაობდა.

1917 წელს მოსკოვში, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს მე ვემუშაობდი ბოლშევიკთა არალეგალურ ორგანიზაციაში, — მოგვითხრობს ცხოველიძე. ოქტომბრის რევოლუციის დღეებში, ჩვენ, არტილერიისტები გადავდებით ბოლშევიკების მხარეზე და კულდინსკის მოედანზე ვესროდით კადეტებს. იმ დღეებში მრავალი მსხვერპლი იყო.

1918 წელს მე უკვე წითელ გვარდიაში ვირიცხებოდი. ხოლო 1919 წელს გადავდივარ წითელ არმიას, მოხვდები კავალირიაში.

1923 წელს დემობილიზებული ცხოველიძე კვლავ დაუბრუნდა ცირკს. ამჯერად მან დაიწყო მუშაობა გრიკენ ცირკში (ხარკოვში). ავტობრივად, რომელიც გრიკემ შექმნა სამხედრო ნაწილებისა და დონბასის მუშათა მომსახურებისათვის, იმდენად ძლიერი იყო, რომ მცირე ხნის მუშაობის შემდეგ, 1926 წელს იგი ჩამოყალიბდა ცირკად.

1926 წელს ალექსი ცხოველიძე კვლავ დაუბრუნდა ნიკიტინს ცირკს, უკეთ რომ ვთქვათ, ახლა უკვე ნიკიტინისა და ტრუცის ცირკს დონის როსტოვში.

როსტოვში ცხოველიძემ დაიწყო ძალღების წვრთნა, და მიუხედავად იმისა, რომ ეს რთული საქმე მისთვის უჩვეულო იყო, 1927 წელს უკვე მუშაობდა ამ ჯანრიტ კულდინაევის ცირკში, ჯერ ერევანში და შემდეგ ბაქოში, სადა უკეთესოდ გაწვრთნილ ძალებთან ერთად ცხოველიძე გამოდიოდა კლოუნადაც, ორიგინალური ტანსაცმლით და კვლავინდებურად იწვევდა მაყურებელთა სიცილსა და აღტაცებას, ამასთან ძაღლების მიერ შესრულებული საკმაოდ რთული ილეთები აძლიერებდა ცხოველიძის მიერ შექმნილი საცირკო ნომრის მხატვრულობას და მიმზიდველობას.

1928 წელს ცხოველიძე სამუშაოდ მიიწვიეს ცირკების ცენტრალური სამმართველოს ცირკში (მოსკოვი).

1958 წლიდან ის ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით ჩამოყალიბებულ ქართულ საცირკო კოლექტივს, რომელსაც ახლა საქ. სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ტანჩა ჩაუდგა სათავეში. ამჟამად ა. ცხოველიძე ამ კოლექტივის ერთობი უზუცესი წევრია.

საცირკო ხელოვნებაში ნაყოფიერი მუშაობისა და უმწიკლო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ცხოველიძე არაერთხელ იყო დაჯილდოებული მედლებითა და საპატიო სიგელებით. 1938 წელს გამოცდილების გაზიარების მიზნით იგი სამუშაოდ გაგზავნეს მონღოლეთში.

საბჭოთა ცირკის არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით ალექსი გიორგისძე ცხოველიძეს მიენიჭა რსფსრ დამსახურებული არტისტის წოდება და დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ა. ცხოველიძე ხშირად გამოდის თბილისის ცირკში, 1943 წლიდან 1948 წლამდე იგი მუდმივად იმყოფებოდა თბილისში და საქართველოს კოლმეურნეობებში აწყობდა გამსვენებელ წარმოდგენებს.

1907 წელს ბათუმში ცხოველიძეს გაუმართეს ბენეფიცი. რეცენზიების ალბომში ჩაქერებულ, ვაყვილებული გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობთ: „ცირკის მაღალკვალიფიციური, მაგრამ უცოდინლოდ ჩვეულებრივი, შაბლონური პროგრამის ფონზე მკვეთრად გამოიყოფა სავსებით განსაკუთრებული მსახიობი ცხოველიძე. მისი ნომერი სათამაშო სპილოთი, რომლითაც შენიღბულია პატარა ძაღლი, სწორუპოვარია, პატარა ძაღლი გაწვრთნილია სრულყოფილობამდე“...

ალბომში მრავალი რეცენზიაა, ჩვენ დავმეაფოფილდებით კიდევ ერთი პატარა რეცენზიის მოყვანით, რომელიც 1954 წლის გაზეთშია დაბეჭდილი: „პროგრამაში საუკეთესო ნომერია — ცხოველიძე გაწვრთნილი პატარა ძაღლებით. მაყურებელთა წინაშე მაღალი, გამხდარი კაცია, კლოუნადის ტიპი. ზილი საუდერსი, მაკსი, მერდარო არასოდეს არ ყოფილან მწვრთნელები, მაგრამ ისინი მარჯვედ იყენებდნენ შექსპირულ ბუფის ნიდაბს მანეჟის პირობებში და თავიანთ ოსტატობით იწვევდნენ მაყურებელთა დაუსრულებელ სიცილს. ცხოველიძის ორიგინალიზაცია იმაშია, რომ იგი მწვრთნელია და მისი მუშაობა შეიცავს არა ჰენრიხ სოზისკის ტექნიკის ელემენტებს, არამედ სერიოზულ მოთხოვას, რომელიც ჰომერულ სიცილს იწვევს (პატარა „სპილოს“ ისტორია).

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ალექსი ცხოველიძე კვლავ ენერგიულად მუშაობს ცირკში თავისი წვრილფეხა მსახიობთა“ ჯგუფით და კვლავ დიდი წარმატებით სარგებლობს.



მ ა ი ო რ კ ა

აკაკი გელოვანი

ლზი ლინდსეი, ჰილანდში არ გინდა
 წასვლა?
 ნეტართა ენძელს ზღვა ესლება ზვირთების
 ეკით.
 ლზი ლინდსეი, ჰილანდში არ გინდა
 წასვლა?
 არ გინდა იყო საყვარელი მეუღლე
 ჩემი?
 ძველი ინგლისური ბალადა.

ამერი ილიმება. ფრთოსანმა ბიჭუნამ შოპენსა და ჯოჯ სანდს თავისი სანაქებო ისრები პირდაპირ მფეთქავ გულში მოახვედრა, შემდეგ ფეხაკრფით ჩამოსცილდა, ყვავილნარს შეერია და ახალი სანაქების მოსაგვარებლად ყვავილნარს შიგნით და ახალი სანაქების მოსაგვარებლად შიგნით წვეთებიც გაურია, და ვინ არ იცის, რომ სიყვარულში გარეული შხამი მომაკვდინებელია!
 სიყვარულით დაისრული დიდი ხელგონად მოსვენებას კარგავს, გულის ხმას მიჰყვება და პარიზიდან გადის. პატარა ნონანი ელის დიდ სტუმარს.

1838 წლის ზაფხულში შოპენი უკვე ნონაში ცხოვრობს, სანდის სახლში. ესაა პირველი ბედნიერი ზაფხული, მერცხლების ნავარიდი, სიცოცხლის ზეიმი, რაც ერთხელ მივიწყება ხოლმე ადამიანს (ისიც არა ყველამ), ადრე თუ გვიან, და რაც იშვიათად თუ მეორდება ხოლმე.

სანდის ვაჟიშვილი მორისი ამ დროს დევე თხოუმეტი წლისაა, ქალიშვილი სოლანკი კი — ათი წლისა. მორისის „რევიტაციებში“ ხდება შოპენის ნონაში ჩასვლის საბაბი.

იმავ შემოდგომაზე, ოქტომბერში — შოპენის ცხოვრების „თაფლის თვეში“ — ხდება მათი სახელგანთქმული მოგზაურობა სამხრეთში, „ნეტართა ენძელს“ მათიკაზე. ჯერ სანდი და მისი შვილები მიკვლავარებიან მოსამსახურე ქალის თანხლებით, მერე მათ ეგვადამკვალ მიჰყვება შოპენი; ეს არის მიჰყვია პლეიელს თავისი პრელუდიები და ორი ათასი ფრანკი აიღო.

მიჯნურები ერთმანეთს ლიონის უბის ნაპირზე ხვდებიან. ხმელთაშუა ზღვა სანდს საბერძნეთის ზღვად ეჩვენება. ლურჯ ტალღებს არწვეს ნელი სიო. ვარდისფერი ნიჟარა ძვეს ოქროს ტეიშაში, ბედნიერი ქალი ილიმება და შოპენიც ვარდლით ლვინის.

შეყვარებულები ჯერ ბარსელონაში მიემგზავრებიან, იქნადა კი წყნარი ზღვით — მომხიბლავ მაიორკაზე.

მაიორკა!
 ბალეარის კუგუფის ეს მშვენიერი კუნძული დაუცხრომელ ხმელთაშუა ზღვას გადასცეჩის. შემთხვევით როდი აღმოჩენა მის დედაქალაქს პალმა. მარადმწვანე პალმები, კაქტუსები, ალო, ზეთისხილი, კვდარი, ლეღვი და ბროწეული ამშვენებს მაიორკას. თითქოს უფლის ქალთა დააბერტყლია ამ ნამცეცა კუნძულზე. მხოლოდ პოეტის აკლდა ამ მხარეს, და ისიც ჩამოიღის. ზეცის ნათელი ეფინება ახალ არკადიას. ძალუმი ათასწლოვანი ზეთისხილის ქვლები გულის ახარებენ, ფირფიტისფერი ცა და ზურმუხტოვანი მთები თვალს იტაცებენ. ლავარდოვანი ზღვის სიერცხეში კი გონებას იზიდავენ მიუწვდომელი მშვენიერებისაკენ,

რალაც ნეტარისაკენ, რაც ბედნიერების წუთებში წამიერად გაუტყვებს ხოლმე შთაგონებულ ადამიანს. პერი გამეჭვირავლა და ნაზი, როგორც ცაში, დღისით მზე მოდის კუნძულზე სტუმრად, ღამე კი სათითოთი გაისმის გიტარის გიჟური აკორდი. ასე უკრავენ მხოლოდ ინტალიამში, მექსიკაში და კიდეც საღდაც... ათასწლოვანი მხარგრევის გვერდით აზიდულან მაგრიტანული სასახლეები, ჯვარისანთა ეკლესია და ჩამოქცეული მიზითები. ყველაფერი ისეა, როგორც სამოთხეში, და მიზლიურ წინასწარმეტყველზე ნაკლები შორსმჭვრეტელობა არ გამოუჩინათ იმ ექიმებს, რომლებიც შოპენს დაბეჯითებით ურჩევდნენ სამხრეთში წასვლას!

ისინი სასტიკად შეცდნენ მხოლოდ ერთ რამეში: წვიმიან შემოდგომაზე დღეს არც ერთი ჭკვათამყვფელი ექიმი არ დაუწვდოდა ფილტვებდაცრეცილი სნეულს გავაზნანს სამხრეთის მხარეში, ისიც კუნძულზე! შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ექიმები პოეზიასთან უფრო ახლო მდგარან, ვიდრე მედიკინასთან.

შოპენმა რა იცის, რა საბედისწეროა ეს შეცდომა! ის მთელი არსებით მიენდობა სიყვარულსა და რომანტიკას. რა სამწუხაროა, რომ ეს შემოდგომაზე ხდება და არა ზაფხულზე! ასე თქმის არა მარტო გადატანით — პირდაპირი აზრითაც: ძლივს ბოლოდება „ქარის სახლად“ წოდებული მინას (ისიც საფრანგეთის კონსულის დახმარებით), რომ იწყება პირმეუღლელები სამხრეთული წვიმა, როგორც ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია. ამა რა აფრიკულ რომანტიკაზე შეიძლება დასაბუთავი, როცა წვიმს და თხელი კედლებში ნესტიანი ქარი წვიის.

რა მოუწყობელი ყოფილა სამითხის კუნძული! მორთულ ოთახებში ზომიერ გათბობას მიჩვეულებს ვერ აუტანიათ ესანური ბრუნჯროს სულმეშუაფი სითბო. შოპენი ხველებს იწყებს. ბავშვებმა მოიწყინეს. „არასოდეს არ გავუწამებდარ სიცოცეს ამ ზომამდეო“, — ჩივის ციფიანა სანდი. თხელი კედლები და ფარდალაჰა ჭერი ყინულის მოსახამივით ახურავთ მიჯნურებს. ეს რა სახლია? დაერქმის კი საერთოდ სახლი ამ „ქარების სახლს“? სურათითდა პირქულად გამოიყურება მორის სანდის მიერ ფანქარი დახატული შენობა, რომელიც პირველყოფილ ამიანათა სადგომს ან ბოსიელს უფრო ჰგავს, ვიდრე სახლს.

ასეთ „სახლში“ მხოლოდ ძალღს თუ შეავადებენ, და აი გაწვალელებული შოპენიც ჩივის, რომ „ავადმოვლებს, როგორც ძალი“. კუნძულის სამი საუკეთესო ექიმი თავს ადგას. ერთი ამბობს, მოკვდაო, მეორე — კვდებაო, მესამე — მოკვდებაო... აი მთელი მკურნალობა! ეს სამედიკინო საშუალება დამატებით სისხლის გამოშვებასაც მოითხოვს, მაგრამ საბედნიეროდ სანდი ამ ბარბაროსულ ღონისძიებას სასტიკად უარყოფს.

ტრომორწონე კერძო მედიკოსები შეძრწუნებული ვარბიან. ასეთი სნეული ექიმი არ უნახავთ და შოპენი კეთროვანი ჰვინათ. სიყვარულის ზიზნები იძულებული ხდება ბინა დატალონ და გაწმინდონ, რადან „კეთროვანის“ ნაყოფ სახლს სათოფვეუ არავინ ეყარება.

ქეშმარიტად, ალტაცების ღირსია სანდის რინდლული

ერთი თავი წიგნიდან „შოპენის გული“.



ფრედერიკ შოპენი

თავგამოდება, ასეთ ავადმყოფს რომ შვილებიანად თან ახლავს და ზრუნვას არ აკლებს.

კუნძულზე კი წვიმს, ცივი ქარი კედლებს ეხლება და პადესურ ენაზე სისინებს: „აქ პრაფერი არ არის პოეტური, სხვაგან მოქმენით შევნიერება!“ ჰოდა, მუსიკაში ეძებენ!

პოეზიას სწორად თან დასდევს რაღაც უხამსი, პროზაული, ჯიუტი და უწყალო! ასე ხდება აქაც. ტაფობზე ჩრდილები წვიბიან. მიჯნურები ახალ ბინას ეძებენ. მხოლოდ შუა დეკემბერში მოაერდება წარმატებით ეს ძებნა. შორს, მთებში, უღრან ტყეში, ბალმიდან ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით ბედის ანაბარად მიტოვებული მონასტერია, კაცის და ღმერთის მიერ დავიწყებული ძველი საყდარი, რომლის სენაკებშიც მთელი ათასეული მოთავსდება. აი, ამ ეკლესიის სამ სენაკში მკვიდრდება ღვთის სამსახურისათვის ფრიალ შეუპაბამო ორი მონაღვთის. უფრო პოეტური რამის წარმოდგენა სწორედ ძნელია.

კუნძულელის შოპენის ბრელულები არ გაეგებათ, მაგრამ ძალიან მოსწონთ ბრელულებში აღებული ფრანკები, მოხერხებულად უმიზნებენ მათ და მამასისხლად აფასებენ ყველაფერს, თან აღმაცერად უყურებენ მონასტერში შეჩინულ ერეტიკოსებს, რომლებიც ეკლესიაში არ დადიან.

მონასტრიდან იშლება „ადამიანთა შერით ჯერაც უწყვეტი“ სახატი.

მაგრამ პოეტურ საფარველში ჩამალული კარტეზიანთა

მონასტერი ბნელ ღამეში მონასტერის სასახლეს მოგვაგონებს. ასწლოვანი დახვსებული კედლები არ ატარებენ სიცივეს, მაგრამ არც სინათლეს ატარებენ. სენაკის კარი ფართოა, როგორც სადარბაზო მისასვლელი. ნახევრ და ბნელი საცხოვრებლის გვირ მუქია და ჭკარტილი ისე ზიზიბებს, როგორც ლუციფერის ფრთები. კუბოს მოყვანილობა აქვს, და მართლაც გარე სამყაროს უკავშირდება მხოლოდ ვიწრო სარკმლით, საიდანაც ტ ნურწყები კვიპაროსები, მოშრიალე პალმები და ფორთოხლის მარღმუქანე ხეები ჩანან. ტლანქად გამოთლილ ოთხეუთხოვან მაგიდაზე ტყეის სასათლელ დვას... დუმბილია. შოპენი წერს და მაინც დუმბილია.

მეტად წარმართნი არიან მონასტრის ახალი ბინ და რნი, და რა გასაკვირია, თუ ზოგჯერ, გვიან ღამეში, რიცა შოპენი შეუძლოდაა, საცემლე მილიდან თავისი ჯოჯობეთური აზრების საქადაგებლად მიწერი სამოთხეში ჩაქერება გამურული ქაჯი, რომელსაც ერთ დროს ვარტუტრგის ტაძარში ლუთერმა სახეში საწერელი სტყორცნა! მელნის ლაქები ჯერაც არ მისცილებია და აფრეული მაიმუნივით იმანჭება მძინარე მუსიკოსის წინაშე, მაგრამ მას არავინ უსმენს. ეტყობა, შოპენს იმისათვის კი არ უქცევია ზურვი პაპისა და ღმერთისათვის, რომ მას, ეშმაკს მიეკედლოს, და ისიც საცემლე მილში მიძვრება.

ადრე დილით კი იღვიძებს მზე და მასთან იღვიძებს სიმიერა, სიციცხლე.

მაგრამ ეს მზიან დღეებში! სულ სხვაა ავდარში.

ხომ მოსაწყენია ზამთრის უამინდობა ჩრდილოეთში? სამხრეთში ის უარესია. წვიმს დღე, წვიმს ღამე, არ არის მზე, არ არიან ექიმები, არაა წამლები, არ იმოყვება შაქარიც კი... მოუწყობელია კუნძული მაიორკა; პირველყოფილთა ნეტარი საგანე გეგონება, მაგრამ შოპენი ბრაზობს, რადგან ნეტართა საგანეში არ არის ფორტეპიანო.

მხოლოდ იანვარში იღებს ბლევილის იღვას დაბირებულ ბიანინოს, მაშინვე ჯდება, ამთავრებს ბრელუდინებს, პოლონეზებს, მეორე ბალადას. გულუბრველი მთორკელებლისათვის მისი მნიშვნელობა არა აქვს.

რამდენსამე კვირას ატარებენ კუნძულელის სასახლეში შოპენი და სანდი. მზიარული ქალი იოლად ურავდება მოუწყობლობას; შოპენი ოცნებებს, უყვარს, ნერვიულობს, ბუზუნებს... სფაქიზებს ჩვეული მისი ანაჟი სული ვერ იტანს არკადოულ ცხოვრებას. სულ მცირე წყენაზე იმედი ეკარგება, გული მისდის, დაბლა ეშობა.

ამ პირობებში ძნელი უნდა ყოფილიყო მისთვის მხარის გასწორება.

ვინც კი შოპენისა და სანდის სიყვარულსა და განხეთქილებას შეხებია, თითქმის ყველა ამტყუნებს ქალს.

მაგრამ შოპენმალობის არ ეპატრება უსამართლობა, მას საკმაო დრო აქვს, რომ ყველაფერი ასწონოს და სწორად შეფასოს. უნდა წარმოვიდგინოთ, რა თავგამოდებაა საპირო იმისათვის, რომ ქალი, რომელსაც კანონიერი შვილები ჰყავს, შორეულ მხარეში გაჰყვას არა მუდლეს, არა ქმარს, არამედ მაინც უტყოს პირს, თუნდაც მეგობარს, რომლის ფილტვებზე უსაშველოდ დაძვრეცია კობის ჩხირებს! სანდს სამხრეთში მიჰყავს მძიმე და კანადლეული შოპენი. ყველა ერიდება გზად მიმავალ სწულს, სასტუმროს შეპატრონებები ერთი დამის გათვვისათვის ლოჯინის მიელ საფასურს მოითხოვენ და ამ ლოჯინს დაუყოვნებ-

ღვ წვავენ. სანდი კი არა მარტო მიჰყვება ნახევრად და-
ღებულ მიჯნურს, არამედ წუთითაც არ შორდება და ამით
იცავს მის სიცოცხლეს, რადგან შოპენს აღარ შეუძლია მის
მომორბემაზე ფიქრიც კი. ქალის ნებისყოფა ამ შემთხვევაში
ნამდვილად სცილდება ჩვეულებრივი შესაძლებლობის
ფარგებს. აღამიანი სიყვარულში ბედნიერებასა და კმა-
ყოფილებას ეძებს, და როცა ამას ვერ პოულობს, მისი
გული ცივდება ხოლმე. ასეთია ქალიც და მამაკაციც. სან-
დი ვერაერთად ფიზიკურ და სულიერ სიამოვნებას ვეღარ
ხედავს ლოკინად ჩავარდნილ შოპენთან. მეტიც, ის მხო-
ლოდ იტანჯება ამ სახიფათო სიახლოვით. მაგრამ ის რჩე-
ბა სწეულის, მომაცდავის ლოკინთან და რჩება მისი ერთ-
გული, მისი სიყვარული არ შესუსტებულა. განა ეს გმი-
რობა არ არის?

მეტად ბევრ დროს ართმევენ დედა და მეგობარი მწე-
რას! თუ სანდი მინც წერს რამეს, წერს ღამით.

მთელი ხელოვნებაა საჭირო შოპენის დასამშვიდებ-
ლად, და ასეთი ხელოვნია ყოველ სანდი-მწერალი, ფსი-
ქოლოგი, მეგობარი, ქალი... მან ერთმა იცის, როგორ აუს-
რულოს ყოველი სურვილი, როგორ მოჰკვაროს ღიმილი
გაღიზიანებულ ავადმყოფს, რომლის გულის ძარღვი სულ
უბრალო შეხებაზეც სისხლის ქონვას იწყებს. ეს უაღრესად
კულტურული, მოკრძალებული, გულკეთილი და გონება-
სალი აღამიანი ავადმყოფურად ნერვიულობს და ბრაზობს
იმაზე, რაზედაც სხვა მხოლოდ იცინის.


ტყეში, დანგრეულ მონასტერში რა უნდა აკეთოს მამი-
ქებელმა პოეტმა, რომელიც პარიზის ფუფუნებასა და ოც-
ნებებს მიერგია? განა შეუძლია მხოლოდ ქალს, თუნდაც
სიეთს, როგორიც ყოფი სანდია, ამოაყოს ის დიდი სიცა-
რეილე, რაც ამ მიუსაველეს შეხიზნული პოეტის გაზნა-
რულ გულში გაჩენილა? და პარიზისაყენ ილტვის მისი
გული, მაგრამ პარიზი შორსაა, ტყვიელი კი ახლოს, მკერ-
დში დაბუდებულა, ზის და ღრღის, თავისთავად დროს კი
კუბოს ჭედავს მისთვის. ზანდაზან, როცა მოიხივდავს,
ავადმყოფი მოუჯდება რიასლს და საოცარ ზღაპარს მო-
უთხრობს ნანგრევებს.

პირველად ისმის მაიორკული პრელუდიის აკორდი.

ეს საზღაბრო წუთებია. მაგრამ ძნელია მარტოოდენ
პოეტიც ცხოვრება. არტისტის სული შფოთავს და ისევე
ამაოდ ხებლბა მკერდის გაზნარულ კედლებს, როგორც
ხმელთაშუა ზღვის ტალღები — მაიორკის კლდეებს.

გაოცებული მთავრ დასცქერის მალღი დაბინდულ
ნანგრევებს და აღბათ ფიქრობს: ამ სასახლის ოდინდელი
ბინადარი ხომ არ დაბრუნებულან, რომ თავიანთ იავარ-
ქმნილ კარ-მიღამოს დახედონო? გამხდარი, ჩამომდარი
ფრედიერი თვღმს და მართლაც, აჩრდილ დახმაგესე-
ბია. მაგრამ მისი მუსიკალური აკორდი, რომელშიაც ნაღ-
ველთან ერთად სიცოცხლის ძალუმ ნებას აქოსეს, არა
ჰგავს მიცვლებულთა ხმას, და ზეციური მგზავრი ღინჯად
განაგრძობს თავის მარადიულ მიმოსვლას.

თეთრი იალქნები მიირწყვიან მტრედისფერ ტალღებ-
ში, უღტმია თუღეს მხარეს დაუჭერიათ გზა უცხო ზღვა-
ოსნებს, ცარიელია მათი თეთრი ხომალდების ზანი. იქნება
შოპენმაც ისტორის წასვლა იმ კუნძულზე, სადაც იადო-
ნები ბუღობენ და წლიდან წლამდე, ზამთარ-ზაფხულ,
ღღუ და ღამე გაღობენ მოუშლელი ბედნიერების სავალო-
ბელს?



ყოველ სანდი

არა, შოპენი კანარის კუნძულებზე არ წვაია. გზა განა-
გრძეო, თეთრო იალქნებო, და ეოღოსმა ნუ მოგაკლოთ
სასიციოთ ქარი!

რა მიმე იყო ეს სიზმარი!

შოპენი გაღარჩა. ის სანდმა გაღარჩინა.
ვერავინ წართმევის სანდს ასეთ დამსახურებას საყა-
ცობრიო კულტურის წინამე ისევე, როგორც ვერავინ მო-
უწონებს იმას, რომ მისთვის ეს სიყვარული მხოლოდ ერთ-
ერთი რომანტიკული თავგადასავალი იყო, იმ დროს, როცა
შოპენისათვის ეს იყო მთელი ცხოვრება.

გავისინეთ ასეთი ეპიზოდი. მაიორკაზე სანდი ხშირად
სერილობს. როგორ შეუძლია არ გაისეირნოს! თავნება ქა-
ლები, რომელთაც შეიღები ჰყავთ, ყოველთვის სეირნობენ.
შოპენის სეირნობა არ შეიძლება, და სატროფ მას გამო-
კეტილ ოთახში სტოვებს, როგორც ბავშვს, რომელიც დე-
დას სამუშაოდ ვერ მიჰყავს.

ამ დროს ის მეამბოხე განდევლოვით ბორავებს. ყოვე-
ლი წუთი ექცევა ურჩხულის კბილბად. რომელთაც ფხვი-
ერ მიწაში თესავენ და სპიღვნამ ხარეზად ოზრდობიან.

აღილი წარმოსადგენია სწეული კაცის ფიქრებო, როცა
დასტურდარტი წვეს პატიმაროვით და არც კი იცის. საღ
მარტირობოს მთელი ღღუ მისი საყვარელი ქალი. რად აგ-
ვიანებს? ვის გავესო? ხომ არ სველდება? ხომ არ მღალა-
ტობს? — და სხვა ამგვარი. გავისინეთ შემთხვევა, როცა
სანდი და მორისი პალმარი არანა. უეცრად ცა პირს იყ-

რავს, კოკისპირული წვიმა მოდის და ტექა-ქუხილი არყევს კუნძულს. შოგენს იმდენად აშფოთებს სატრფოს ყოფნა საშინელ ავღარში ღია ცის ქვეშ, რომ დაჭრილი გვეხვივით ბორბავს და ბოლოს გულწრსული ექება ძირს, ხოლო როცა სანდი მოდის, უკვე მომავალდებულ პრელუდიას უტრავს, ქალი კი ყოველივე ამას დაინცინაღ ღიმილით ხედება საშინელაი, როცა მამაკაცის სიყვარული ქალისას აჭარბებს, მაშინ ქალი ხელთ იღებს ძალაუფლების კვრეტას და მიწვეულ ღიმილით დასცქერის მის ფერხით დადგებულ დიდებს. თვით სანდი ამ შემთხვევაში დარჩა ჩვეულებრივ ქალად, რომელმაც ვერც ვაიყო, რაოდენ დიდი პატივი ერგო წილად, შოგენმა რომ შეიყვარა.

დაბრუნებული სანდი რომ ნახა, შოგენი წაიშოკრა და შესახა: „მე კი მეგონა, რომ თქვენი მოყვანილი“

ისევ ჯდება, უტრავს, ეძინება და ახლა ესოზრება, ვითომ თვითონ მოკვდა, უტირო ტბაში იძირება და ყინულოში ცივი წვეთები მეკრდზე ეცემინა. როცა სანდი არწმუნებს, ეს წვიმის წვეთებითა, მის ბრაზი მოსდის. აღარაღე ჩანან თეთრი იალენები.

მცნობი მგელვერანი თავს იმაზე დავაში, თუ რომელ პრელუდიას აქ დაბარა: № 6, № 8 თუ № 15-ზე. მაგრამ ჩვენთვის ეს სულერთია. „წვეთების პრელუდია“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შოგენის საოცარ, ავადმყოფურ მგრძობიარე გულზე. ეს მაიორისა დიდება. თუქა გუტმანი და ზოგა სხვა მგელვეარიც ამტყიცებს, რომ მაიორკაზე არც ერთი პრელუდია არ დაუწერია და სანდის მოწმობა საუცხოაო.

მათლაც, ყოჩ სანდის ცნობა მუდამ სანდი როდია! მაგრამ ამჯერად საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის სიმართლეში. თვით განცდების ანალოზიც გვარწმუნებს, რომ სწორად მაიორკაზე იწყებს და ათივრებს თავის 24 პრელუდიას, რომელთაც რუმინსტინი ეძახდა შოგენის შემოქმედების გვირგვინს.

მაიორკული პრელუდები — ესაა გენიალური მუსიკალური ქმნილებები, ერთგვარი შესავალი დიდი მუსიკალური ოკეანისა, რომელსაც ისინი უერთდებიან წყაროების, მთის ნაკადებისა და აქაფებული მდინარეების სახით. ამიტომ შეიძლება მათთვის შეგვეწყო გოეთს „მინიონის“ სიტყვები: „იქით წაივლით, წამიყვანე, ჩქარა, ძვირფასო!“

ხოლო იქ, ჩრდილოეთში, პოლონეთის მშვენიერ კულეში, სადაც განმარტებულ სენაკში პოეტს ელოდება ის, ვინც მას შესწირა ერთადერთი განუმეორებელი განცდა, ზის, ცრემლივით და ჩურჩილებს: „მე კი გელოდები, ჩემი საცნებო მეგობარო!“ გულწრსული შოგენი დაბლა ეცემა. გონს რომ მოდის, მის წინ დგას მფარველი ქალი, ალერისი შესცქერის, და ამ მზერაშია სითბო დიდის, დის, მიჯნურის“. დამატებით მას სახელებს ქვია ყოჩ სანდი, მაგრამ ეს მაინც არ არის ის, ვინც ვარშავაში დარჩა! ხოლო ის, მარია ვოინსკაია, ვოევოდის ასული, არ ელის, — ყველაფერი სწული პოეტის სიზმარი იყო!

დადღობა შოგენი, ოფლი სდის, მაგრამ დგება, საკრავთან მიდის და თავის ტრავიკულ განცდებს აკრძლებს აქვეყნ... მაგრამ განა თვით განაწვეულ მუსიკოსს, პოეტს, პროფესორს გაეგება ყველა ის ადამიანური განცდა, რაც ყოველ ბერკაში შემოქმედმა მაშინ ჩააქსოვა? მან ეს განცდები თავის შინაგან სამყაროში იპოვნა, მაგე-

ლანისაგან განსხვავებით, რომელიც დაიღს ეძებდა გარეს-სამყაროში, უცნობ შორეთში, და იქვე მიაგნო ციციც...

ადვილი არ არის შოგენის მოცილებლა რომილიც... მას დასველება ესაჭიროება, დაქანცულია, სიცხე აქვს. მისი მშფოთარე სული ბევრად მეტს ითხოვს, ვიდრე მის ავადმყოფ გულს შეუძლია, და ყოჩ სანდი ხშირად აძილებს მოცილებლად კლავიმებს. ჯიტიხ მიჯნური ამ დროს ბრაზობს, წონასწორობას კარგავს და მომავლადი იმპერატორის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალს ეშინია მისი ამ დროს, მაგრამ ზრუნვა შიშზე ძლიერია. და ის უტებს მუსიკას, ყოველ ახალ ნაწარმოებს უტებს.

— თქვენ მანებრივით, მე კი ამდენი დრო არ დამჩინია! — ათორთულულ ბავშვს წყდება ხელოვანის საბედისწერი სიტყვები. ის ნაზობს.

რაც უფრო ღიბნანს უხდებთ ქალსა და ვაცს ერთად ყოფნა, მით უფრო საგრძნობი ხდება დაძაბულობა, და თითქოს გარემოება მოითხოვს დროდადრო მათს დაცილებას.

სისორე ამლიერებს ნამდვილ სიყვარულს და აქარწყლებს ზერელე გრძნობას. ხშირი, ერთფეროვანი სიასლოვე რამდენადმე ანელებს სიყვარულის მომზობლობას, და სანდი ხშირად ფიქრის საშინელ ფაქტებს, რომლებიც გვიან ასე დაურიღებლად ათქმევინა იხსენმა ჰედა გაბლურს: „საშინელბა ეს, მეთლს სიცოცხლეში უცქირი ერთსა და იმავე მამაკაცს...“

მაინც მაიორკაზე გატარებული ექვსი თვე ბედნიერი დროა ორივეს ცხოვრებაში არის ამაში რაღაც მომზობლავი, ამალელებული, მშვენიერი. ზღვა ბობოქრობს და ცხრება, როგორც დიდი სიყვარულით ამოძრავებული მეკრდი, და ბედნიერებს ზოგჯერ შხამავს მხოლდ შეყვარებულთა შუბლა, რაც გამანადვურებლად მოქმედებს შოგენის გულზე.

სუსხიანი და გრძელი ზამთარი დაიჭირა მაიორკაზე. შოგენის ვენაშიტილების მდგომარეობა უარსდება. ქარი წვიის, მზის გრავილბას და ბავშვები იცინან, შოგენი კი ახვლებს... და კუნძულზე მისი გაჩერება თვითმგელელობის თანაბარი იქნება; როგორც კი სასიკეთო ამინდი დაიჭირა, სანდი სასწრაფოდ ტოვებს მოლულ ედემს. თებერლის ბოლოს უკვე საფრანგეთის მიწაზე არიან.

სიყვარული სიკვდილზე ძლიერიაო, იტყვიან. შოგენია ამისი ერთ-ერთი მოწმე.

მარსელში ავადმყოფმა მოიხედა. ისევ დაიხია სიკვდილის არჩილიბა. შოგენი სანდისა და ბავშვების თანხლებით მთელი კვირა სტერნობს...

იმ დღეებში ნეაპოლში თავი მოიკლა სახელგანთქმულმა მომღერალმა ადოლფ ნურნი. ის ფანჯრიდან გადავარდა და ქვაფენილზე სასიკვდილოდ დაშავდა. ცოლი მის ნეშტს პარიზისაგან მიასვენებს. შოგენს სამკვლიარო რომანსის შესრულება უხდება უკავრის ინსტრუმენტზე, დიდძალი ხალხი აწყდება დარბაზს, რომ ვირტუოსს მოუსმინონ, მაგრამ უმრავლესობა უკმაყოფილო რჩება. მათ ეგონათ, რომ გენიალბა ხმაურისა, დარწმუნებული იყვნენ რომ რამდენიმე სიმე მაინც გაწყდებოდა, შოგენმა კი მოლოდინი არ გააპარებლა — ბირქით, ისე ნაზდ შესარულა შუბრტის „თანავარსკვლევი“, ნურის საყვარელი სიმღერა, რომ მსმენელთა დიდ ნაწილს გარკვეულ ყურებმა ვერაფერი უშეძლა და რაკი ვერაფერი გაიკვს, ბუზღენი მორთეს.

მიჯნურები ამის მიუხედავად გზას განაგრძობენ.





იოსებ გრიშაშვილი და ქართული თეატრი

(დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად).

გიორგი ციციშვილი



ართული საბჭოთა ლიტერატურის სახელოვან მოღვაწეს და ქართული ლექსის შესანიშნავ დიდოსტატს, ი. გრიშაშვილს, ქართულ თეატრთან მრავალი ათეული წლის მეგობრობა აყვშირებს. ხანგრძლივმა და მჭიდრო შემოქმედებითმა უზიერილობამ თვითმყოფი ქართული ნაციონალური კულტურის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგთან, როგორცაა უმდიდრესი ტრადიციების მქონე ეროვნული თეატრალური ხელოვნება, უაღრესად კეთილსამყოფელი გავლენა მოახდინა იოსებ გრიშაშვილის, როგორც მწერლისა და მოქალაქის, ფორმირებაზე.

და დღეს, როდესაც ჩვენი ხალხი, საბჭოთა საზოგადოებრიობა, გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღინიშნავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამ გამოჩენილი წარმომადგენლის 70 წლის იუბილეს, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც მოუძღვის ქართულ თეატრს ი. გრიშაშვილის სახელოვან მოღვაწედ და შემოქმედად ჩამოყალიბებაში. ქართულმა სცენამ ჯერ თავისი კალთის ქვეშ შეაფარა და გამოხარდა პატარა სოსო და შემდეგ ქართულ მწერლობას გადაუღოცა იგი, მაგრამ ისე, რომ არც თავის გულიდან მოუწყვეტია სამუდამოდ.

ხანგრძლივად და მრავალფეროვანია ი. გრიშაშვილის ლიტერატურული საქმიანობა — პოეტის, მკვლევარის, მთარგმნელის, მემუარისტის, ასევე მრავალფეროვანია მისი თეატრალური მოღვაწეობაც, როგორც თეატრის ისტორიკოსის, თეატრალური რეცენზენტის, ძველი სცენისმოყვარისა და დამატვლ-რეჟისორის, რევოლუციამდელი პროფესიული ქართული თეატრის მსახიობისა და მოყარნახის, დრამატურგისა და თეატრალის.

მეტად საგულისხმოა, რომ ი. გრიშაშვილი ლიტერატურულმა თეატრიდან მოვიდა, რომ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას წინ თეატრალური საქმიანობა უსწრებდა. ჩვენმა გამოჩენილმა პოეტმა წერა ბიესებით დაიწყო ამ პოეზიამდე, ჯერ დრამატურგიაში სცადა თავისი კალამი. მართალია, ეს დარგებშიც მხოლოდ ეპიზოდურად დარჩა მის ცხოვრებაში და დრამატურგობა თავისებურ შემამზადებულ ეტაპად მოგვეციონა, მაგრამ ამ ფაქტში თეატრალური მოღვაწეობისაში ის სწრაფვა ჩანს, რომელიც მთელ სიცოცხლეში არ ჩამქრალა და რომელმაც უფრო სრულად თეატრისადმი სამსახურის სხვა ფორმაში იჩინა თავი.

პირველი 1904-1905 წლებში, როდესაც ტაბუკი სოსო ჯიჯიას გზაზე არა შემდგარიყო, იგი ხარჭობის სცენისმოყვარეთა წრის აქტიური წევრი ხდება და სულ მალე, 1906 წელს, თვით აარსებს სცენისმოყვარეთა ჯგუფს,

რომლითაც ხშირად გამოდის ხარჭობის ავღაბრის, ვერისა და ავგალის მუშათა აუდიტორიებში, დადის საგანსტროლოდ წყნეთსა და დიღომში.

ამ ხანებში სცენისმოყვარეები გრიშაშვილის ხელმძღვანელობითა და რეჟისორობით დგამენ სკეტჩებს და ბიეს-ვოდევილებს. ეს ბიესები უმთავრესად ე. წ. მურაშკოს თეატრში იდგმებოდა.

სცენისმოყვარეთა წრეში გრიშაშვილი ერთდროულად რეჟისორიცაა, მსახიობიც და მოყარნახიც.

სცენით ვატყუებს დრამატურგიით ვატყუება მოსდევს და 1905-1907 წლებში გრიშაშვილი ზედზედ წერს ვოდევილებს „ტიმოთეს ლედი“, „ზოიკოტი“, „ჯაშუში“, „ლოთობა ორთაქალაში“.

ყველა ისინი ერთ-ორ მოქმედებიანი და მარტივიუქებიანი ბიესებია, ჩვენ მოქმედი პირით, რაც აადვილდა მათ სცენაზე დადგამას.

რამდენადაც ი. გრიშაშვილის სასცენო და დრამატურგიული მოღვაწეობა მისი შემოქმედების ნაკლებად ცნობილი უბანია, ჩვენ უნდა შევეჩერდეთ მასზე.

განსაკუთრებული პოპულარიობით სარგებლობდა გრიშაშვილის ბიესა „ტიმოთეს ლედი“. არ იყო სცენისმოყვარეთა არცერთი წრე, არც თბილისში და არც საქართველოს რაიონებში, რომ იქ ეს მხიარული ვოდევილი არ დაედგათ. „ტიმოთეს ლედი“ ი. გრიშაშვილის პირველი ნაწარმოებია დრამატულ ენაში. იგი გადმოქართულულ-გადმოკეთებულ ბიესს წარმოადგენს.

იღურ-შინაარსობრივად გრიშაშვილის დრამატულ ნაწარმოებთან ყველაზე საინტერესოა ორმოქმედებიანი ბიესა „ზოიკოტი“. თუბა მისი სიუჟეტური ქარაჯი მეტად სადაა, მაგრამ იმდროინდელი დემოკრატიული მაცურებელი დიდის ინტერესით აღევენება თვალს მის განვითარებას. ერთ-ერთი ჩარჩა-გაპირი დღესის ბიჭად დაქირავებულ ყმაწვილს უწყალოდ ჩაგრაგებს, მაგრამ ყმაწვილი დაუკავშირდება პროფკავშირების წარმომადგენლებს, რომელნიც დარაზმავენ ხალხს გაჭირს წინააღმდეგ და ბოიკოსტ გაიმოუხსადებენ მას. ეს ბიესა მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნების ზრდაზე ლაპარაკობდა და ხალხის საზოგადოებრივი აქტივობის ივენად ქადაგებდა. ეს ბიესაც მრავალჯერ ყოფილა წარმოდგენილი.

საინტერესოა ი. გრიშაშვილის მიერ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში დაწერილი მეორე ბიესაც — „ჯაშუში“. იგი რეაქციონერთა ბილწი სახის მიხედვას ისახავდა მიზნად და ხალხის დევნისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ ბიესას სატრულო სახითი ჰქონდა და „ჯაშუში-გამეცმთა საზოგადოებრივმა“ ახმელდა.

ი. გრიშაშვილის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ლოთოე-

1 ეს თეატრი მდებარეობდა ნავთობში. იგი დაარსებული იყო შტაბს-კაპიტან მურაშკოს მიერ ძველი რუსული არმიის „დაბალი ჩინების“ სალდებო-საავისის. სწორედ ამ შერეობას ქირაობდნენ ხოლმე სცენის მოყვარენი.



ბი ორთაჭალაში“ ყაზბეგისა და ვაყის წაბაძით დაწერილ ქანთელ სტენგე წარმოადგენდა და კინტოების გაკილვას სანახვად მიზნად.

1907 წელს ქართველ მსახიობთა დასი გ. გუნისა ხელმძღვანელობით ხარფულზე დ. ერისთავის „სამშობლოს“ მდგამად. დასის მოკარნაჭე, ცნობილი თეატრული ზღვარად ახოსპირელი შემთხვევითი დამთრალიყო და ვალერიან გუნის მიმავერი სუფილიობობა სკენის მოყვარეთა წრის მოკარნახეს ი. გრიშაშვილს დაავალა.

ეს სახატა შემთხვევა იქცა გრიშაშვილისა და გუნისა ხანგრძლივი მეგობრობის დასაწყისად. გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა დიდმა პატრონტმა და მოქალაქემ, ვალერიან გუნამ მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინა ახალგაზრდა პოეტისადმი (რომელსაც მაშინ, სხვათა შორის, უკვე გამოქვეყნული ჰქონდა ლექსების პირველი წიგნი „ვარდის კონა“). გუნამ დაახლოვა იგი ქართველ მსახიობთა ამხანაგობასა და მისსავე რეაქტორობით არსებულ გაზეტს — „ნიშადურს“, რომლის თანაშემრამელიც მალე ვაზდა ახალგაზრდა პოეტი. 18 წლის ი. გრიშაშვილმა „ნიშადურში“ იმავე 1907 წელს გამოაქვეყნა ორი საგულისხმო ლექსი — ერთი ილიას მკვლელობაზე და მეორე მეტროლი პათოსით გაუღმთილი „ტუსაღის სიმღერა“.

მალე ი. გრიშაშვილი ქართული დასის სუფილიობი გახდა. მას შემთხვევა მიეცა დაახლოვებოდა ქართული თეატრის დიდ კორიფეებს ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნია-ცაგარლისას, მაკო საფაროვა-აბაშიძისას.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ამ თავის პირველ სათეატრო საქმიანობას თვით პოეტი: „ბევრსად მითვებამ და ვიმეორებ, რომ ქართული თეატრი ჩემთვის ნამდვილი აკადემია იყო. რაც სკოლაში დამავალა, იქ შევიცნე. ბიესის მთავარ მართვს სულ ადვილად ვიჭერი. ქართული დრამატურეების ვარდა უცხოელი დრამატურეების ნაწარმოებებსაც ვეცნობოდი. ვკარნახობდი შექპირების, შიღერის, მოლიერის ბიესებს... თითქმის ყველა კლასიკოსის ბიესა, რომლებიც დაუდგამთ ქართულ სცენაზე, მოკარნახებობის დროს გავიხსიერი... მეგრ რა ბუმბერაზ მსახიობებთან მქონდა საქმე! მათი სახელების გასხენება ახლაც ვრუნტულს მგერის... მათი მეოხებით მე ვეცნობოდი „ჰამლეტის“, „ოტელოს“, „ურედი აკოსტას“, ახლაც თვალწინ მიდგა აკოსტას ვახტება სინაგოვაში, ვასო აბაშიძის დიდილი, ნატო გაბუნისა ხანუშას ფაშაში...“

ამავე ხანებში იწყება ი. გრიშაშვილის სამსახიობო კარიერაც ქართულ დასში, სადაც იგი ჯერ სტატისტიად იყო და შემდეგ სპექტაკლებშიც შეიყვანეს.

1907-13 წლებში ი. გრიშაშვილმა ოცამდე სხვადასხვა როლი შესარულა. მაგალითად: ვ. სუნდელიანის „პეპოში“ — ბუბოს მეგობრის კაქუსლის; ვ. გუნისა „და მამაში“ — გიორგისა, დავით აწყურელის „ორ მშვიერში“ — ერთერთი მშვიერისა, ალ. ყაზბეგის „არსენაში“ — სირაჯისა, ივ. მანაბელის მიერ გადმოკეთებულ „ადვოკატ მელაქიში“ — მელაქისა, „ჰამლეტში“ — მესაფლაკისა, შ. დადიანის — „როს ნადიმობდენში“ — პირველი მსახურისა, ა. ცაგარლის „ციმბირელში“ — კავკაველი ბუტუსისა, ი. გვედელიშვილის „მსხვერპლის“ — გუგუხის პატარა ბიჭისა და მრავალ სხვაში. ამით იგი თითქმის აგრძელებდა იმ ტრადიციას, რომელსაც ვ. ერისთავმა, დ. ყფიანმა, ილ.

ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, ვაყა-ფშაველამ, ალ. ყაზბეგმა დაუდეს სათავე; როგორც ცნობილია, ეს ბუმბერაზი მწერლები ხშირად გამოდიოდნენ სცენაზე და ზოგჯერ სულ უბრალო, უპიზოდურ როლებს ასრულებდნენ, რითაც არა მარტო ამტიციებდნენ თავის პატივისცემას თეატრისადმი, არამედ სახელსა და პოპულიარობას უხებდნენ მას.

ი. გრიშაშვილს ბედნიერება ჰქონდა ყოფილიყო პარტიზონი ისეთი დიდი ქართველი მსახიობებისა, როგორც იცნობს ვასო აბაშიძე, რომელსაცც ერთად თამაშობდა იგი „არსენაში“, ვ. გუნისაი რომელთანაც ერთად თამაშობდა იგი „და მამაში“, ელ. ჩერქიზიშვილის, ნ. გუციურიძის, ალ. იმედაშვილის, არაღელ-იშხნელის და სხვათა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ი. გრიშაშვილის სასცენო და დრამატურული მოღვაწეობა უაღრესად მჭერმეტყველი საბუთი ქართულ თეატრთან უახლოესი ურთიერთობისა, რომელსაც უბილარის თეატრთან კავშირზე ვლასარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მისი როგორც თეატრალური ისტორიკოსის ნაყოფიერი საქმიანობა მოვიხსენიოთ.

ი. გრიშაშვილმა, როგორც ქართული თეატრის მკვლევარმა, არა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ნარკვევ შეგვიძინა. ქართული თეატრის ისტორიაზე მუშაობა მიყვარდ მენიერულ საფუძველზე სულ ახლახან დადგა და გრიშაშვილი ქართული თეატრის ისტორიის დამუშავების საქმეში ერთ-ერთ პიონერად გვევლინება.

მის წერილები თეატრზე გამოირჩევიან საკნის ჩინებული ცოდნით, მდიდარი ფაქტობრი მასალით, მეცნიერულ კეთილსინდისიერებით, დიდი სისუსტით, ობიექტურობით და ისეთი შესანიშნავი დამოცემობით, რომ სინტაქსისო რომანტიზებით იკითხებინა.

ი. გრიშაშვილის გამოკვლევები „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „ქართული შექპირება და ივანე მარაბული“, „ავქსენტი ცაგარელი“, „ყაზბეგ როგორც მსახიობი“, „ოსტროვსკი საქართველოში“ ისევე, როგორც ნარკვევები ქართულ სცენაზე მაქსიმ გორკის ბიესების, გოგოლის „რევიუნი“, გაბრიელ სუნდელიანის ნაწარმოებთა დადგმის შესახებ, ნარკვევები ლადო მესხიშვილზე, კოტე მარჯანიშვილზე და სხვაზე — ფრიად ძვირფასი ნაშრომებია, რომელთაც თეატრის ვერც ერთი ისტორიკოსი ვერც დღე აუპლის და რომელნიც ამ ისტორიის არა ერთ მივიწყებულ ფურცელს ალადავენ.

ი. გრიშაშვილმა პირველმა შესწავლა და გავაცნო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთი მანამდე მივიწყებული მხარე — მისი საქმიანობა ქართულ თეატრში. ამ 22 წლის წინ ილია იუბილეს დღეებში დაწერილ ნარკვევებ ავტორმა მდიდარი ფაქტობრი მასალის საფუძველზე და საარქივო საბუთების დრამა შესწავლის გზით დამოუკიდებლად ილ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელი როლი მუდმივი პროფესიული დასის ორგანიზაციის საქმეში; გვიჩვენა, თუ როგორ შემოიკრიბა და დარაზმა დადგმა ილიამ ცნობილი თეატრალური მ. თუმანიშვილი, დ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი, მსახიობები ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, კოტე ყფიანია, კოტე მესხი და როგორ დააყენა მტიციე საფუძველზე ქართული თეატრის საქმე.

ილ. ჭავჭავაძის მიერ შემოკრებილი თეატრალური

ახალგაზრდობა სულ მალე ქართული სცენის ბურჟუაზი, მის კორიფეებად იქცნენ.

ამ ნარკვევში ბირველადაა დაზუსტებული და ვრცლად გარჩეული ილ. ჭავჭავაძის დრამატურგიული ნაწარმოებები, როგორც უშუალოდ მის მიერ შექმნილი, ისე სხვათა მიერ ინსცენირებულიც (დაწვრილი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან 1937 წლამდე). მათი რიცხვი კი ოცამდე აღწევს. ამავე წერილში ი. გრიშაშვილმა ბირველად მოჰფინა სინათლე ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სცენური განახიერების ისტორიას. ეს ნარკვევი ძვირფასი წვლილია ილ. ჭავჭავაძის ცხოვრება-შემოქმედების შესწავლის საქმეში, ვის შესახებაც მონოგრაფიული ნაშრომი, სამწუხაროდ, ჯერაც არ მოგვეპოვება.

მეორე ვრცელი ნარკვევი „ალ. ყაზბეგი როგორც მსახიობი“ უღარესად საინტერესო გამოიკვეცა. აქ ავტორი ეწეროდ კი არ იფარგლება საკითხით, არამედ გვაწვდის მრავალ საყურადღებო ცნობას ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ი. გრიშაშვილს ღრმად აქვს დაასიათებული ის ეპოქა და სოციალური გარემო, რომელშიც ა. ყაზბეგის მხატვრული ნიჭი გაიშალა. ავტორის მომწვლილებული აქვს არაერთი მანამდე უცნობი საარქივო დოკუმენტი. დიდი ცოდნით დაწერილი ეს ნარკვევი, არა მარტო გვაცნობს პროფესიული ქართული თეატრის ერთ-ერთი პირველ მსახიობისა და მხარის მიმცემის მრავალწლიან თეატრალურ მოღვაწეობას, არამედ იმ დროინდელი ქართული თეატრალური ცხოვრების თავისებურ მატანედაც გვევლინება.

დიდი ხანია, რაც მსოფლიო ლიტერატურის ტიტანის — შექსპირის შემოქმედებისადმი ინტერესი გადაიქცა სხვადასხვა ერთა კულტურული განვითარებისა და მათი ესთეტიკურ-ინტელექტური სიმწიფის თავისებური საზომად. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მსოფლიოს ნაციონალურ თეატრთა შორის ბევრი არ აღმოჩნდება ისეთი, რომელსაც იმნაირი განუწყვეტელი და უქრობი ინტერესი ჰქონდეს შექსპირისადმი, როგორც ქართულ თეატრს. საკულისხმოა, რომ ქართულად შექსპირი ბევრად უფრო აღრე ითარგმნა, ვიდრე ზოგიერთ ევროპულ ენაზე. შექსპირის ნაწარმოებთა მართებული იდეურ-შინაარსობრივი გაგებისა და მათი მაღალმატვრული სცენური განახიერების საქმეში, ქართულ თეატრალურ ხელოვნებას უღარესად მდიდარი ტრადიციები მოეპოვება. ქართულმა რევოლუციამდელმა და საბჭოთა თეატრმა დიდი წვლილი შეიტანა შექსპირის სწორი ინტერპრეტაციისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ქართულ შექსპირიანას ერთი საუკუნის ისტორია აქვს. იგი გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება და გერაც არ დამთავრებულა. შექსპირის მარხლისეული თარგმანები შექსპირის უცხო ენებზე თარგმნის კლასიკურ და ახერც სწორუპოვარ ნიმუშებად გვევლინებიან.

ი. გრიშაშვილის ნარკვევმა „ქართული შექსპირიანა და ივ. მაჩაბელი“ ამ დიდი კულტურულ-ლიტერატურული მოძრაობის ისტორია ადგვიდგინა და ქართული თეატრის წარსულის არა ერთი ბელი კუნძული გაგვიანათა. ამ წერილში მოცემულია შექსპირის ქართულად თარგმნის ისტორია (თარგმანები დ. ყიფიანის, ლ. არდაზიანის, მიხ. ყიფიანის, ანტ. ფურცელაძის, ილ. ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბლის). ცალკეულ თარგმანთა გზადგვა გარჩეული, შექსპირის



ლ. კანდელიაქი მეუბნის ი. გრიშაშვილის პორტრეტზე

რის პიესების ქართულ სცენაზე დადგმის ისტორია (დამდგმელ-რეჟისორთა და მსახიობ შემსრულებელთა ჩვენებით, მათი თამაშის მანერის დახასიათებით); აქვე განხილულია იმდროინდელი პრესის შეფასება-რეცენზიებიც განსაკუთრებით საყურადღებოა ქართულ თარგმანთა ის ენობრივ-სტილისტური ანალიზი, რომელიც ი. გრიშაშვილის ამ ნაშრომშია მოცემული.

ავსტენტ ცაგარლის შემოქმედება ქართული დრამატურგიული მწერლობისა და, კერძოდ, ორიგინალური ნაციონალური კომედიოგრაფიის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

ავსტ. ცაგარელი ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი რეფორმატორია. ამ უნიკერესმა მწერალმა ქართული დრამატურგია გამოიყვანა იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი XIX ს. გამართობი, და უშინაარსო ფრანგული კომედიოგრაფიის (ე. სკრიბის, ვ. სარდუს, ემ. ოჟეის, ალ. დიუმეშვილის) მიმბაძველობამ ჩააყენა.

და ის, ვინც ბირველმა დაუპირისპირა უიდეო, უშინა-



არსო მსუბუქ ფიდელებს ღრმად იდევრი, პროგრესულ-დემოკრატიული სულით ამტკველებული, რევოლუციურად განწყობილი ბიესები, შექმნილი ქართული სინამდვილის მასობაზე. — ასაკო ცვაკარლი იყო. ავკსენტი ცაპარელი ქართულ ღრამატურგიაში პროგრესულ-რევოლუციური ეტაპის დამწყებად და XIX ს. მეორე ნახევრის ეროვნული დამატურგის დიდ ფიგურად მიგველიან.

მაგრამ საკარგიველი ის იყო, რომ თვით ოცდაათიან წლებამდე ჩვენ თითქმის არავფერი არ ვიცოდით ამ დაწულ-მასილი პროკუნების შესახებ, მაშინ როცა მისი ბიესები ვასილი საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დაწყებული განუწყვეტლოვ იდგებოდა ქართულ სცენაზე. ჩვენ არ გვეონდა არც ბიბლიოგრაფია ცვაკარლის ნაწარმოებთა, არც მისი ბიესების კრებულები; არ ვიცოდით ზუსტად არც დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, არც ბიოგრაფიული ქარვა ამ კოლორიტული ღრამატურგისა. და ეს საშვილიშვილო საქმე თვითან ბოლომდე ი. გრიშაშვილმა გააკეთა, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ღრამატურგის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დამუშავებაში.

1936 წელს მან გამოსცა ავკს. ცაპარლის ბიესები ერთ ტომად და დასწერა ამ მივიწყებული ღრამატურგის დაწვრილებითი ბიოგრაფია. ი. გრიშაშვილის ენული გამოცემა ა. ცაპარლის თხზულებებისა სანიშნოა მეცნიერული ახარტის მხრივ. ა. ცაპარლის ბიესებს რედაქტორ-გამომცემელმა დაურთო ლექსიკონი და დიდად საყურადღებო შენიშვნები. ეს შენიშვნები სცილდებიან ბიბლიოგრაფიულ ფარგლებს და თეატრის ისტორიისთვის ძვირფასი ფაქტების მნიშვნელობას იძენენ.

ბიესების ერთტომეულს წამდგარებული ავკს მონოგრაფიული ხასიათის გამოცემა ა. ცაპარლის შემოქმედების შესახებ, რომელიც დღესაც ღრამატურგული ნიშნულობის ღრმა და ობიექტური კვლევის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

ჟღერებად საინტერესოანი არიან ი. გრიშაშვილის წერილები, მიძღვნილი მოძმე ერთა თეატრალური და ლიტერატურული ურთიერთობებისადმი, კერძოდ მისი ნარკვევები, რომლებშიც განხილულია დიდი რუსი ღრამატურგების ვოკოლის, ოსტროვსკის, ჩეხოვის და გორკის ნაწარმოებთა ქართულ სცენაზე დადგმის საკითხები.

ი. გრიშაშვილი ჩვენი უხუცესი და ფრიად ნაყოფიერი თეატრალური რეცენზენტია. დიდი გემოვნებით, პროფესიული ცოდნით, სპექტაკლებში ღრმა წვდომით დაწერილი მისი რეცენზიან-წერილები მიუღვამილობითა და ობიექტურობით გამოირჩევიან.

ი. გრიშაშვილის მრავალი რეცენზია, რომელთაგან ზოგიერთი ათეული წლის წინაა დაწერილი, ამჟამად წარმოადგენს ერთადერთ დოკუმენტურ წყაროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს თეატრალური ცხოვრების გარდასულ ფაქტებზე ვიხსჯულებოდ. არ შეიძლება მაგალითად, არ მოვიხსენიოთ რეცენზია „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე (ეს იყო პირველი წერილი ამ ნაწიანალური ოპერის შესახებ), მისი წერილები ს. ანბეტელის მიერ დადგმულ ოსკარ უალის „სალომეაზე“ ს. ანბეტელისავე დადგმულ ა. ცაპარლის ბიესაზე „რაც გინახავს გედარ ნახაგ“; კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ შექპის-

რის „ოტელოზე“, სადაც დიდი ოსტატობითაა გარკვეული უშინავი ჩხვილის მიერ შექმნილი იაგოს სახე. და სხვა.

დიდი ალღის მქონე რეცენზენტმა სცენის არაერთ დამწყებ შემოქმედს დაულოცა გზა და მომავალი წარმატება უწინასწარამტკველა. მაგალითად, ი. გრიშაშვილი იყო პირველი, ვინც სცენაზე 12 წლის ვახტანგ ჭაბუკიანის განუყოფრებული პლასტია შენიშნა და ერთ-ერთ თავის რეცენზიაში მისი ბრწყინვალე მომავალი განჭვრიტა.

ი. გრიშაშვილის ნარკვევი დ. მესხიშვილი — „სუფლიორის ნიჟარიდან“ ერთდროულად ამ გენიალური აქტიორის დახასიათების ცდაცა და მემუარული ლიტერატურის უაღრესად საინტერესო ნიმუშიც. დ. მესხიშვილმა წარუშლილი შთაბეჭდილება დატოვა პოეტზე და მანად უქრობს ნათელ სვეტად აკიავდა მის მესხიერებაში.

„და თუ რამ სუფვავ ჩემში კეთილი გარძობის სიმართლე, რითმის კალხა სულ შენგანა მამკს ამოკვეთილი, შენს სიუხვამ რამეუვალობა.“

...თუ ჩემს მოუზიას დაიწმე მშვენიერი გარძობების ელფერი დაკარავს — წერს ი. გრიშაშვილი — ეს სულ ლაღის შესანიშნავი განცდების ჩანაზერია. რა ბედნიერება მხვდა წილად, რომ მე მოკარანხის ნიჟარიდან სიტყვებს ვაწოდებდი მის აუოსტას, მით ჰამლექს! ჰამლექსი ის ხომ არ თამაშობდა: დაცურავდა სცედისა და მწუხარების უძირი ზღაპში, ზოჯვერ მის თამაშს ისე გაუტაცნივარ, რომ დამეწყებია ჩემი მოკლეობა.

ლაღო მესხიშვილთან ერთად ი. გრიშაშვილის ბედილბალებს უდიდესი გავლენა მოახდინა მეორე დიდმა ქართველმა მასხიორმა, ღრამატურგმა და თეატრალურმა მოღვაწემ გრიშაშვილმა გუნიაშვილმა, როგორც ზემოთ აღვნიშნულსწორედ გ. გუნიაშვილმა დაახლოვა გარეუბნული ბიჭი პროფესიულ თეატრის, ხოლო როგორც გამოიხატულა — თბილისის უცნობელ-გაზეთების რედაქციებს.

1917 წელს გუნიაშვილი იუბილესთან დაკავშირებით პოეტი ასე მიმართავდა ქართული თეატრის „დათოვლილ მედროშეს“:

„თუ მე გზისა წინამძღოლად ეს ვაღიკო არ მყოლოდა, თუ აღერსით არ შეეშოო თვალს ცრემლით განაანია, და არ ეთქვა: დაისწავლე — ეს ანია, ეს კი ხანი, შეიძლება მე, პოეტი, დღეს ლექსებზე აჯავთული, უყოფილივავ ვინმე მავნე, ბოროტი და უჩაღლები.“

ათიან წლებში ი. გრიშაშვილი უხსლოვებდა იმ დროის პროგრესულ თურნალს „თეატრის და ცხოვრებას“, რომელსაც ცნობილი ქართველი მწერალი და თეატრალური მოღვაწე ოსებ იმედაშვილი ცემდა და ამ ხნიდან თურნალის დახურვამდე მუდმივად თანამშრომლობს მასში. ახლო კავშირშია „თეატრისა და ცხოვრებასთან“ და მის ირგვლივ თავმოყრილი მოწინავე თეატრალურ წრეებთან კიდევ უფრო დაახლოვა პოეტი ქართულ სცენას და ისეთ მოწინავე ღრამატურგებს, როგორიც იყვნენ შალვა დადიანი, ოსებ გედევანიშვილი, ნიკო შიუკაშვილი, ტრიფონ რამიშვილი, სიო ჭანტუიანიშვილი, ვალერიან შალივაშვილი, პაპოლო ირეთელი, ია ეკალაძე და სხვანი.

ვანსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. რევოლუციამდელ პერიოდში გრიშაშ-



ჯლის პოეზიაში სატრფიალო ლირიკის მოტივები სჭარხობდა. მართალია, სახეებით უმართებულო იყო მტივცება თითქმის მას არ ჰქონდა იმ პერიოდში სამოქალაქო ლირიკის ნიმუშები (როგორც ამას ფიქრობდნენ ჟ. ლომთათიძე, კიტა აბაშიძე, გრიგოლ რომაძიძე და სხვანი), მაგრამ ის კი უცლობელია, რომ ი. გრიშაშვილის პოეზიაში პირა-ნიტობური სასიყვარულო თემა სჭარბობდა. სატრფიალო-სამიჯნური ხასიათის ლექსებითაა შედარებით, მეზობლი შემართებითა და პატრიოტული გზნებით დაწერილი ლექსები — ისეთები, მაგალითად, როგორიც არის „ვიღრე მიღვას პირში სული“, „ტუსაღის სიმღერა“, „გოდოლა“, „მუშის სიმღერა“, „ამხანაგებს“, „დაპბერე ქარო“ და სხვანი, გამოქვეყნებული 1905 წელს რევოლუციის პერიოდში, შედარებით უკანა პლანზე მოჩანდნენ.

მაგრამ თანდათან, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომისა და შემდეგ რევოლუციის წლებში ძალუმად აყვრდნენ ი. გრიშაშვილის მიერ პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსები. და უაღრესად საკუთლო ხმითაა, რომ ი. გრიშაშვილის პატრიოტული მოტივი, მისი სამოქალაქო ლირიკა ბევრითაა შთაგონებული და წაბიძგებული ქართული თეატრით და მისი მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი მოღვაწეებით.

იმ დუბჰირ დროში, როცა საქართველო სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის ორმავ მარწყუბეში გმინავდა, პრეგრესული ქართული თეატრი ყოველთვის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კერა, მისი აკვანცე. ქართული თეატრი ის მაღალი სამხრელო იყო, საიდანაც ქართული სიტყვა გრგვინავდა, ხოლო მისი ზოგიერთი მოღვაწე, როგორც იყო მაგალითად, ლალი მესხიშვილი, იუსტიის პირველი რევოლუციის წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მდროშედ, მის მუხათბატრედ გვევლინებოდა.

და სწორედ ასეთ მოწინავე თეატრთან კავშირითა და მისი დამარზაზველ-მაორგანიზებელი ძალითაა შთაგონებული პატრიოტული სულისკვეთებით და რევოლუციური განწყობით ამტყველებული არაერთი ლექსი ი. გრიშაშვილისა, საყურადღებოა, რომ ამ ლექსებში მხატვრულ სახეებად სიმბოლოებად, პოეტური აქსესულის ელემენტებად და მხირად სიუჟეტური-მინაზობრივ ხერხემადად გამოყენებულია იმდროინდელი ქართული დრამატურგიისა და თეატრის მხატვრულ-სცენური სახეები. აი, ამის რამდენიმე მაგალითი: რევოლუციის წინა წლებში პოეტი ასე ევტეტურად და ოსტატურად იყენებდა ალექსანდრე სუმბათაშვილის პოპულარული ბიჰისის „ლადატის“ სახეებს:

„როცა ტანჯვის განცდა მიზდა და ვერა ხოლმე შე ზდაპარასა,
წე ი ნასა ტანჯვას ვიხვო სამშობლოსგან მონაპარასა,
როცა მიზდა ჩემს ლექსებზე ოპიაშდეს ძვების ქარი
მაკონდება რუ ქაია, რუქია ჯადოქარი...“
„როს წაყვარებ გულგატეხულს ააჩა გეწმს მომავალი
მამონ შენსკენ იშორება, ოთარ ბე გო, ჩვენი თვალთ.“
„ხოლო როცა საქართველოს, ისტე დამწერ-დატანჯულსა
უყვირდა მიწა-წყალსა, უგანებდნენას, რჯულსა, —
მამონ მესტე მავონდება ანა წაა თავის ფიცით
და მსურს მეც ვთქვა: ხანჯლის დაკერა ქართულებმა გულში
ვიცით...“

მეორე ლექსში „მესამე მოქმედება“ რევოლუციით აღტკინებულ პოეტს თავი დათოვ წარმოუდგენია:

„ხალში ჯამაათი, ხომ მიცანით, თუ ვარ ვინ მე?
მე ვარ დათოი და მე ვიბრძვი ჩემს დატანჯულ მასს
კვეწინთვის,
ალრახაი? მე მოკვალი, მე ვაგვანვე საიქიოს
ვინც ბჰია — წინ აღმიდგეს, ვინც ბჰია — დამწეროს...“

და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ვ. გუნიასადმი მიძღვნილ ლექსს ამშვენებს მისი ცნობილი, აწ უწყვე ილი-ობად ქვეული სიტყვები:

„ჩვენ ერეკლეს თოფხანაში გაზრდილი ვართ თითქმის
მწველა“.

ამვერადვე, როცა პოეტს თავისი გულშინალების კობტა, პოეტურ ფორმულაში გახვევა სურს, როცა იგი სანსუკარი ვაცცის, ან აზრის სულძირამწველმად თქმასა ლამოზს, მზირად მხარისას სცენურ სახეებს, მაგალითად, დეკადანსის პერიოდში, როცა სვედად, უკმაყოფილებამ უსასოობამ მიიყვანა მისი პოეზია, იგი წერდა:

„ამალებს სევდაჲ ნამად გადნი, გულს ჩემიაცე მოშოდე
ბოლოს“
(„ურჯა“)

პოპულარული რევოლუციამდელ ლექსებში „ჩემს დე-დემონას“ და „ჩემს ემხისავარს“ იგი თავის თავს ხან მე-ვე ლირს ადარებს, ხან ოტელოს, ხან მაკბეტს.

„ჩემთვის სცენა ოქროა, წინან ვერცხლი, თოთბერი;
ყველგან სუფვს მგოსანი, ვით სიმღერა, ვით ფერი.
და თუ მოკვდაც — თუ ზეცამ მგოსნის სუნთქვა შეგუბოს, —
აღბთა უკლესებიდან გაიტანენ ჩემს კუბოს“ — წერდა პოეტი

თავის საბოტრამო ლექსში — „გამოთვლიდა ძველ თბი-ლითთან, ანუ დღუღუსის საბერი სავარ მოკვებ“, რომლითაც იწყება პოეტის შემობრუნება სოციალისტური სინამდვილისაკენ, იგი წერდა:

„და მე არ ვციც ვიდას ვემონო,
ასეთ უფვაში თითქოს მოგბრდი...
ვრჩები ოტილო უდევდემონოდ
მე სხვა ცხოვრების წინამორბედი...“

სცენის, კულისების, ფარდის, თეატრალური რეკვიზი-ტის, თუ ბუტაფორიის, თეატრალური ნიღბების, სცენური სახეების, ბიესათა მოქმედი პირობის, ერთი სიტყვით, თეატრალურ-დრამატურგიული ვარემის სიმბოლოა და ასოციაციები ი. გრიშაშვილის მრავალ ლექსში იკრბობა. ასეთია, მაგალითად, ლექსები: „სცენიდან“, „მომღერალ ქალს“, „მსახიობის აღარება“, „სადღესასწაულო ნობათი“, „მშენიერი ტანჯვა“, „კრილოსანი“, „სამი მუნასი-ბი“, „მეტყველი ცეკვა“, „ქალი მსახიობი“, „რუსი მოცეკ-ვავე“, „გუსტროლოიის თაიგული“, „მარგარიტა გო-ტიე“, „ლექტორის ფოთლებში“, „ცარიელი სავარძელი“ და არაერთი სხვა.

ი. გრიშაშვილმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოიხვეტა ორიგინალური მიეთხველ-დეკლამატორის სახელი. მისი დეკლამაცია დიდად მოსწონდა ოლიტრატორისა და სცენის ისეთ კორიფეებს, როგორც იყვნენ აკაკი წერეთელი, ვაკა ფშავილა, ლალი მესხიშვილი, ვალერიან გუნია; მაგ-რამ ი. გრიშაშვილის დეკლამატორობაც სცენის სიყვარულმა წარმოშვა, ხოლო ლექსის კითხვის თავისებური



ჩვევები მან მაშინ გამოიშუშავა, როცა სცენაზე მოღვაწეობდა.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ი. გრიშაშვილის ცნობილი არადაცემები — პოეტური მიძღვნები. შემთხვევითი როდია, რომ არმაღანების ნახევარზე მეტი თეატრის მოღვაწეებს განეკუთვნებათ. ასეთია მისი ლექსები, მიძღვნილი ქართული სცენის ჯაღოქარის ლაღო მესხიშვილისადმი, ქართული სცენის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილისადმი, გამოჩენილი მსახიობების კ. მესხის, ვ. სარაჯიშვილის, ელ. ჩერქეზიშვილის, ვ. ანჯაფარიძის, ნ. ვაჩნაძისადმი და სხვათა მიმართ.

ზნორად ამ ლექსების კონდენსირებულ პოეტურ ბეჭდებში მოცემულია თეატრალური მოღვაწის ღვაწლისა და დამსახურების მოხდენილი დახასიათება. მავალითად კ. მარჯანიშვილზე პოეტი წერს:

კოტემ დასწმინდა სცენის მდინარე
ესოდენ ბუნდი ესოდენ მღვრია,
გადაგვალა ზღა მოცინარე
და ვარსკვლავების ბეგ შეარღვია.
ააგო ოქოსი სრა-ახპარჯი,
ჯერ არნახული, ჯერ არსად თქმული,
ნარნარი როგორც ანჯაფარიძე
ელვარე როგორც უშნავის გული.

ლ. მესხიშვილზე:

„შენ ჩანგი ხარ და ეგ თმები ეგ ჭალარა თვითუღლი
ხალხის გულის სიმება, ხალხის სუნთქოთა დარბუზული...“

და მართლაც ქართველ ხალხში ლ. მესხიშვილზე მეტი პოპულარობით ჯერ არც ერთ მსახიობს არ უსარგებელია. ნატა ვანჩაძეზე:

„მინდა ცისკრის ციმციმზე
შენ ერთს გიძღვნა თავიანი
და დედოცოთ ქართლის მზე,
ღამაზების აკვანი!...“

ქართულმა თეატრმა თავისებური კვალი დააჩინა ი. გრიშაშვილის პოეტურ ხელწერას, ლექსის შექმნის ინ-

დივიდუალურ მანერას. აქედან მოდის ის კეთილშობილი არტიტიზმი, რომელიც მის არა ერთ ლექსს ვერსიფიკაციისა და ორიგინალური ლექსთწერის შესანიშნავ ნიმუშად ხდის; აქედან მოდის მისი ლექსის დეკლამატორული ქვერადობა, ბერათა სიმდიდრე და კეთილშობილება; აქედან მოდის ის ინტონაციური მრავალფეროვნება, ფერასიოხევე, საზეიმოდ გასხივოსნებული ტონალობა და თავდაპირველი თეატრალური ეფექტურობა, რომელიც მის ლექსებს განუყოფრებელ ჯავარს ანიჭებს.

ამრიგად, ი. გრიშაშვილის კავშირი თეატრთან მარტო უშუალო თეატრალური საქმიანობით როდღ ამოიწურება. ქართული თეატრი და მის მოღვაწეთა სახეები ი. გრიშაშვილის პოეზიის შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ და მნიშვნელოვან თემატურ რკალად მოგვევლინა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის არც ერთი წარმომადგენლის შემოქმედებაში არაა შესული თეატრის თემა ისე ორგანულად და ისე უხვად, როგორც იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში.

ამ ნახევარი საუკუნის წინ თავის ერთ-ერთ ლექსში პოეტი ამბობდა:

„სამშობლომ მომცა ნები ღვთიერი
მას უნდა ვუძღვნა სიცოცხლე ჩემი...“

დღეს 70 წლის მიჯნაზე ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ საყვარელ პოეტს, რომ ეს კეთილშობილი ზრახვა მან პირნათლად შეასრულა. იგი ვალმობილია არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ქართული თეატრის წინაშეც.

და თუ ნაადრ სიტაბუქეში ი. გრიშაშვილი ნატრობდა:

„ახ, ნეტა ცა პირქუში არა მფარავდეს
და თმა სამშობლოს სასახურში გაპალარავდეს...“

ეს ნატვრად სრულად ახდა. პოეტის სამშობლოს თავისუფლების ცა ფარავს, ხოლო თვით მას, სამშობლოს სამსახურში გაპალარავებულ მგოსანს, ჩვენი ხალხი გულწრფელი სიყვარულით უსურვებს კიდევ დიდე ხნის დღეგრძელობას ქართული პოეზიის სასახელოდ.

გ. როინიძევილი

ზამთარი



დაულაპვი საბჟოთა მკვლეპარი

ზაღ მეცენგისერი



ილამაზით განთქმულ ქუთაისს შნოსა და ლაზათს მატებს ძველი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ქალაქის შემოგარენში გუშაგებოივით არიან აღმართულნი და თითქოს ქალაქის მყუდროებას დარაჯობენო: ბაგრატიის ტაძარი ცაღაზიდული დახასველული კედლებით, გეგუთის ციხე-დარბაზი, მწვანე-ყვავილა, შოწამეთა და ცოტა იქეთ გელათი. ამ სახელოვანი ძეგლების დასათვალისწინებლად უამრავი სტუმარი თუ ტურისტი ჩამოდის ქუთაისში ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მათი მეგზურია თეთრთმინანი მოხუცი, თავისი განუწყრელი საბიჯგი ჯოხით. ეს არის პეტრე ჰაბუკიანი — დეაწმოსილი სიძველეთმცოდნე, უანგარო აღამიანი, რომელიც 50 წელია დაუზარებლად ეძებს, ავროგებს, იკვლევს და ფარვანასავით თავს დასტრიალებს გარდასულ ეპოქათა ციხე-კოშკებს და ისტორიულ ნაქრძალებს.

ზაგშობიდანვე იყო პეტრე ჰაბუკიანი გატაცებული ძველი ციხე-კოშკების სიყვარულით, ვინ იცის რამდენჯერ აურბენია ბაგრატიის ტაძრისა და მწვანე-ყვავილას ნანგრევებზე, საიდანაც საათობით გარინდებული გადასცქეროდა მწვანეში ჩაფლულ მშობლიურ ქუთაისს.

პეტრეს განსაკუთრებით იტაცება გამოქვაბულები და ბნელი მღვიმეები. ვინ იცის რამდენჯერ დაბნეცია გზა წყალწითელს ხეობაში, საყაიას მღვიმეში სოფელ მოწამეთასთან ან რამდენჯერ უფოფხია ვიწრო მიწისქვეშა გრძელ ხრეღუნა და ყინულოვან წყალში, ცივ უსამოგანო ქვებზე რამდენჯერ დაუზინანებია იდაყვები და მუხლები, ჩაშვებულა ღრმა უფსკრულეში, შუგროგებია ქვის იარაღები, ცხოველთა ძვლები და სხვ.

და შემთხვევით როდ იყო, რომ ახალგაზრდა პეტრე ჰაბუკიანი 1916 წელს ამოვრებს იურიევის (დერბტის) უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის ფაკულტეტს. ცოდნით გამდიდრებული უზრუნდება იგი მშობლიურ ქუთაისს და პედაგოგიურ მუშაობას იწყებს.

აგი მოსწავლეებთან ერთად ხშირად აწყობდა ექსკურსიებს ქალაქგარეთ. ერთ-ერთი ექსკურსიის დროს ქუთაისიდან ა კილომეტრის დაშორებით სათაფლიის მახლობლად გორაკზე, რომელსაც „თერამიწა“ ჰქვია, აღმოაჩინა ქვის ეპოქის აღამიანის საღმრთო. აქვე წააწყდა ქვის სამურწერო იარაღსა და ჭურჭელს. ეს იყო 1924 წელს.

აღმოაჩინა აღაფრთოვანა პეტრე ჰაბუკიანი. იგი თითქმის მთელ დღეებს სათაფლიაზე ატარებს. ძიებებსა და დაკვირვების შემდეგ ისვენებს. ვასცქერის სათაფლიის ჩრდილოეთ სერს, საიდანაც მოჩანს მარად თოვლიანი მწვერვალები უშაა, თეთუნლდი, ხვამლი, მარცხნივ შორს გაყოფილია რიონი.

ხანგრძლივმა ძიებამ და სათაფლიის მიდამოების შესწავლამ უშედეგოდ არ ჩაიარა. ეს იყო 1925 წლის გა-



პეტრე ჰაბუკიანი დინოზავრის ნაკვალავთან

ზაფხულზე, როდესაც ჩვეულებრივად ნაქრძალს ათვალისკვრებდა, პეტრე ჰაბუკიანმა სათაფლიის მთაზე აღმოაჩინა გვირაბი, რომელსაც ამჟამად თავისი მნიშვნელობით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. იგი ახდენს ამ გვირაბის გერმოფოლოგიურ შესწავლას, აწარმოებს ტოპოგრაფიულ ავეჯებას და მიწისქვეშა ფოტოგაღებებს.

პეტრე ჰაბუკიანმა დაადგინა, რომ ქუთაისის მიდამოების მრავალფეროვანი კარსატული ლანდშაფტი კავკასიონის სახმრეთ ფერდობის კირქვიანი ზონის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ფიქრობდა პეტრე, ის არის, რომ ქუთაისის ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება კარსატული მღვიმეები და ღრმა ჩაღბლებები, ძაბრისებური წარმოქმნენი, ბუნებრივი ქანები, სადაც ჩადის წვიმისა და დამდარი თოვლის წყლები, რომლებიც მიწისქვეშა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ კვლავ დღის სინათლეზე მიედინებიან.

პეტრე ჰაბუკიანის თაონობით გვირაბს რკინის კარები გაუკეთდა და გასაღებიც მას ჩააბარეს. სწორედ ამ ზურუნამ დაიკვა სათაფლიის გვირაბი და შეუნარჩუნა მას პირველყოფილი სახე.

...აი ჩირაღდნით ჩაღხიხართ გვირაბში. ფსკერი მნიშვნელოვანი დახრილობით სიღრმეში მიიწევს. სგლა გიბ-



ექსკურსია სათაფლიში

ღებთ კირქვების დანის პირივით ბასრ ზედაპირზე. გვირაბის შუაში მოჩხრიალე ნაკადული მოწინააღმდეგეებს, სადაც თვალი არჩევს გამჭვირვალე პატარა თევზებს, რომლებიც დაცურავენ და წვრილი საცეცხები დადიან კიდვს.

გვირაბში თვალში გეცემით მარმარილოსავით თეთრი სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების მრავალფეროვნება. ალაგ-ალაგ ისინი ჯაღოსნურ მოელვარე სვეტებად შეერთებულან. წარმატაცი სანახაობაა, თვალი ვერ შორდება სანტიტრესო კრისტალურ წარმოქმნებს, ხელოვნური სანთლის შუქზე ათასფერად რომ ბრჭყვიალებენ. აი უზარმაზარი სტალაქტიტის წვეტიანი თავი ძირის დაქანებულია. მის ასეთივე ვეებერთელა სტალაგმიტი ეგებება ქვემოდან. ისინი თითქოს შეერთებულან, მაგრამ სინამდვილეში მათი შეერთებისათვის კიდევ რამოდენიმე საუკუნეა საჭირო.

ამ აღმოჩენის შემდეგაც პეტრე ჭაბუკიანი კვლავ განაგრძობს სათაფლის მიდამოების გულმოდგინე შესწავლას.

1933 წელს იგი ახლენს ახალ აღმოჩენას, რომელსაც

დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. სათაფლის გვირაბის ზემოთ, დასავლეთ მხარეს იგი წააწყდა უზუნძირე გამიშვებულ მერგელოვანი კირქვის შრეს, რომელზედაც აღბეჭდილი იყო არაჩვეულებრივი ფორმის ნაკვალევი. მან გაწმინდა და გააფართოვა კლდის ზედაფენი, სადაც აღმოჩნდა მუზოური ერის ტვედა ცარცის პერიოდის დროინდელი ცხოველების დინოზავრების 200-მდე გაქვავებული ნაკვალევი.

საბჭოთა კავშირში ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც შემონახულია ამ გადაშენებული გიგანტების ნაკვალევი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს 1951 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე ეს აღმოჩენა აღიარებული იქნა პალეონტოლოგიაში მყოფლი მნიშვნელობის აღმოჩენად. სხენებული დინოზავრების ჯგუფს ეწოდა — სათაფლის დინოზავრები. მეცნიერებათა აკადემიის ამავე სხდომაზე აღნიშნული ნაკვალევი გამოცხადდა პეტრე ჭაბუკიანის სახელობის ნაკვალევად.

ხანდაზმულობის მიუხედავად პეტრე ჭაბუკიანი დღე-ღამე თავს დასტრიალებს სათაფლის მიდამოებს. მან სათაფლის ირგვლივ შესანიშნავი ტყე გააშენა, მისი ინიციატივით სათაფლია ნაყარადალ იქნა გამოცხადებული და იგი მთლიანად შემოკავებული იქნა. ასევე მისი ინიციატივით ქუთაისიდან სათაფლის გვირაბამდე გაყვანილი იქნა მშენიერი ასფალტირებული სამანქანო გზა, ტურისტებისათვის აიგო 8 ოთახიანი ზინა.

ამას წინათ, პეტრემ შენიშნა, რომ სათაფლის მღვიმის დასავლეთით 700 მეტრის დაშორებით წყლის მოზრდილი ნაკადი კირქვიან სერს აწყდებოდა და ამ ლამალოდნარში იკარგებოდა. პეტრე დაინტერესდა. მან დაადგინა, რომ აღნიშნულ ადგილას წყალი რამდენიმე ხერვლში იკარგება, წვიმების დროს კი მოზღვავებული წყალს ხერვლები ვერ იტევდა, გუბდებოდა და თანდათან იწირებოდა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ პეტრე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ხერვლს შესასვლელი გაწმინდა შესაძლებელი გახდებოდა ფართო-ხერვლში მოხვედრა. ამის ნებისაზებ მან აცნობა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, რომელმაც გაავაზვნა ექსპედიცია ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა შემადგენლობით, რომელსაც კონსულტაციას პეტრე ჭაბუკიანი უწევდა. პეტრეს ვარაუდი გამართლდა. ექსპედიციამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ადგილმდებარეობის შესწავლის შედეგად მიწისქვეშა მღვიმეებში და ხერვლებში გავილი იქნა 450 მეტრი. ამავე დროს საქსკედიციო ჯგუფმა გამოიკვლია უცნობი კარსატული მღვიმე, აღმოჩენილი იქნა მარმარილოსფერი სტალაქტიტებით მორთული დარბაზი, რომლის სიმაღლე 10 მეტრს აღემატება.

დაუღვევარ მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანს სხვადასხვა დროს ნაპოვნი აქვს ასეულობით ისტორიული ნივთი.

ქუთაისის და მისი მიდამოების სიძველეთმცოდნეობის ცოცხალი ენციკლოპედია — ასე უწოდებენ პეტრე ჭაბუკიანს. ეს სახელი მან ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის დირსშესანიშნავი ძეგლების დაუზარებელი მოვლითა და მათზე ზრუნვით დაიმსახურა.



ქართული კინოხელოვნების დღესასწაული მკვამლე ს. გრიგორიანი

შარშან მოძმე საქართველოს დედა-ქალაქში მოეწყო ერევნის კინოსტუდიის მუშაკთა შემოქმედებითი ანგარიში: ნაჩვენები იქნა სომხეთის საუკეთესო ფილმები.

ქართველი მეგობრები ვალში არ დარჩნენ. სომხეთის სსრ კულტურის სამინისტრომ 21-27 სექტემბერს ერევანში მოაწყო ლენინის ორდენისანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებთა ფესტივალი.

...საზეიოდაა მორთული ერევნის საუკეთესო კინოთეატრები, მის ფსაადებზე საქართველოს და სომხეთის სახელმწიფო აღმშენი ფრიალებენ, ხოლო მოსაცდელ დარბაზებში გამართული ფორგამოფენები მოკვიტხრობენ ქართველი ხალხის შრომაზე, კეძობდ, კინოხელოვნების წარმატებებზე. ფესტივალის დღეებში კინოთეატრების

საორკესტრო ანსამბლები ქართული მუსიკალური პროგრამებით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე.

სომხეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობა ცხოველი ინტერესით შეხვდა ქართული კინოხელოვნების ფესტივალს. ერევნის საუკეთესო კინოთეატრები „მოსკოვი“, „დავიდ სასუნცი“, „ჰაირენიკი“, „ნაირი“ და სხვები ქართული იყო გატყდილი, უჩვენებდნენ „მამლუქს“, „ორ ოჯახს“, „ზვიგენის კბილს“, „მაია ყწეთელს“, „გიორგი სააკაძეს“, „დარკოს“, კინონარკვევებს „ყვავილების დღესასწაული“ და „თბილისი 1500 წლისაა“, დოკუმენტურ ფილმს „მოგზაურობა ნებალში“, ნახატ ფილმს „მტრობას“ და სხვ.

ქართული ფილმების ფესტივალის დღეებში ერევანს ეწვია საქართველოს კინომუშაკთა დელეგაცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფაქტის სამმართველოს უფროსის ი. ტუსკაძის ხელმძღვანელობით.

სტუმართ შორის იყვნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. კანდელაკი, კინოსამხიობი ე. დუგლაძე და სხვ. კინოთეატრ „მოსკოვი“ ქართული კინოხელოვნების წარმომადგენლებს გულთბილად შეხვდა სომხეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობა. სტუმარებს მიესალმა სომხეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. ავასარიანი. პოეტმა ოვანეს შირაზმა წაითხა ნაწყვეტი ახალი პოემიდან „რუსტამი და თამარი“. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ი. ტუსკაძე, რომელმაც მასპინძლებს მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის. მაყურებლებმა ყურადღებით მოუსმინეს დადგმულ-რეჟისორს დ. კანდელაკს, რომელმაც ილაპარაკა, როგორ იქმნებოდა ფილმი „ორი ოჯახი“.

კინოთეატრ „დავიდ სასუნცი“ მქუხარე ტაშისგრიადში სტუმრებმა ერევნელებს გადასცეს თობისეულ კინემატოგრაფისტთა საჩუქარი — ფიფურის გეტბერთლა სურა.

შეუძლებელია დავიფუოს ერევნელებმა ის მეგობრული შეხვედრები, რომლებიც ქართველ კინომოღვაწეებს ჰქონდათ ფაბრიკა-ქარხნების მშრომელებთან კინოთეატრ „ჰაირენიკში“. კინოთეატრ „ნაირში“ საქართველოს დელეგატებს ცოცხალი ყვავილების თივრულები მთარეთეს ხაჩატურ აბოვიანის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა.

მეფრი საინტერესო და შინაარსიანი ხალხური გაიმართა ქართველ და სომხე კოლეგებს შორის. დელეგაციის წევრებმა დათავალიერეს სომხეთის ქალაქებში და რაიონული ცენტრებში.

— დიდი მადლობა, მეგობრებო, გულთბილი მძუფრი მიღებისთვის — ასე ამბობდნენ სტუმრები საქართველიდან, სტოგებდნენ რა სომხეთის დედაქალაქს.

ქართული ფილმების ფესტივალის ერევანში ქართული კინოხელოვნების დღესასწაული იყო. ერთი კვირის განმავლობაში ასი ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ქართულ ფილმებს, ხოლო შეხვედრები კი ურყევი, მძუფრი მეგობრობის ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენდა. ეტვი არ არის, ქართველ და სომხე კინემატოგრაფისტთა მეგობრობა და საქმიანი კავშირი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს სომხურ და ქართულ კინოხელოვნებას.





კირილე პავკორია

ში ამ კოლექტივმა შექმნა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ძირითადი ბირთვი.

კ. პავკორიას ისევე, როგორც ხალხური ლოტბარების უმრავლესობას მუშაობის დაწყება მოუხდა ცარიზმის რეპრესიის მძინვარების პერიოდში. მთავრობის დახმარებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო, მით უფრო, რომ ეს თვით-მოქმედი გუნდები ხშირად გამოდიოდნენ ცარიზმის საწინააღმდეგო კრებებზე, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ამიტომაც მთავრობა აღმატებულ უყურებდა ამ საქმეს. ხოლო ხალხური გუნდის ხელმძღვანელისათვის გასამარჯულოს დანიშვნა ხომ წარმოუდგენელიც იყო. მაგრამ ეს ერთი მხარეა მხოლოდ.

გლეხს თუ მუშას სად ჰქონდა იმის დრო, რომ სისტემატურად ევლო გუნდის მეცადინეობაზე. ამას იგი მხოლოდ დამატებით შრომის შემდეგ ახერხებდა და ისიც დროდადრო. ამასთან დიდი თანხები სჭირდებოდა ტრანსპორტს, კლუბების დაქირავებას, აფიშების დაბეჭდვას და რეკლამას საერთოდ. ცუდი ზღვებისა და ფარდალა საკონცერტო ესტრადების გამო, გუნდი მატერიალურად, გლეხის ჭირნახულივით იყო დამოკიდებული ამინდზე. ხშირად წვიმის გამო კონცერტი ჩაშლილა და გუნდის წევრებს, უფრო კი ხელმძღვანელებს უხდებოდათ პირადი ნივთების, ზოგჯერ ტანსაცმელის დაგროვება-გაყიდვა საქმლისა და გზის ფულის საშოვნელად.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში არ იყო საკმარისი მხოლოდ სიმღერების ცოდნა და ლოტბარობის ნიჭი. აქ მოხერხებული, ინიციატივანი, ორგანიზატორული უნარის მქონე კაცი განსაკუთრებით ძვირად ფასობდა. ამ თვისებებით კი უთუოდ უხვად იყო დაჯილდოვებული კ. პავკორია.

კ. პავკორიას საუცხოო გუნდი ჰყავდა, რომელშიც თითქმის ყოველთვის სიმღერის საუკეთესო ოსტატები იყვნენ გაერთიანებული. კირილე გულმოდგინედ დაუძებდა კარგ მომღერლებს და, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გადამოიბირებდა თავისთან. ამისათვის ის არ იშურებდა არაფერს, — ხშირად სახლიდან ძვირფასი ნივთები და ავეჯიც კი გაუტანია გუნდის საჭიროებისათვის. ამიტომაც მისი გუნდი ყოველთვის საუკეთესო იყო, სხვაზე მრავალრიცხოვანი, უკეთ ორგანიზებული და ბუნებრივი, მხატვრული დონითაც გამორჩეული. იგი ხშირად გამოდიოდა კონცერტებზე და მოგზაურობდა სხვაზე მეტად. საგულისხმოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სწორედ მისმა ხალხურმა თვითმოქმედმა გუნდმა ცეკლაზე ადრე მიიპყრო ზემოთხსენებული ორგანოების ყურადღება და მიიღო მატერიალური დახმარება დოქტაციის სახით.

კ. პავკორია ტიპური ხალხური მომღერალი იყო. მას არ მიუღია არავითარი მუსიკალური განათლება, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ბრწყინვალედ გაძლიერდა საკუნო საქმეს. მას, როგორც ყოველ ტყუმარტ ხალხურ მომღერალს, მგზნებარედ უყვარდა შრობილიური ქართული მანგები და მიაჩნდა ისინი უმაღლესი კულტურის ნიმუშად, რომელსაც არავითარი „დამუშავება“ და „შელამაზება“ არ ესაჭიროებოდა. იგი მუდამ ენერჯულად იბრძოდა ხალხური სიმღერის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ და თანმიმდევრულად იცავდა მისი „ხელშეუხებლობის პრინციპს“. კ. პავკორიამ თავისი გუნდის პრაქტიკაში დაენერგა და განავითარა ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ათთვისა ხალხისაგან, ცნობილი მომღერლები-

ქართული საგუნდო მუსიკის თვალსაჩინო მოღვაწე

მინდია ქორდანი



ართული ხალხური საგუნდო მოძრაობა, რომელსაც დიდი ბიძგი მისცა ლ. აღნიაშვილის ფართოდ გახმაურებულმა გუნდმა, 900-იან წლებში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცადის. ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის გამორჩენილი მეკლამბელ-მომღერლებისა და ლოტბარების მთელი თაობა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას.

კირილე ნესტორის-ძე პავკორია ამ შესანიშნავი პლედის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი 50 წლიანი მოღვაწეობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია ბოლო 30 წელიწადი, როცა იგი სათავეში ჩაუდგა ძუკუ ლოლუსან დაწყებულ საქმეს და შესანიშნავად გაუძღვა მის გუნდს, გადააქცია იგი რესპუბლიკის საუკეთესო მხატვრულ კოლექტივად. შემდგომ-



საგან და, პირველ რიგში, ძ. ლოლუასაგან — თავისი გამოჩენილი მასწავლებლისა და წინამორბედისაგან. ამასთან, კ. პაჭკორია საუცხოო მომღერალიც იყო, რომელსაც რეპერტუარის სიმდიდრით იწვევდათ თუ შედარებულად ვინმე. განსაკუთრებით ღრმად ჰქონდა მას შეთვისებული დასაკლეთ საქართველოს ხალხური სასიმღერო შემოქმედება.

კ. პაჭკორიას მოღვაწეობის დაწყების თარიღად უნდა ჩათვალოს 1906 წელი, როცა 20 წლის კუბუკმა სიმღერა დაიწყო ფოთში — ავტ. მეგრელიძის გუნდში. ორი წლის შემდეგ, ოჯახის გუდაუთში დასახლების გამო, კირანლე იძულებული გახდა გამოთხოვებოდა აფთის გუნდს. მაგრამ სამაგიეროდ, აქ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხარდაჭერით თვითონ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი და გამართა რამდენიმე კონცერტი ადრინდელი საზოგადოების სასარგებლოდ. გუდაუთიდან კირანლე წმირად დადის სოხუმში, სადაც აქტიურად მონაწილეობს ძ. ლოლუას გუნდში. ძ. ლოლუას ძალიან მოსწონდა კირანლეს ხმა და მისი შესრულების წმინდა ხალხური მანერა. იგი ძეგუს გუნდში თავიდანვე წამყვანი სოლისტი იყო — ტრიოში ასრულებდა მაკლდ ხმის პარტიებს.

მაგრამ ამ პერიოდში კ. პაჭკორიას მოღვაწეობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი: გადატვირთული იყო სხვადასხვა საქმეებით (ერთხანს ოლქისშიც კი მიეგებებოდა კორნეციულ მასწავლებელში), მაგრამ მიუხედავად ამისა, მეღერის ძეგუსთან და ზოგჯერ თვითონაც ახერხებს გუნდის ჩამოყალიბებას. 1918 წელს მან დააარსა გუნდი ორამჩირეთში, რომელიც შემდგომში ჩააბარა ნიჭიერ ლობტარ პლ. ფანჭულაძეს.

1923 წლიდან კ. პაჭკორია მუდმივ საცხოვრებლად გადმოიღეს თბილისში. აქ იგი კვლავ ხელგმა ძ. ლოლუას, რომელიც 1924 წლის ზაფხულში ჩამოვიდა თბილისში. ძ. ლოლუას გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში კონცერტების გამართვა და გამოჩენილ ხალხურ მომღერალთა კონცერტების მოწვევა, რათა მტკიცე საფუძველი ჩაყრილიყო თბილისის ხალხური სიმღერის აღდგენის, შესწავლისა და გავრცელების საქმეს. მაგრამ ხალხური საგუნდო კულტურის ამ დაუღალავ მოღვაწეს არ დასცალდა თავისი გეგმების განხორციელება — იგი უცერად გარდაიცვალა 1924 წელს 9 აგვისტოს. მისი გუნდის მომღერალთა ერთმა ჯგუფმა (კ. პაჭკორია, კ. გვიგუშკორი, ლ. ბაშილუა, ნ. ხვიტია, გ. ხოშტარია, შ. და დ. ჯაველიძეები, ნ. ჩაჩიბაია, ნ. ვაჭერელია, ი. ელიაძე, ნ. შაყუყუა) გადაწყვიტა მუშაობის გაგრძელება და თვითონ აირჩია ხელმძღვანელობა. გუნდის სათავეში ჩაუდგა კოჩი გეგუშკორი, ხოლო მის მოადგილედ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელად დაინიშნა კირლე პაჭკორია. გუნდმა (25 კაცამდე) იმავე წლის დეკემბრიდან დაიწყო კონცერტების გამართვა.

1925 წლიდან ძ. ლოლუას სახელობის გუნდს სათავეში კ. პაჭკორია ჩაუდგა. ახალმა ხელმძღვანელმა, ხალხური სიმღერების საუკეთესო ცოდნასთან ერთად, შესანიშნავი ორგანიზატორული უნარიც გამოავლინა, მალე გადაეცა გუნდი რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე მოძრავ და ორგანიზებულ მხატვრულ კოლექტივად. როცა 1927 წელს დასევა მოსკოვში სამხატვრო-სამეცნიერო აკადემიის მიერ მოწყობილ გამოფენაზე ხალხური გუნდების გაგზავნის საკითხი, ძ. ლოლუას სახელობის გუნდი პირველი კანდიდატი

იყო. მასთან ერთად გაიგზავნენ აგრეთვე დები თარხანაშვილები და გურული სიმღერის გამოჩენილი ოსტატების — მძიბე ჩაღლევიშვილის და ვ. სიმონიშვილის გუნდები. გუნდების საართო მხატვრულ ხელმძღვანელად მიიღვებული იყო კ. ფოცხვერაშვილი, რომელიც კონცერტების წინ გამოვიდა ლექცია-მოსხენებებით.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ ასე ფართო მასშტაბით უჩვენეს ქართული ხალხური სიმღერა. ქართულმა ხალხურმა მუსიკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზეც. განსაკუთრებით კი, მუსიკოსებზე. გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რუსული სცენის დიდიოსტატ ა. სუმბათაშვილ-იუჩინის სსოვნისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მუსიკალურ კონცერტში.

მოსკოვის სამხატვრო-სამეცნიერო აკადემიამ საუკეთესო მხატვრული მიღწევებისათვის ქართული გუნდები 1-ლი ხარისხის საკავშირო სივლით და ფულადი საჩუქრით დააჯილდოვა.

1929 წელს თბილისში გაიმართა მხატვრული თვით-მოქმედების II რესპუბლიკური ოლიმპიადა, კ. პაჭკორიას გუნდი აქაც ღრმად წამოაყალიბა გამოვიდა — დაჯილდოვებულ იქნა I პრემიით.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, 1929 წელს ზაფხულში კ. პაჭკორიამ მოაწყო ნაწილის პირველი სეროული საეასტროლო მოგზაურობა საქართველოს გარეთ. კონცერტების სერია დაიწყო აზერბაიჯანიდან (აჯიკაბული, ბაქო) და შემდეგ გეორგიევსკის, მინერალური წყლების სსოტის ვაკლით გუნდი ჩავიდა მოსკოვს. საუკუნისხანა, რომ როცა მოსკოვის „მწვანე თეატრის“ დირექციამ (დღევანდელი გორკის სახელობის ბაღი) დაინახა მცირერიცხოვანი გუნდი (19 მომღერალი და სამი მოცეკვავე ვაქი), უარი განაცხადა გუნდისათვის დაბნახის დათმობაზე და მხოლოდ დიდი თხოვნისა და დარწმუნების შემდეგ მისცეს მათ სცენაზე გამოსვლის უფლება. მაგრამ ორივე უსაფუძვლო აღმოჩნდა. როცა 19 საუკეთესო მომღერალი დასტუქა ომხანიძე ქართული სიმღერა, მწვანე თეატრის აუარებელი ხალხი მოაწყდა. გუნდის კონცერტებში მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია; აქ ღრმად ირი კვირის განმავლობაში გაისმინდა ქართული ხალხური მღვლოები. მოსკოვიდან გუნდი ხარკოვსა და ძაუეჯკაუში (ორჯონიძიძე) გამოემგზავრა და კვლავ თბილისში დაბრუნდა.

იმავე წლის ბოლოს გადაწყდა საუკეთესო ქართული გუნდების გაგზავნა ლენინგრადში საჩვენებელი კონცერტების გასამართავად. არჩევანი ამგვარად ძ. ლოლუას სახელობის გუნდზე შეჩერდა, რომელსაც შეუერთეს კახელ მომღერალთა ჯგუფი განთქმული ხალხური მომღერლის მიხუ ჯიღურის ხელმძღვანელობით, და ხალხური სიმღერის ცნობილი ოსტატის არტემ ქერქოშაშვილის გურულ მომღერალთა გუნდი. გუნდები ჯერ ლენინგრადში გამოვიდნენ — გამართეს 15-ოდე კონცერტი, შემდეგ ეწვივნენ მოსკოვს, ხარკოვს, ბაქოს და ასე ორიგინალ საკონცერტო მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში. ამ საეასტროლო მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გუნდების მიერ გამართულ 40-მდე კონცერტს დაესწრო ათასობით მსმენელი, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ქართული ხალხური ხელოვნებისადმი. განსაკუთ-



კ. პაპკორია უკრაინის სახ. ანსამბლის „ღუმქას“ ხელმძღვანელ კომპ. ვერიოვკასთან ერთად

რებით აღსანიშნავია ის წარმატება, რომელიც ხვდა ქართულ ხალხურ მუსიკას ლენინგრადში. აქ გამართული ერთ-ერთი საჩვენებელი კონცერტის შემდეგ კონსერვატორიის პროფესორებმა კ. პაპკორიას მიმართეს საგანგებო წერილით, სადაც გამოთქვეს „გულწრფელი აღფრთოვანება ნაჩვენები ხელოვნებით“. წერილს ხელს აწერდა თერაპეტი კაცი, — ცნობილი პროფესორები კლიმოვი, ტიულინი, კუმარაიოვი, შერეზაჩოვი, ნიკოლაევი და სხვა. ამ კონცერტებმა გაგანტეს ის არასწორი და ბუნდოვანი წარმოდგენა, რომელიც მუსიკოსებს ჰქონდათ ქართულ მუსიკაზე. ლენინგრადის ერთ-ერთ გაზეთში პროფ. ს. ვინზბურგი წერდა: მხატვრული ღირსების მხრივ ბევრი ქართული ხალხური სიმღერა „გაბედულად შეიძლება მივაუთვნოთ მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს“.

ოცდაათიანი წლებისათვის d. ლოლუას სახელობის გუნდის ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა. იგი სისტემატურად მოგზაურობს და კონცერტებს მართავს როგორც რესპუბლიკის კულტურულ ცენტრებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ დროისათვის გუნდი აღიარებულია რესპუბლიკის საუკეთესო მხატვრულ კოლექტივად.

1934 წელს გუნდმა ამიერკავკასიის ხალხთა ოლიმპიადაზე უმაღლესი ჯილდო და ფულადი პრემია დაიმსახურა.

1935 წლის ივლისში კ. პაპკორიას ანსამბლი წარმატებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედების დეკადაზე მოსკოვში. დეკადის შემდეგ, ლენინგრადში გამგზავრების წინ, გუნდი ეწვია დიდ მწერალს მაქსიმ გორკის და იმ დროს მასთან სტუმრად მყოფს გამოჩენილ ფრანგ მწერალს და მუსიკოსს რომენ როლანს. მწერლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა ხალხურმა მუსიკამ. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო რ. როლანი. იგი გაოცებული უსმენდა სხვადასხვა კუთხის სიმღერებს და ხმაყვანას გამოთქვამდა თავის აღტაცებას მისი სიმღერისა და მრავალფეროვნების გამო. როგორც მუსიკოსი პროფესიონალი, იგი განსაკუთრებით დაინტერესდა გურული პოლიფონიური სიმღერით. კერძოდ, მან რამდენჯერმე გაამოკრიტიკა „შავი შაშვი“.

ფრანგმა მწერალმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა მთელ კოლექტივს. ბანკეტზე გულთბილი სიტყვა წარმოთქვა და სპეციალური საღვებრძოლ შესვა ესოლენ შესანიშნავი კულტურის შემქმნელი ქართველი ხალხის პატივსაცემად, ამასთან დააყენა საკითხი ამ საუცხოო მუსიკალური კოლექტივის საზღვარგარეთ, კერძოდ, ევროპაში გაგზავნის შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ კ. პაპკორიას გუნდი მიიწვიეს კრემლში, სადაც გაიმართა კონცერტი ლონდონის ფესტი-



დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდი ავია წერეთელთან ერთად.

ვალდიან ახლად დაბრუნებულ ხალხური ციკვის ოსტატთა მონაწილეობით. მეორე განყოფილება მთლიანად დაეთმო ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას.

ქართული ხალხური მუსიკის პრობაგანდის ისტორიაში ქართული ხელოვნების 1-ლი დეკადა უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მზადება დეკადისათვის 1935 წლის ბოლოდან დაიწყო. ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი (ლტბარი სანდრო კავსაძე, ქორეოგრაფი ი. სუხიშვილი, მეფანდრეთა ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ვარდიანოვილი); საფუძვლიანად გადახალისდა კ. პაპკორიას გუნდიც — მისი შემადგენლობა 120 კაცამდე გადიდა. გუნდიდან წაიკა და აღმოსავლეთ საქართველოს სახ. ეთნოგრაფიულ გუნდში გადავიდა კახელ მომღერალთა ჯგუფი მ. ჯიღურისა და ივ. მჭედლიშვილის მეთაურობით. სამაგიეროდ კ. პაპკორიას გუნდს შეუერთდა ატკენტი მეგრელიძის მეჩონგურე ქალთა შესანიშნავი ანსამბლი; მნიშვნელოვნად გაიზარდა მოცეკვავეთა ჯგუფიც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქორეოგრაფი დ. ჯავრიშვილი.

1937 წლის 8 იანვარს დიდი თეატრის სცენაზე გაიმართა ქართული ხალხური მუსიკის გრანდიოზული კონცერტი — წესრულდა 50-მდე ხალხური სიმღერა და ცეკვა. მრავალსმინაბეელი მოსკოველი მსმენელი მჭუხარე თვაცხოვით გამოხატავდა თავის აღტაცებას. ერთსულოვანი

მოთხოვნით ბევრი ხალხური სიმღერა და ცეკვა გამეორებული იქნა. იშვიათი წარმატება ხვდა „სულიკოს“, რომელმაც ამის შემდეგ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მთელს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. პროფესიონალი მუსიკოსები კი, როგორც ამას „პრავდა“ აღნიშნავდა, „განცვიფრებისაგან ხელეშს შლიდნენ“ ამ „გასაოცარი საუნჯის“ („იოვესტია“) წინაშე; ბევრ მათგანს დაუჯერებლად მიჩანდა, რომ ეს იყო „ქუმპარტიტი ხალხური კლასიკა („პრავდა“) და არა ჩვეულებრივად გაზრტყეული „დამუშავება“.

ამ მოვლენას თითქმის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა მიუძღვნა აღვრთვანებული რეცენზიები. ძნელია გადმოიციეს ყველა იმ წერილისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის გამომხატურების მოკლე შინაარსი.

„ხალხური სიმღერისა და ცეკვის ზეიმი“ უფროა გაზეთმა „იოვესტიაში“ ქართულ კონცერტებს. და ეს სიტყვები გამოდგება ყველა წერილისა და გამოხატვის საერთო სათაურად.

რა უსაზღვრო და მრავალფეროვანია სიმღერე, რომელიც იშლება ჩვენს წინაშე ბედნიერი საბჭოთა ხალხების ხელოვნებაში. ყაზახური და უკრაინული ოპერის და თვალთერების შემდეგ, ჩვენ ვცნობით ხალხური მუსიკის გასაოცარ საკანძურს — ბედნიერი საქართველოს სიმღერებსა და ცეკვებს.



გუშინ დიდ თეატრში ჩვენ ვიყავით მოწმენი და მონაწილენი ხალხური შემოქმედების ჭეშმარიტი ზეიმისა. (ვახ. „ოზეგისა“ 9/1 1937 წ.).

მუსიკისმცოდნე ვ. ხუბოვაძე „პრადაში“ უმაღლესი შეფასება მისცა ქართულ ხალხურ მუსიკას და მის შესრულებას. „როდესაც ისმენ ქართულ ხალხურ გუნდებს...“—წერდა იგი, —უნებურად გაგონდება ანტიკური სამყაროს დიდებულ საგუნდო ქმედობათა წარტყმა ადრეინობა, მაგრამ ვგაპატიონ ანტიკური კულტურის სწავლულმა მკვლევარებმა, ქართული ხალხის საგუნდო ხელოვნება უფრო მინდობა, ან ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუყარდება ანტიკურს“ (ვახ. „პრადა“ 9/1-1937 წ.).

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდს, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც რეპერტუარის სიმდიდრით და მრავალფეროვნებით, ასევე შესრულების მაღალი დონით. ეს ხაზგასმით აღნიშნა ყველა ვახუშთა, მათ შორის, „პრადაში“: „... განსაკუთრებით საინტერესოა კ. პაპკორიას გუნდი, რომელიც თავიდანვე, პირველი ფრაზებიდანვე, იტაცებს და აჯაღლებს მსმენელს. რიგი სიმღერებისა ოსტატურად შესრულებულია კ გუნდის მიერ, — ნამდვილი სიმფონიური პოეზია“ (იქვე).

14 იანვარს დეკადის ყველა მონაწილე კრემლის მიიღეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, კრემლის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი ქართული და რუსული ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. დას. საქართველოს სახ. ეთნოგრაფიულ გუნდს აქაც დიდი წარმატება ხვდა.

1937 წლის 15 იანვარს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მზარნებულზედა დეკადის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ. მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი მიეცა ქართული ხელოვნების ათ ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეს, მათ შორის, სანდრო კავსაძეს და კირილე პაპკორიას.

დეკადის დამთავრებისთანავე ორივე გუნდი მიწვეულ იქნა ლენინგრადში, სადაც ქართული კულტურის წარმომადგენლებს საზეიმო შეხვედრა მოუწევს. ქართულ სიმღერასა და ცეკვას აქაც უდიდესი წარმატება ხვდა. სისტემატიკად, თითქმის ყოველი კონცერტის შემდეგ, ლენინგრადის გაზეთებში იბეჭდებოდა ხელოვნების გამოჩენილი ოსტატების წერებები და შთაბეჭდილებანი. აი ზოგიერთი მათგანის მხოლოდ სათაურები: „უდიდესი მოვლენა მხატვრულ ცხოვრებაში“; „მაღალი ხელოვნება“; „უზარმაზარი დაუწყობარი შთაბეჭდილება“; „სიცოცხლის დამამკვიდრებელი ხელოვნება“; „თვითმყოფი მუსიკალური კულტურა“ და ა. შ. „საქართველოს გუნდების ჩამოსვლა უდიდესი მოვლენა ლენინგრადის მხატვრულ ცხოვრებაში“; „წერდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. იურიევი გაზეთში „ლენინგრადსკაია პრადა“ (1/II-1937 წ.).

ასევე იშვიათი წარმატებით ჩატარდა კ. პაპკორიას გუნდის გასტროლები 1938-1939 წლებში მოსკოვში, რსფსრ ცენტრალურ ოლქებში, შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე, უკრაინის სამხრეთ ოლქებში.

40-იანი წლებისათვის ქართულმა ხალხებმა სიმღე-

რამ მუსიკოსთა სერიოზული ყურადღება მიიპყრო. მასწავლებელმა დაიწყო წერა, როგორც განსაკუთრებულ მოვლენაზე.

აი, მაგალითად, რას წერდა „პრადაში“ ცნობილი საბჭოთა მუსიკისმცოდნე ვ. გოროდინსკი საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკის ერთ-ერთი კონცერტის შესახებ, რომელზედაც „მთელი თავისი ბრწყინვალეობით იყო ნაჩვენები ქართული ხალხური ხელოვნება“:

„ამ მუსიკაში გვაფრთოვანებს მრავალზოგანი წერის არაბეჭდვითი სირთულე. ყველაზე მეტად დახლოვებული ოსტატები კი შურიტი აღივსებოდა ან ხელოვნებისადმი. მეგრული ხალხური სიმღერა, რაჭული იყურა, საკოლმუნური საველე სიმღერა — ყველა ესენი მრავალზოგანი მუსიკის შედეგებია.

როცა იძიებოდა ვურული ხალხური სიმღერის „შვიდაცას“ ბგერათა უძირო მორევი, და უცხად თავს გამოყოფს მაღალი ხმა — ფლუტები, რომელიც ავითარებს თავებრედახვევ კოლონატურას „კრიმანტულს“. ინსტრუმენტული სიზუსტით თანდათან მაღლა რომ მიიწევს, — თავს გრანძო უქველესი და უამრავრესი კულტურის გარემოცვაში, რომელმაც, შესაძლოა, ასაზრდოვა არა ერთი უახლოესი მუსიკალური კულტურა“. („პრადა“ 2/IX-1939 წ.).

ქართული მუსიკის ასეთი აღიარება ხალხური გუნდების ენერგიული მოღვაწეობის ნაყოფიერ იყო, რამაც საბჭოთა წილადი უფოდა კ. პაპკორიას ჰქონდა შეტანილი.

1939 წლის ბოლის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახ. ეთნოგრაფიული გუნდები გაერთიანდნენ ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად. ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელად დაინიშნა კომპოზიტორი გრიგოლ კიკელაძე, ხოლო დირიჟორებად კირილე პაპკორია და დავით კავსაძე (სანდროს ვაჟი)!

ამ დროიდან კ. პაპკორიას მოღვაწეობა დაკავშირებულია სახელმწიფო ანსამბლთან, სადაც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა, როგორც მთავარი ლობტბარი, და ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს სასიმღერო რეპერტუარის შესრულებას. დროდადრო მეთაურობდა კიდეც მთელ ანსამბლს. ასე, მაგ., მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ანსამბლის გასტროლები 1950 წელს უკრაინაში.

კ. პაპკორიას ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა არაერთხელ ყოფილა აღნიშნული მაღალი ჯილდოებით. შრომის წითელი დროშის ორდენის გარდა, რომელიც მან დეკადზე მიიღო, იგი დაჯილდოებული იყო ორი მედლით და უამრავი სიკვდილით, ხოლო 1946 წელს მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1951 წელს კ. პაპკორიას, მოღვაწეობის 45 წლის აღსანიშნავად, შემოქმედებითი საღამო მოუწევს, ხოლო 1956 წლის 9 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მისი დაბადების 70 და მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

კ. პაპკორია გარდაიცვალა 1957 წლის 28 თებერვალს. იგი დიდი პატივით დასაფლავებს საზოგადო მოღვაწეთა ვაკის პანთეონში.

1 სანდრო ამ დროს უკვე ლეონიდ იყო ჩაყარნილი.



შეშქმენათ ქართული სტამბური ეკონომიური შრიფტი

(იხ. პაატა გუგუშვილის წერილის გამო!)

ერასტი ტოროტაძე



ართული ეკონომიური შრიფტის შექმნის საკითხი დიდი ხანია დგას საქართველოს პოლიგრაფიის მუშაკთა წინაშე და იგი პრაქტიკულ გადაჭრას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1913-1914 წ. წ. ამ საკითხის მოგვეგობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პოლიგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწემ აწ განსვენებულმა ივ. მჭედლიშვილმა: იგი უპირატესად პრაქტიკულად მიუდგა საკითხს და ყოველგვარი პოლემიკის გარეშე 12 პუნქტისანი (კვ. 12) გენური შრიფტი ჩამოასხა 10 პუნქტის (კვ. 10) ზომამდე; ამავე დროს უცვლელად დატოვა ციცეროს რეალური, ე. ი. გამოჩინებული თვალი; ამ გზით მან თითქმის ერთი მეხუთედით შეამცირა ძველი ქართული (კვ. 12) შრიფტის ტევადობა; ტევადობის შემცირება მოხდა შრიფტის ცარიელი (უსარგებლო) ნაწილობრივი გაუქმების ანგარიშზე. ასე რომ, თუ თანამედროვე ქართული შრიფტი (კვ. 10) ასე თუ ისე უახლოვდება რუსულს ან სხვა რომელიმე ევროპული შრიფტის ტევადობას, ამას ივ. მჭედლიშვილის თაოსნობას და მის საზრიანობას უნდა ვუმადლოდეთ.

ქართული შრიფტის გაუმჯობესების, მისი ახალი სახეების შექმნისა და ტევადობის შემცირების მხრივ ბევრი რამ გაკეთდა შემდგომში კერძოდ ოფიციალური თუ არა-ოფიციალური სამრიფტო კომიტეტებისა და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბ. გორდუნიანის მიერ. მაგრამ რაც დღემდე გაკეთებულა, არ კმარა. ქართული ეკონომიური შრიფტი ჯერ კიდევ არ გვაქვს. რასაც ადასტურებს პაატა გუგუშვილის წერილში მოტანილი გაანგარიშება — ქართული და რუსული შრიფტების ტევადობის (მოცულობის) შესახებ. ეს შედარება დამარწმუნებლად ცხადად იხსნის, რომ ამჟამად არსებული, ყველაზე მეტად ვაჭრულებული ქართული გენური კორპუსი (კვ. 10) არ არის ეკონომიური, რომ ამის გამო ბევრი ძვირფასი მასალა, განსაკუთრებით, ქაღალდი და აგურები შობია, უქმად, უნაყოფოდ იხარჯება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თუ ჩვენ შევძლებთ ქართული სტამბური ეკონომიური შრიფტის შექმნას და მის პრაქტიკულად ფართოდ გამოყენებას, ეს რამდენიმე მილიონი მანეთის მოშვიკრებობას მოგვეცემს.

რას ნიშნავს ეკონომიური შრიფტი? მისი ისეთი შრიფტია, რომელიც ერთსა და იმავე ზომის ქაღალდის ფართობზე მეტი სასტამბო ნიშანი (ასო) თავსდება, ამავე დროს თვალად (გამოსახულებით) მკითხველისათვის ადვილი საკითხავია. ჩვენს სინამდვილეში იგიტი

წიგნი, გაზეთი, უფროსი იბეჭდება ე. წ. გენური კორპუსით (კვ. 10). ეს შრიფტი კარგად იკითხება, თვალის მიგინისათვის სავსებით მისაღებია, მაგრამ მისი ნაკლი ისაა, რომ ნაკლებ ეკონომიურია, იმავე ზომის რუსულ ან სხვა რომელიმე ევროპულ შრიფტთან შედარებით.

ქართული ეკონომიური შრიფტის შექმნის ამოცანა განსაკუთრებული სიმწვავეით დგას ჩვენს წინაშე ამჟამად, როდესაც ყველა საწარმო, ყველა სამეურნეო ორგანიზაცია ცდილობს პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად მიაღწიოს აგრეთვე ეკონომიურ ეფექტიანობას, მტკიცედ და ნაყოფიერად დანერგოს თავის ორგანიზაციაში ეკონომიის, მოშვიკრებობის რეჟიმი. ამ მიზნით რესპუბლიკებში შექმნილია შეიღწეულდის ფონდი, რომელიც შეიღწეულდის განხორციელების საქმეს ხმარდება.

ამ თვალსაზრისით ქართული ეკონომიური შრიფტის შექმნა ნიშნავს ახალი, მნიშვნელოვანი მატერიალური რეზერვის გამოვლინებას საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის და გამოცემლობის ეკონომიკაში; ამავე დროს ეს იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი საერთოდ ქართული ბეჭდვითი საქმის განვითარებაში. ერთი სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ ეკონომიური შრიფტის შექმნის საკითხს, უუქველად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს საქმე მნიშვნელოვანი და სასარგებლო არა მარტო გამოცემლობისა და პოლიგრაფიისათვის, არამედ მიეღი სახალხო მეურნეობისათვის.

— რატომ არ გვაქვს დღემდე ქართული ეკონომიური შრიფტი, რაში მდგომარეობს ამ მნიშვნელოვანი ამოცანის სიძნელე?

მთავარი დაბრკოლება ეკონომიური შრიფტის შექმნის გზაზე, როგორც სპეციალისტები ამბობენ, არის თვით ქართული დამწერლობის თავისებურება, მისი ბუნება, მისი აღნაგობა. ამას ნათლად დაივიწყებთ შემდეგი შეფარდებდან: რუსული ანბანის დიდი უმეტესობა, სახელდობრ ა, ბ, ვ, ძ, ც, ჯ, ჰ, ი, კ, ქ, მ, ხ, ი, ტ, ლ და სხვ. არის გამოსახულების თვლი, თავისუფლად თავსდება (სიმადლით) იმ ზომის ლითონის ნაჭერზე, რომელიც ამა თუ იმ კვადრის ზომის შრიფტისათვისაა დადგენილი. მაგალითისათვის ავიღოთ კვ. 10 (კორპუსი). როგორც ვხედავთ, რუსული შრიფტის დიდი უმეტესობა არა თუ თავსდება კორპუსის ზომაზე, საკმაო თავისუფალი ადგილიც რჩება ასოს ზეგით და ქვევით. ახლა ავიღოთ, იმავე ზომის (კვ. 10) ქართული ასოები, რომელიც მოთავსებულია იმავე ზომის ლითონის ნაჭერზე: ტ, ქ, ჯ და სხვ. აქ ჩვენ ადვილად ვამჩნევთ, რომ ქართულ ასოს თითქმის მთლიანად

1 იხ. საქართველოს ეკონომისტა № 1 1959 წ.



უჭირავს ლითონის 10 ბუნქტის სივანის ნაჭერი; რასაც ვირველია, ყველა ქართული ასო ასეთი არ არის, მაგრამ ქართული ანბანის უმეტესობა ან ქვევით ან ზევით მინც გამოიღის რუსული ასოების მიერ დაკვეთვულ სპეციფიკად. ამ მხრივ გამარჯვების რამდენიმე ასო, მხეცდობარ, ა, ი, ო, თ — შეადგენს; ამ ოთხ ასის სწორედ იმდენი აღვილი უჭირავს, რამდენიც რუსული ანბანის დიდ უმეტესობას. მაგრამ ეს ოთხი-ხუთი ასო ვერ ახდენს უკვედრას შრიფტის მივლ კომპლექტზე, რადგან, როგორც ვაგვე იყო ნათქვამი, ქართული ანბანის დიდი უმეტესობა თავისი ზევითა ან ქვევითა ნაწილით მსპეციფიკად გამოიღის. აი, სწორედ ესაა ქართული დამწერლობის თავისებურება, რომელიც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ქართული ეკონომიური შრიფტის შექმნისათვის. ქართული მაღალი ვერ ვეტივ ლითონის ამ არეზე, რომელზედაც თავისუფლად თავსდება რუსული ანბანის დიდი უმეტესობა... ამასთან დაკავშირებით არსებობს დიდი ტექნიკური ხასიათის უზერბოლობა: ვინაიდან ქართული ასოებით აწყობილი სტრიქონები ისეა ერთმანეთზე მიბუჯილი, რომ სტრიქონებს შორის ადარ ჩრება ხარვეზი (თავისუფალი ადგილი), ამიტომ აუცილებელი ხდება სტრიქონებს შორის სახარვეზო მასალის, ე. წ. შპონის ჩაწყობა, რაც უსრულიად არ არის საჭირო რუსული ანაწყობისათვის. აი, ამიტომაც, რომ რუსული წიგნის თვითიული ნორმალური ფორმატის გვერდზე საშუალოდ თავსდება 40 სტრი. (კორპუსის შრიფტი), ხოლო ქართული გამოცემის თითოეულ გვერდზე — მხოლოდ 34 სტრიქონი, ე. ი. განსხვავება უდრის 6 სტრიქონს. მასხადამე ამოცანა — შექმნათ ისეთი ქართული შრიფტი, რომელსაც არ დასჭირდება შპონი და ტექსტში სტრიქონები უშთაერესად, ანბანის წელს ზევით და წელს ქვევით გამოშვებული ნაწილები არ მიბუჯინება ერთმანეთს და სტრიქონთაშორის ხარვეზებიც ზომიერი იქნება. თუ ეს შეეძლება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ — არის ქართული ეკონომიური შრიფტი! როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ქართული შრიფტის ტექვადობა გაუეთანასწოროთ რუსული შრიფტის ტექვადობას?

ზოგი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ამისათვის საჭიროა ქართული შრიფტის ყველა ასოს მივცეთ ერთნაირი სიმაღლე, განა შთავრული, ე. წ. სსსათურო შრიფტის ყველა ასოს მივცეთ ერთნაირი სიმაღლე, განა შთავრული, ე. წ. სსსათურო შრიფტის ყველა ასო ერთი სიმაღლის არაა? — ამზობენ ისინი.

შედადებით ახლო წარსულში იმასაც კი აცხადებენ: განა უკეთესი არ იქნება ერთხელ და სამუდამოდ დავანებოთ თავი კუსტარულობას და პირდაპირ შემოვიღოთ ლათინური შრიფტი, როგორც ეს ქნა ამოსაყვარელების ქვეყნების ზოგიერთმა ხალხმა, მაგალითად, თურქებმა (მათ არაბულის ნაცვლად ლათინური ანბანი შემოიღეს).

ჩვენ ვერ ვავიზიარებთ ამ სპეციალისტების ვერც პირველ და, ვერც მეორე მოსაზრებას და აი რატომ:

ყველა ქართული ანბანი თავისი გამოსახულებით ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამით იქმნება ზუსტად ისეთი პირობა მათი ცნობის, მათი დამახსოვრებრსათვის, მათი, ასე ვთქვათ, ათვისებისათვის. ამიტომ არის, რომ ქართული დამწერლობის წაყიხება უფრო ადვილია ყველა სხვა დამწერლობასთან შედარებით. ის ზემო და ქვემო შვერილები აძლიერებს ქართული ანბანის ინდივიდუალურ თავისებურებას.

რებებს. ამ შვერილობის სასებით მოსობა და ყველა ანბანის ორ ხაზში მოთავსება ისე, როგორც ეს შთავრული (სატიტულო) შრიფტია, არავითარ შემთხვევაში არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ეს სასებით მოსობა იმ დადებით მხარეებს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ახასიათებდა ქართულ დამწერლობას.

არაა საჭირო ბევრი ლაბარაკი იმის შესახებ, რომ უარყოფითი შთავრული „სპეციალისტის“ წინადადება ლათინურ დამწერლობაზე გადასვლის შესახებ. ჩვენმა სასულიერებმა წინაპრებმა შექმნეს და შთამომავლობას შეუნახეს მეტად ლამაზი, ადვილად დასაწერი და საკითხავ დამწერლობა, რომელიც არავითარ არ ჩამოუყვარდება არც ერთი ხალხის დამწერლობას. ქართული ანბანი სასებით უნაკლოდ, დიდი სისუსტით გამოხატავს ქართული სიტყვის ყოველ ბგერას.

ვეფრობთ, რომ ეკონომიური შრიფტის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა სასებით შესაძლებელია, თუ საკითხის პრაქტიკულად მივედებით. ჩვენის აზრით, არის საკითხის გადაჭრის ორი რეალური გზა:

1. შეამკვიროთ სტრიქონთ შორის სახარვეზო შპონის სისქე ერთი ბუნქტით; ეს ტექსტის თითოეულ გვერდზე მოვეცემს, დაახლოებით 30-32 ბუნქტს ანუ 3-4 სტრიქონის ეკონომიას, რაც შედარებით მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება საქართველოს გამოცემლობების და პოლიგრაფიის ეკონომიაცია. ცხადია, ეს საკითხის საბოლოო გადაწყვეტა არაა, რადგან საჭიროა თითოეულ გვერდზე არა 3-4 სტრიქონის, არამედ უფრო მეტის — 4-7 სტრიქონის ეკონომია.

2. შეამკვიროთ ასოების ზეშო და ქვემო შვერილების სიმაღლე ნახევარი ბუნქტით, ანუ ბუნქტით ორთავე მხრივ, ხოლო ასოს ცენტრი, ე. წ. შუაწილის სიმაღლე დადებით ისე, როგორც იგი ამჟამადაა. ეს მოვეცემს იმის საშუალებას, რომ ძირითადად ხმარებიდან ამოვიღოთ შპონი, როგორც სტრიქონთ შორის ხარვეზის შესაქმნელი მასალა, რადგან შრიფტის აღნაგობაში შემოღონიშნული „შესწორების“ შედეგად სტრიქონთ შორის ხარვეზი შპონის გარეშეც საკმაო იქნება. ეს, რასაკვირველია, არ გამოირჩება იმის შესაძლებლობას, რომ აუცილებელი გამოიყოფის დროს მაგ. საჯარებო, ე. წ. აკადემიური გამოცემების შემთხვევაში, უბინი ისევე ვიხმაროთ, როგორც დღემდე ვხმარებდით.

რა გავლენას მოახდენს ასეთი ოპერაცია ქართული ასოების, ქართული ტექსტური შრიფტის ბუნებაზე, მის თანდაყოლილ თავისებურებაზე? იქნება თუ არა ეს გადახვევა ქართული შრიფტის განვითარების იმ ისტორიული ზღვიან, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართულად მხედრულდა შრიფტმა განვლო, სანამ ის დღევანდელი სახით წარმოვებოდა ჩვენს წინაშე.

ამ კითხვებზე შეგვიძლია ასეთი პასუხი გავცეთ: გავლენას ასეთი ოპერაცია უშეკვლად მოახდენს, მაგრამ ეს იქნება დადებითი, სსსარგებლო გავლენა, რადგან ჩვენ, ბოლოს და ბოლოს გვექნება ქართული ეკონომიური შრიფტი; ეს იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი ჩვენს ბუნდობლ საკმეზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მოველოთ, რომ ამ ჩიზ-წინადადებას გამოუჩნდება მოწინააღმდეგენი. ოკო ვც დოთ, ცდა ხომ ქეშმარიტების მიგნების უტყუარ საშუალებას წარმოადგენს...

მოქმე ალბანეთში

პროფ. მიხეილ დარასელია



ლბანელები ერთ-ერთი უძველესი წარმომავლობის ხალხია მსოფლიოში. ისინი არიან პელაზგების პირდაპირი შთამომავლები, რომლებიც უძველესი დროიდან დასახლებულან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამჟამად ალბანეთის მკვიდრთა რაოდენობა თითქმის მილიონ სამასათასს შეადგენს. მათ შორის 96% ალბანელია. 900 ათასზე მეტი ალბანელი ცხოვრობს იუგოსლავიაში (კოსოვო), ბევრი ალბანელი სახლობს საბერძნეთში, იტალიაში, ეგვიპტეში, ავსტრალიაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში. ასე რომ, მსოფლიოში თითქმის სამ მილიონამდე ალბანელია.

1922 წელს ალბანეთში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილიდან გადმოსახლდა არუმანთა 700 ოჯახი უჯოთი. არუმანები რომანიზირებული ილირო-ფრაკიელთა ტომის შთამომავლები არიან, აქეთ თავიანთი ენა, რომელიც ახლოს დგას რუმინულ ენასთან. მისდევენ მეჯოგეობას, ეყვიან მომთაბარე ცხოვრებას, ზაფხულში მთიდან მთაში, ზამთარს კი ატარებენ ალბანეთის სამხრეთ ნაწილში — ვლერში, ვიროკასტრაში და ბერატში. ცხოვრობენ მეტად პრიმიტიულად — თვის კარვებში.

პიოველ საუკუნეში ჩვეს ერაყდე თახამედროვე ალბანეთის ტერიტორია რომა დაიპყრო. მოგვიანებით აქ გაბატონდნენ ბიზანტიელები, შემდეგ კი ალბანეთი დიდხანს იმყოფებოდა თურქეთის უღელქვეშ, თურქთა ბატონობამ ქვეყანა ეკონომიურად გააღატაკა და ალბანელ ხალხს უღიდესი ტანჯვა მიყენა. დიდი სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით იფიქრებს ალბანელი ერი თავის სახალხო გმირს გიორგის კასტრიოტ-სკანდერბეგს, რომელიც სათავეში ედგა ალბანელი ხალხის ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ოტომანთა იმპერიის დასუსტებამ ხელი შეუწყო წარმოქმნილყო რამდენიმე ფეოდალური სამთავრო, რომელიც სულთანზე იყო დამოკიდებული. ერთ-ერთმა ტებელინელმა ფეოდალმა ალი-ფაშამ ჩრდილოეთ ალბანეთში შექმნა საკმაოდ ძლიერი სამთავრო, თავისი გავლენის ქვეშ გააერთიანა ალბანეთის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილი და დამოუკიდებელი პოლიტიკის გზას დაადგა. უფრო გვიან თურქეთის სულთანის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ დამარცხდა, მას თავი მოჰკვეთეს საკუთარ ციხე-სიმაგრეში.

ეჭირა რა ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობა, ალბანეთი დიდხანს იყო მწვავე პოლიტიკური ბრძოლის სარბიელი. 1924 წელს ალბანეთში მომხდარმა აჯანყებამ დაამხო ახმედ ზოგუს რეჟიციული მთავრობა, რომელიც საზღვარგარეთ გაიქცა. მთავრობამ, რომელსაც სათავეში ფან ნოლი ჩაუდგა, გაატარა სოციალური რეფორმა, მაგრამ მალე ფან ნოლი იძულებული შეიქნა მმართველობა დაეთმო ახმედ ზოგუსათვის, რომელმაც თავი ალბანეთის მეფედ გამოაცხადა.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ალბანეთი ფაშისტური იტალიის აგრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა. იტალიელებმა ჩაზღვო დესანტები გადმოსხეს და მეფე ზოგუ სამშობლოდან განდევნეს.

ალბანელმა პატრიოტებმა, იტალიელ და გერმანელ დამპყრობლებთან დიდი და მწვავე შეიარაღებული ბრძოლის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ალბანეთი საბოლოოდ გაათავისუფლეს.

საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით ალბანელმა ხალხმა უღიდესი წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ჩქარი ტემპით მიდის წინ ალბანეთის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება. აშენდა მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხანა, ჰიდროელექტროსადგურები, კვების მრეწველობის საწარმოები.

ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. დაინერგა ბევრი ახალი კულტურა. მაგალითად, ბამბა, შაქრის ჭარხალი, რომელთაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, საგრძნობლად გაფართოვდა თამბაქოს კულტურაც, რომელსაც 250 წელია მისდევენ. ზეთისხილი ალბანეთში ითვლება ნაციონალურ სიმდიდრედ. ზეთისხილის ბაღებს უჭირავთ თითქმის 16 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი. რომელიც მომავალში კიდევ უფრო გააღიდდება. გეგმით დასახულია ციტრუსოვან კულტურათა გაფართოება.

იზრდება და ვითარდება მიწათმოქმედება ალბანეთში. საბჭოთა სპეციალისტების კონსულტაციით შესწავლილია

პოლონია. გათბრები





ქ. სარანდის საერთო ხედი ზღვიდან

ნიადაგი, შექმნილია მინდორისაკაგი ზონები. დიდი მას-
შტებით წარმოებს სამელიორაციო სამუშაოები. ამიშრო-
ბილია 4000 ჰექტ. მაღლის ჭაობი, უახლოეს ხანში დამ-
თავრდება ვურგას, ტერბუფის ტბის ჭაობების ამოშრობა.
გაყვანილია სარწყავი არხები. მათ შორის ყველაზე დიდია
მდინარე ვიოსიდან (55 კმ) გამოყვანილი არხი. სარწყავი
ტერიტორიის ფართობი 130 ათას ჰექტარს აღემატება.


ალბანეთში ბევრი უმაღლესი სასწავლებელია, რომელ-
იც ინჟინრებს, აგრონომებს, ექიმებს, პედაგოგებს და
სხვა დარგის სპეციალისტებს ამზადებს. არის მეცნიერე-
ბთა ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს მთელ რივ სა-
მეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს. ნაყოფიერად მუ-
შაობს სოფლის მეურნეობის და ბიოლოგიის სამეცნიერ-
ო-კვლევითი ინსტიტუტი.

ალბანეთში ტურისტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწ-
ვევს მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები. მინ-
და მოკლედ გადმოვიცე ის შობაბუნძილება, რომელიც ჩემ-
ზე მოახდინა ალბანეთის ორი უძველესი ძეგლის — ბუტ-
რინტოს და აპოლონიას დღემდე შემონახულმა ნაშთმა.

ბუტრინტო მდებარეობს საბერძნეთის საზღვართან,
ალბანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ისტორიული
წყაროების მიხედვით ბუტრინტო ჯერ კიდევ ნეოლითის
პერიოდში ყოფილა დასახლებული. ბერძენი პოეტის
ცნობით, ბუტრინტო არსებობდა ექვსი ათასი წლით ადრე
ჩვენს ერამდე, რომელი პოეტი ვირგილიუსი ვეაუწყებს,
რომ ბუტრინტო წარმოიშვა ჯერ კიდევ შედითათის წლის
წინათ ჩვენს ერამდე.

ბუტრინტოს წარმოშობაზე ასეთი ლეგენდა არსებობს:
ტროას მეფის გაქიშვილი (გადმოცემით ის იყო ტროას

აპოლონია. ქალაქის კედელი 2 მ. სისქისა



გმირი ენეი, მეფე ანხიზის და ქალღმერთ აფროდიტას გა-
ქიშვილი) ტყეში ნადირობის დროს შეხვდა მკითხავს.
რომელმაც მას ბრწყინვალე მომავალი და დიდება უწინას-
წარმეტყველა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ააშენებდა
ქალაქს იმ ადგილას, სადაც მას გარეული ხარი შეხვდებო-
და. ბუტრინტოსაგან არც ისე დაშორებით ტროას მეფის
გაქიშვილი მართლაც წააწყდა გარეულ ხარს და იმ ადგილს
ქალაქი ააშენა.

ისტორიული წყაროებით ბუტრინტოს დაარსებამდე ეს
ადგილი ილირიის ტომის კაონის სამოსახლო იყო. ბუტ-
რინტოს უძველესი მკვიდრნი ყოფილან ტროელები, რომ-
ლებსაც ქალაქისთვის შემოურტყამთ მაღალი ქვის გალა-
ვანი პედავების (წინაისტორიული ხალხი) სტილზე
მოგვიანებით, დაახლოებით მეექვსე საუკუნეში ჩვენს
წელთაღრიცხვამდე, ქალაქი დაიპყრეს ბერძენმა, რომლე-
ბიც აქ კუნძულ კორფუდს მოვიდნენ და თითქმის ოთხი
საუკუნის განმავლობაში მუდგობდნენ.

საბერძნეთსა და რომს შორის გართულეულ დამოკი-
დებულებას მოჰყვა ბერძენ-ილირიულითა და რომაულითა
ჯარების ცხარე შეტაკება, რომელიც უკანასკნელთა გამარ-
ჯებით დამთავრდა. ეს მოხდა I საუკუნეში ჩვენს ერამდე.
მათ ქალაქს შემოარტყეს დულაბით გაკეთებული მშენიერ-
ი წყობის კედელი. რომაელების ბატონობის წლებში
აყვავდა ვაჭრობა, განვითარდა კულტურა, აშენდა არქი-
ტექტურული ნაგებობანი, შეიქმნა მარმარილოს ქანდაკე-
ბანი და სხვ. იულიუს კეისარმა იგი რომის კოლონიად აქ-
ცია. შემდეგ ბუტრინტოს კეთილმოწყობა კიდევ უფრო მა-
ღალ საფეხურზე აყვანა იმპერატორმა ავგუსტუსმა, რომ-
ელმაც თავისი ადგილობრივი ფული გამოუწვა. ამ პერი-
ოდს მიეკუთვნება თეატრის, წყალგაყვანილობისა და სხვა
ნაგებობათა აგება ბუტრინტოში. ბარბაროსების — გოთების
შემოსევამ კანადაღურა ქალაქი და ამის შედეგად და-
ქვეითდა ეკლტურა და ვაჭრობაც.

არსებული ცნობების მიხედვით, მიწის ძვრის გამო
ქალაქის დაბლობ ნაწილს დაუწვევია და წყლით დაფარუ-
ლა. ასე გაჩენილა ბუტრინტოს ტბა. წყლით დაფარულა
გადაურჩა ქალაქის ის ნაწილი, რომელიც ფერდობებზე
იყო განლაგებული.

XIV საუკუნის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვით ეს
ტერიტორია დაიპყრეს ვენეციელებმა და ფართო ვაჭრო-
ბა გააჩაღეს.

XIV საუკუნის ბოლოს კი აქ ვაჭრობდნენ თურქი დამ-
პყრობლები; მათ ბატონობას ბოლო მოუღო ფრანკთა შე-
მოსევამ, მაგრამ მალე ფრანგები განდევნა ალი-ფაშამ, რომ-
ელმაც ალბანეთის სამხრეთ და ცენტრალური ნაწილები
გააერთიანა და ერთი დიდი სამთავრო შექმნა.

ბუტრინტოს ხედი ზღვის სანაპიროდან იხსნება მაღალ-
კოშკიანი რესტავრირებული შენობით, რომელსაც ირველივ
მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. ბუტრინტოს შესა-
სვლელთან, აკროპოლის ძირში ამაღართულია ქვის სვეტი,
რომელზედაც აღნიშნული იყო მანძილი რომამდე. ასეთი
სვეტები დადგმული ყოფილა რომაელთა ყველა საპრძინე-
ლოში.

ქალაქის ნაწილი, აკროპოლის ფერდობებზე განლაგე-
ბული, შემოვლებული ყოფილა გალავნით. მას ოთხი შე-
სასვლელი ჰქონია. დღემდე შემორჩენილია მხოლოდ ერთი
შესასვლელი, რომელსაც ორივე მხარეზე კედლებში აქვს

ხალჩავება შეიარაღებულ მცველთა თავშესაფარად. იქვე არის პატარა ნაგებობა დანარჩენ გუმბათოვანთა. აქ დღევანეს ნახათ სხვადასხვა ზომის გარანდულ ქვებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში მტრებს ესროდნენ.

აერობოლი შესასვლელთან მოთავსებულია ქვის ვიწრო კიბე. შიგნით, ცენტრში კარგადაა შემონახული თეატრის ნაშთი, სცენა და ამფითეატრი. დასაჯდომები თლილი ქვასაა; დარბაზის პირველი რიგი განკუთვნილია წარჩინებულ პირებს. ქვეს აქვს ნახევრები ქოლგების დასამარებლად, რომლებიც მკურებელს შხის სხივებისაგან უცავდა.

მკურებელთა ღია დარბაზის შესასვლელში არის მოზრდილი ოთახი, სადაც შემორჩენილია შადრევნის ნაშთი. კედლებზე ჩანს შესანიშნავი მოზაიკური ნახატების კვალი, მოსტაშენებები ქანდაკებებისთვის. კედლებზე დარჩენილია წარწერები გმირთა სახელებით. კანონებისა და განკარგულებათა ტექსტები. თეატრის სცენა არქიტექტურულად გასაოცრად და დიდი გემოვნებით არის გაფორმებული. სცენის ვასწვრივ კედლებს აქვთ შეგრილები, რომლებზეც მარმარილოს ქანდაკებები იდგა. ექვსი ქანდაკებიდან ერთი გამოსატყავდა ბუტრინტოს ქალღმერთს.

1928 წლიდან 1938 წლამდე ბუტრინტოში უმუშავებია იტალიელ არქეოლოგებს, რომლებსაც აღმოუჩენიათ სიუჟანისის ღმერთის — ესკულაპის ქანდაკება და კარადა, სადაც ინახებოდა მისთვის მიზამული ძვირფასი საშუქრები. ესკულაპის ქანდაკება წაულიათ გერმანელებს ალბანეთის ოკუპაციის დროს.

თეატრის მახლობლად დაცულია რომელი მხედართმთავრის საცხოვრებელი სახლის ქვის კედლები. სახლის შიდა ნაწილი დანგრეულია, მხოლოდ ზოგან არის შემორჩენილი იატაკის ქვის ფილები. სახლიდან ცოტა მოშორებით დაცულია დიდი საბანაო აუზი, ჩასასვლელი ქვის კიბით. აუზი განკუთვნილი ყოფილა მხოლოდ წარჩინებულ პირთათვის. წყალი მოედინებოდა თიხისაგან გაკეთებულ მილგებში 20-25 კმ-ით დაშორებული მთებიდან. მიღების ნარჩენები დიდებდა მოღწეული. საბანაო აუზის ახლოს კარგადაა შემონახული ბანაოს ნაშთი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ცხელი წყლით მარაგდებოდა.

დასოლოებით აერობოლის ცენტრში მოთავსებული იყო ქალაქის წყალგაყვანილობა. განმანაწილებელი მილებით და აუზით, რომელიც წყალს აწვდიდა ახლო მოსახლეობას. შემორჩენილ მოზაიკურ ფრესკებზე გამოხატული არიან წყალზე მიმავალი გოგონები ღოჭებით; ქალაქის წყალგაყვანილობის აუზი მდიდრულად ყოფილა მოხატული, რასაც მოწმობენ მორთულობის დიდმდე მოღწეული ნიმუშები, მათ შორის, დიონისეს და აპოლონის ქანდაკებები. ქალაქს სურათ-სანოვავისა და იარაღის ბევრი საწყობი ჰქონია. ერთი ასეთი ოთხსართულიანი მიწისქვეშა საწყობი — ქვის ფილებით ნაგები ღრმა სათესოს ახლაც კარგადაა შემონახული.

ქალაქის გაღმა მცხოვრები მოსახლეობა ჰის წყალს ხმარობდა. ერთი ასეთი ჰა დაცულია ქალაქის ცენტრალური ნაწილის შესასვლელთან, მისი სიღრმე 50 მეტრს შეადგენს. ჰა მთელ სიღრმეზე ამოშენებულია ქვებით, ხოლო მიწის ზევით მრგვალად შემოღობილია თლილი ქვით. ერთი მეტრის სიმაღლეზე ჰვას ამჩნევია ღრმა ნაჭდევი, რომელიც წყლის ამოსაღები თოკის ხახუნით უნდა



ტაძრის შიგნითა ხედი. მარმარილოს კოლონები, იატაკე მარმარილოს მოზაიკა


იყოს გამოყვეული. ჰის სიახლოვეს არის საშუალო სიდიდის შენობა, სადაც ალბათ, სამრეცხაო იქნებოდა.

აერობოლის დათვალიერებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები, მშვენიერად შემონახული ზოგიერთი დეტალით. ტაძარი აგებულია VI საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით. მის ცენტრში მოთავსებული ყოფილა საშუალო ზომის აუზი, რომელშიც ბავშვებს ნათლავდნენ. აუზი შიგნიდან მოპირკეთებულია თეთრი მარმარილით. ტაძარი გადახურული ყოფილა ქვის სახურავით, რომელიც მარმარილოს მრავალრიცხოვან ფერად-ფერად სვეტებს ეყრდნობოდა. მათი ნარჩენები კარგადაა შენახული. ტაძრის იატაკიც მარმარილოთა დაგებული და მორთულია კარგად შენახული, გასაოცრად ლამაზი შეფერილობის მოზაიკებით. ერთი მათგანი გამოხატავს ყურძნის მტევანს. გადმოცემის თანახმად, მონათველის დროს ბავშვებს ასმევდნენ ყურძნის წვენს, როგორც ჯანმრთელობის და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების საწინდარს.

ბევრი მარმარილოს ქანდაკება და სხვა ძვირფასეულობათა ერთი ნაწილი წაულიათ იტალიელებს. ნაწილი კი — გერმანელებს მეორე მსოფლიო ომის დროს. უფრო ნაკლები ინაშენელებანი ძეგლები შემონახულია ბუტრინტოში და გამოყვნილია დასათვალიერებლად. არ არის ცნობილი, თუ ვის გამოხატავს ერთ-ერთი მარმარილოს ქანდაკება, რადგან ქანდაკების თავი გატაცებულია.

იტალიელ არქეოლოგთა ცნობით, რომლებიც აქ გათხრებზე და ძეგლების შესწავლაზე მუშაობდნენ, ბუტრინტო

აუზი განმანისათვის





რომაელ წარჩინებულთა სასაიროს ალუა. მის ორივე მხარეს
პოსტამენტებია ქანდაკებებისათვის

იმდენად ძვირფას ობიექტს წარმოადგენს, რომ ღირსია ნახოს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ტურისტმა.


ალბანეთის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ენვერ ხოჯას მითითებით მიღებულია ზომები ალბანეთში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძვირფასი ძეგლების წესრიგში მოსაყვანად.

ბუტრინტოსკენ მიმავალი გზა მიემართება საზღვაო პორტ სარანადან ზღვის კუნძულ კორფამდე. არსებობს უფრო ნაკლებ მოხერხებული სახმელეთო გზაც ბუტრინტოს ტბამდე, ხოლო შემდეგ ცოტაოდენი მანძილი აკროპოლამდე ნავითაა გასასვლელი.

ძალზე საინტერესოა მეორე ისტორიული ძეგლიც — უძველესი ქალაქის აპოლონიას ნაშთი. არსებული ცნობების მიხედვით ქალაქი აპოლონია აშენებული ყოფილა VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (580 წ.) 10 კილომეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც მდინარე კიოსა (კიოუსსა) ერთვის ადრიატიკის ზღვას.

ქალაქი, რომელიც ბერძნებს აუშენებიათ. გარშემორტყმული ყოფილა 12 კმ. სიგრძის ქვის მაღალი გალავნით. კედლების ნაწილი ჯერ მიწის ქვეშაა მოქცეული და მოწმობს ქვის სამუშაოების მაღალ ტექნიკას. კედლის ამ ნაწილის სისქე ორი მეტრია, იგი სქელი თლილი ქვითაა ნა-

თეატრის ნანგრევები, ამფითეატრი, სცენა.



გები. აპოლონიას მკვიდრთა რიცხვი 70 ათასს აღწევდა. ქალაქკარეთ ბლებები და მონები ცხოვრობდნენ, იქვეა სასოფლაოც (ნეკროპოლი).

პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქალაქი დაუპყრიათ და კოლონიად გაუხდიათ რომაელებს. ეს იყო საბერძნეთის ერთი იმ ქალაქთაგანი, რომელსაც აპოლონიას უწოდებდნენ. თავისი სიდიდით და მნიშვნელობით იგი აღემატებოდა ყველა სხვა ქალაქს. რომაელებს არ ჰქონდათ ორატორთა მოსამზადებელი სკოლა. ფრანგი არქეოლოგი ლეონ რეი ამტკიცებს, თითქმის რომის იმპერატორს ოქტავიან ავგუსტუსს სწორედ აქ დაემთავრებოს ორატორთა სკოლა.

ძლიერ მიწისძვრას III საუკუნეში მთლიანად დაუნგრევია და მიწის ქვეშ მოუქცევია ქალაქი.

1924 წლიდან არქეოლოგი ლეონ რეის ხელმძღვანელობით დაიწყო ქალაქის არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც 1938 წლამდე გაგრძელდა. ქალაქის კედლების გარდა აღმოჩენილ იქნა აკროპოლის შიდა ნაწილი, მარმარილოს მრავალრიცხოვანი კოლონადებით, ქანდაკებებით და სხვა ნაგებობებით. ცალკეული საფლავების გათხრებისას ნაპოვნი იქნა ბრინჯაოსაგან გაკეთებული ურიცხვი ბეჭდები, სამკაულები და სხვ.

თეატრის შენობა ოდენი (ამფითეატრი), რომელიც საკონცერტო დარბაზს მოგვაკონებს, აშენებულია მეორე საუკუნეში (ჩ. წ.) არსებობს ცნობა, რომ ოდენი ააშენა რომაელმა მღვდელმა უფურნო პროკონსოლმა იმში დაღუპული ძმის პატრესაკემად. სხვადასხვა სახანაობებთან ერთად თეატრში აწყობდნენ კონცერტებს. ასხენებენ დიოკორ ავონავატისის სახელს. აკროპოლის ცენტრალურ ნაწილში დასჯილია ბილიოთეკის და მალაზიების შენობები ბერძნული წარჩინებით. როგორც ჩანს ბერძნული ენა აპოლონიას სახელმწიფო ენა ყოფილა.

ამფითეატრის უკან იწყებოდა ხეივანი წარჩინებულთა გასასივრებლად. ხეივნის ორივე მხარეს პოსტამენტებზე დადგმული ყოფილა ღმერთების, სახელმწიფო მოღვაწეების და მხედართმთავრების მარმარილო ბეჭდვები. ყველა ეს განძი 1938 წელს გააღატანიათ ვლანის მუზეუმში, ხოლო იქიდან მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიელებს წაუღიათ რომში, სადაც ამჟამად ინახება. ხეივანში დარჩენილია მხოლოდ ბოსტამენტები და კედლებში შეღრმავებული ადგილები, სადაც დგამდნენ ქანდაკებებს. უკანასკნელი დროის განათხარებში ნაპოვნია ბევრი თიხის ქოთანნი, რომლებშიც დევნიობებს და ზეითუნის ზეთის ინახავდნენ.

ქალაქ აპოლონიას ზედამხედველ ბილოს სამარჯიოს ცნობით, რომელიც ამ ძეგლებს იცავს 1932 წლიდან, აკროპოლი გარშემოვლებული ყოფილა 12 კმ. სიგრძის კედლით. გათხრების შედეგად ჯერჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ 4 კმ. სიგრძის კედელი.

არქეოლოგი ლეონ რეის მტკიცებით აღმოჩენილი ძეგლები ცადაყოვენ, რომ აპოლონიას თავის დროზე ბუტრინტოზე არსებულ მნიშვნელობა ჰქონია.



ქართული ხალხური ცეკვების შესახებ

გრიგოლ კოკელაძე



ახლური შემოქმედება თვალუწვდენელი ოკეანეა, რომლის სიღრმე ადამიანის დაუშრეტელ გრძნობებსა და მის მიწრაფებებს მოიცავს. იგი ადამიანთა სულიერი ცხოვრების უჭირფასესი განძია. განვიღო საუკუნეთა მანძილზე იგი დიდი სიფაქირობით იქმნებოდა და ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ვისა აქვს უფლება ასეთი მრავალწინაარსიანი და სრულყოფილი გამოკვეთილი ხალხური ხელოვნება შელახოს და გადაავარსოს? ვისა აქვს უფლება საუკუნეთა მანძილზე ჩამოსხმული და გამოქანდაკებული ხალხური საუნჯე გააყალბოს და დაკინოს? ამის უფლება არავის არა აქვს და არც არავის უნდა მიეცეს, ვინც არ უნდა იყოს იგი!

ხალხური საუნჯის სიწმინდის დაცვა დიდ პატრიოტულ მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენთვის უცხო და ანტიმხატვრული შემოქმედების შემოტანისა და ვაგონების წინააღმდეგ აუცილებელია გაერთიანებული ძალებით ბრძოლა, რადგან აქ ერთეულები და ცალკეული ორგანიზაციები ვერაფერს გახდებიან. ხელოვნების მდარე მოვლენები სათანადო გამომავალურებასა და ვაგონების ბოლომდე ახალგაზრდა თაობაში. საჭიროა დროულად ვიზრუნოთ, რამ ჩვენს თხალგაზრდობას თავიდანვე ჩავენერგოთ სიყვარული იმ დიდი შემოქმედებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ათუელი და ასეული წლების მანძილზე ქმნიდნენ და იცავდნენ. საქართველოში მართლმადიდებელი შემოქმედებითი გამოვლენების გამომუშავებაზე და მის დანერგვაზე, ხალხურ შემოქმედებაში აღრევისა და ქაოსის შემოშენის კი, განურჩევლად პიროვნებისა, დაუზოგველი იქნეს გაიცესული ყველგან — კონფერენციებზე, პრესის ფურცლებზე თუ საციალურ სემინარებზე.

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ხალხურ ცეკვებს. მათ შორის ყველაზე მდიდარი, შინაარსიანი და მნიშვნელოვანია ცეკვა „ქართული“. ამ ცეკვის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, ამასთან აღნიშნული და მხილებული უყოფლა ზოგიერთი ქორეოგრაფის და შემსრულებლის თვითნებური და მცდარი ინტერპრეტაცია.

ყველა პროფესიონალი თუ თვითმოქმედი ქორეოგრაფი და შემსრულებელი ვალდებულია ღრმად ჩაწვედეს და წინასწარ შეისწავლოს მის მიერ განსახიერებელი ყველა ცეკვის ისტორია და შინაარსი. აქ მარტოოდენ ინტუიციას უღერდნობა არ არის საკმარისი. ინტუიციასა და შემოქმედებითს ოსტატობას მყარი თეორიული საფუძველი უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია შეცდომები, რომლითაც ნების თუ უნებლიედ

შეიღებება ხალხური შემოქმედების სიწმინდე და ქეშმარიტი ღირსება.

ცეკვა „ქართული“ თავისი მალამხატვრული ბუნებით პლასტიურობითა და ლირიკული განცდებით, დიდი პოეტური ქინილება. ფორმითაც და შინაარსითაც იგი ნამდვილ ქორეოგრაფიულ პოემას წარმოადგენს. ცეკვა „ქართული“, რომლის შესრულების დროს მხოლოდ ერთი წყვილი ქალ-ვაჟი მონაწილეობს, მეტად მკაფიოდ არის გამოხატული ძაძვაცის სიღარბისლუ, რანდული ბუნება და თავდაპირველობა, რაც მთავრად მანდილოსნისადმი უაღრესი პატივისცემა და მოკრძალება. ეს ამ ცეკვის გამომსახველი და ძირითადი თვისებაა, რომელიც ყველა შემსრულებლის მიერ ზედმიწევნით და სრულ შეგნებით უნდა იქნეს დაცული და განსახიერებელი.

პატივისცემა და თავზანი დამოკიდებულება მამაკაცისა ქალისადმი — ქართველი ხალხის სულიერ კულტურაში დღესაც დიდ ნაირფერობად აღბეჭდილა და გამოვლენილია. იგი გამოხატულია ქალის უპირატესობის ხაზგასმანში. ამ ტრადიციის თვალსაჩინო დამადასტურებელია თუნდაც ქართული კომპოზიციების პრინციპი. ტრადიციულად ქართულ კომპოზიტივში ჯერ ყველგან ქალი ნახსენებია, შემდეგ კი — მამაკაცი: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა, ქალ-ვაჟი და სხვა. ამ კომპოზიტივის შემზრუნებით განლაგება და წარმოქმნა სრულიად უწინააღმდეგება ქართული სიტყვის ბუნებას და მის კანონზომიერებას, მგ. „მამ-დედა“, „ქმარ-ცოლი“, „ძმა-და“, „ვაჟ-ქალი“ და სხვა. ამგვარი აღრევა დიდ შესაბამობას, არაბუნებრივობასა და დისონანსს გამოიწვევდა. ამგვარად, კომპოზიტივის ამ ტრადიციას თავისი ღრმა საფუძველი აქვს და ეს თვისება ყველა ერს როდი ახასიათებს და თუ ზოგი მათგან ამგვარი კომპოზიტივს შემზრუნებით გამოთქვამს, ესეც გარკვეულ ტრადიციასთან არის დაკავშირებული.

ჩვენში არსებული ადამის მიხედვით, ქართველი კაცის ოჯახში პირვანდ დისახლისის, უფროსი დედის სადღეგრძელო დაილევა, შემდეგ კი — სხვებისა. ქალის სადღეგრძელო დროს მამაკაცი ფეხზე დვას, ქალი კი — ზის...

ტიროლში სოფლად ჩამოსული სტუმრებიდან ზარის მითქმელი მგალობლები ჯერ ქალებს მიაცილებდნენ იქ, სადაც მიცალბებული ასვენია, შემდეგ კი მამაკაცებს...

ქართველი ხალხისათვის ტრადიციულია და დისახლისის ოჯახის დედისადმი უაღრესი მოკრძალება და დიდი სიყვარული. დედის სახელს ქართველმა ხალხმა ბევრი რამ დაუკავშირა: დედა-ენა, გუთნის-დედა, დედა-ბოძი, დედა-ზარი, დედა-არსი, დედა-ქალაქი და სხვა. ყველაფერი ეს ჩვენი ხალხის ბუნებიდან გამომდინარეობს, რამაც თავისი გამოვლენება მამკვა ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიც.

„ქართველი ხალხის ეს საუკეთესო ჩვევები და ტრადი-

ციები მაჟიოდ და ხატონად არის გამოსახული ცეკვა „ქართულში“.

ყველან, სადაც ლხინი და გართობა იქნებოდა, შესაძლებელია შესრულებულიყო ცეკვა „ქართული“ სოფლად, საერო, არ რელიგიური დღესასწაულების დროს ხალხი იკრიბებოდა მოედნებზე და სხვადასხვა სანახაობას აწუხობდა, ამასთან ცეკვა თამაშვ მართავდა.

ერთი მეთაურთაგანი მოხიზნობდა მუსიკის-დამკვრელებს და საცეკვაო წრეს შეკრავდა. რომელიმე ვაჟი თავისი სურვილით, ან მეთაურის თხოვნით, გამოვიდოდა და გოგამნით თვარს დაუვლიდა, ირგველი მდგომ ქალებსა და გოგონებს აწუხებდა, იგი ჯერ დამკვრელ-მუსიკოსებს მიუთამაშებდა, ადგილზე კოხტა გასმას გააკეთებდა და დამკვრელებს მაღლობის ნიშნად თავაზიანად თავს დაუქრავდა. შემდეგ ისევ გოგამნით დაუვლიდა, მშერას ერთ ვინმეზე შეაჩერებდა და მომღიმარი სახით მას მიუახლოვდებოდა. ვაჟი არჩეულ გოგონასთან შეჩერდებოდა, ადგილზე ლამაზი განმით თავის სურვილს გაუმჟღავნებდა, მოკრძალებით თავს ძირს დახრდა და ქალს საცეკვაოდ გაყოლას თხოვდა; თუ გოგონას ვაჟი მოეწონებოდა, ამასთან გაზედაობაც ეყოფოდა, ვაჟს ეთმისწადილს შეუსრულებდა და საცეკვაოდ გაჰყვებოდა. იგი შემთხვევად, როცა ქალს ვაჟი არ მოეწონებოდა, ან კიდევ დამსწრე საზოგადოებისა მოერიდებოდა და მას ცეკვაზე უარს ეტყვიდა. მით უმეტეს, რომ შეიძლება ის ვაჟი მისთვის სრულიად უცნობიც, სხვა სოფლიდან, სხვა კუთხიდან ყოფილიყო. თავმოწონი ვაჟი ამას ასე ადვილად არ თიზება და მის არჩეულს ხელახლა გამოიწვევდა. უსამართლო თავიდან ასაცილებლად, ხან კიდევ მეგობრების რჩევითაც, ქალი დათანხმდებოდა და ვაჟს საცეკვაოდ გაჰყვებოდა.

ამ შინაარსიან გამომდინარე შეიძლება დავადგინოთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მამაკაცის ქვეა ცეკვა „ქართლის“ შესრულების დროს, განსაკუთრებით კი, მინათობა, როდესაც იგი ქალს მიუახლოვდებოდა და მას საცეკვაოდ გამოითხოვდა! ამ შემთხვევაში მამაკაცის მოქმედება უნდა ყოფილიყო რაინდული, გაჟაკატური და ამავე დროს მეტად თავაზიანი, თავდაპყრილი და მოკრძალებული. სახეც გამოიმეტყველი, მომღიმარი და მეტად მიმზიდველი უნდა ჰქონოდა, რომ მისი არჩეული გოგონას გული მოეგო.

ამ ცეკვის მომენტში ქალი ნათლად გრძნობს მისადმი მამაკაცის კეთილწყალობებს და უადრეს პატივისცემას. ამიტომ იგი ხან თვალთმაქცობს, ხან კიდევც ცხოვრობს. ცეკვა ქართლის შესრულების დროს ქალი ცდილობს ხელიდან გაუსხდეს მამაკაცს, მოატყუოს იგი და მას გუა-კვილი აუზნის. ქალი ყველაფერს ამას შეგნებულად და გარკვეული მიზნით აკეთებს. მას უნდა გამოცანად მის მამაკაცის გაჟაკატობა, თავდაპყრილობა და სწრაფი ორიენტირების უნარი.

მამაკაცი ამ დროს არ იზნევა. ერთი წამითაც ქალს თვალს არ აშორებს. მეტად სწრაფად და მოხდენილად შემობრუნდება და თავაზიანი მოკრძალებით ქალს პირისპირი გაჟაკატა. მამაკაცის სახეზე ღიმილი არ ცხრება. იგი ცეკვის მიმდინარეობისას მუდამ თვალბუმი შესტყვის ქალს, თითქმის რაღაც საიდუმლოების ამოკითხვა სურდეს და შეუწულებლად ინარჩუნებს სიხიზლეს ცეკვის დამთავრებამდე.

ასეთია ამ ცეკვის საერთო ხასიათი და ბუნება, რომელიც ყველა ქორეოგრაფმა და შემსრულებელმა მანკრულად უნდა დაიცვას. მამაკაცი ამ მნიშვნელოვან თვისებებს იცავდა არა იმიტომ, რომ მას ვინმემ წიგნში ჩაუწერა და სავანებრივად შეასწავლა, — იგი თვითონ იყო ყველა ზემოთ აღნიშნული თვისების მქონე და ამ ჩვევებით აღჭურვილი, ეს მისთვის ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლავა იყო. ცეკვა „ქართლის“ შესრულების დროს ვაჟი არავითარ შემთხვევაში გამწერალი სახით არ მიუახლოვდებოდა მოწონებულ და არჩეულ ქალს. ამას არც თვითონ იკადრებდა და არც არავინ მოუწონებდა.

განა შეიძლება ქალს, რომელმაც შენი გული მოხიზნა და რომელსაც, იქნებ, პირველად შეხვდი — ქალს, სრულიად უცნობს, არ გაუღიმიო, არ გაუცინო, მისდამი მოკრძალებმა არ გამოხატო, — ან კიდევ არ იყო მისდამი თავაზიანი, თავდაპყრილი და პატივისცემით აღსავსე? მამ, საიდან არის, რომ ზოგიერთი მოცეკვავე ყველა ამ კეთილშობილურ თვისებებს ხანს გამოადრდევს და ცეკვა „ქართულს“ განარსებულად სახის გამოიმეტყველებით ასრულებს? თითქმის გაჯავრებულიც იყო, ქალს თვალბუმი სრულიადაც არ შეხვდეს, მის წინ უხამს გასმას გააკეთებს, ჩოხის კალთების ფრიალი ტლანქად შემოიტრიალებდა და მას საცეკვაოდ გაყოლას თხოვს.

ამგარა, რომ ასეთი რამ ყოველად მიუღებელი და უცხოა ცეკვა „ქართლისათვის“. ყველა ამ დარღვევას, რასაკვირველია, თავისი გარკვეული მიზეზებიც აქვს, რაც საჭიროა განვმარტოთ.

მამაკაცის განარსებულად და ამკომული სახე შედარებით უფრო დამახასიათებელია მიზეზური და მიოღური ცეკვებისათვის, თუ ცეკვა „ქართულში“ ინიციატივის მფლობელად მანდილოსანი გვევლინება, ცეკვა მოხვედრის შესრულების დროს წამყვანი როლი და ინიციატივა მამაკაცს ეკუთვნის. მრისანვე გამოიმეტყველებით იგი ხან ერთი მხრიდან გადაუდგება ქალს, ხან მეორიდან, გზას გადაულობავს და მას თავისუფალი მიმოსვლის საშუალებას უზღუდავს. ქალი კი დამაბუღი ყურადღებით შეეცქირის მამაკაცს თვალბუმი და ცდილობს გაიკოს მისი გულისწადილი. იგი, მეტად მორიდებული, მამაკაცის მიზანსცენებს ექვემდებარება და სრულ მორჩილებას გამოხატავს.

არ იქნებოდა ზედმეტი, თუ აქვე მოვიგონებდით იოსებ კათიაშვილის, გიორგი ჯავახიშვილის და ალექსი შადურის საუკეთესო და გამოიმეტყველ შესრულებას მოხვედრი ცეკვისას, სადაც მაჟიოდ იგრძობებოდა ნამდვილი ხალხური ბა და განსახიერების დიდი ოსტატობა. სცენაზე მათი გამოჩენა მაყურებელს თავიდანვე აღფრთოვანებდა. ეს იმიტომ, რომ ამ მოცეკვავეებს შესრულებაში არავინ ზედმეტი და ყალბი არ ყოფილა. ყველაფერი ბუნებრივი, მართალი და უშუალო იყო. მათ მიერ განსახიერებული ცეკვის გააზრებული შინაარსი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის დათთან და ზნე ჩვეულებრივად. სამივე მათგან ბუნებრივი თავისებურება და ხალხურიდან გამომდინარე თვისებები ახასიათებდა. ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ მათ შორის რომელი იყო უკეთესი. სამივე თავიანთი კუთხის ქორეოგრაფული ხელოვნების ზღვრისგანეულ წარმომადგენელი იყო.

მათი საუკეთესო შესრულებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ალექსი შადურის ცეკვის ერთი მომენტი, რომელიც ყო-

ველთვის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. მოხვედრი ცეკვის დაწყებისთანავე ალექსის მიერ გაჯაყურად გადადგმული პირველი ნახევრი და მისი მრისხანე გამომეტყველება თავიდანვე ატყვევებდა დამსწრე საზოგადოებას; განსაკუთრებით ძაბავდა იგი მაყურებელთა ყურადღებას, როდესაც დაღლის დროს იხივდებოდა მღვდელ მღვდელად და მღვტყველად ამპოჩარებდა, ქვევიდან ზევით აღმართავდა. ეს მოძრაობა იმდენად მკვეთრი, მახვილი და მომაჯადოებელი იყო, რომ შენც, დარბაზში მჯდომი, სკამს თანდათან მყოლებდებოდა და მასთან ერთად იმევე რიტმული მოძრაობით ზევით მიემართებოდი.

შესრულების ასეთი უშუალოა და დამაჯერებლობა, სამყურებო, დღევანდელ მოცეკვავეთა ვარკველ ნაწილს არ ახასიათებს. საქმე ის კი არ არის, რომ ამა თუ იმ ცეკვის ტენიკურ მხარეს, იღებებს და ნახაზებს დაუფლო, ამასთან საგვირა ზემოწვეთი შეისწავლო მისი ბუნება, ხასიათი, განწყობილება და შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნამდვილ და სრულყოფილ ცეკვას ვერ მივიღებთ.

იოსებ ცაითაშვილის, ვიორაჯი გაგაშვილის, ალექსი შადურის და სხვათა ამგვარი ოსტატების შესრულების დროს გარკვევით იგრძნობოდა მთისა და ხევის ბუნება, ტრადიციები, ყველა მათი დამახასიათებელი თვისება.

როგორც წარსული ცხოვრებიდან ირკვევა, ამ კუთხეში საპოთა ხელისუფლების დამყარებამდე სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი ქალის უფლებისა და მისადმი მამაკაცის დამოკიდებულების საკითხი.

ასეთი მოვლენების ნათელსაყოფად კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი.

1929 წელს მთავლურში ექსპედიციის დროს, ერთ-ერთი თვის ოჯახში ორი ძმისა და მათი ცოლების შესრულებით ხალხური ქორეოგრაფიის რამდენიმე ნიმუში ჩაეწერეთ. შემდეგ ვიზოვად მათ სურათის გადასაღებად გროში სკამები გამოეტანათ. მამაკაცები ჩვენს თხოვნას არც კი დაზოგნებურენ. ერთმა ძმამ განაკარგულით თავალით გახედა თავის მუღულს. ქალებმა სახლიდან სკამები გამოიტანეს და ქმრებს მიართვეს. ორივე ძმები შედიდურად სკამებზე დასხდნენ. უფროსმა ძმამ ფეხი ფეხზე გადაიღო და უღვაშები გადაიგრიხა. ცოლები მებტად მორიდებით თავიანთ ქმრებს გვერდზე ამოუდგნენ.

ამ დღემორბედაში სურათის გადაღება ყოტა უხერხულად ვნახეთ, რადგან ასეთი განსაზღვება და ურთიერთდამოკიდებულება ჩვენთვის — ბარელებისათვის, მოულოდნელი და უჩვეულო იყო. ამიტომ ვიზოვით — ქალები დამსადარაიყენებ და მამაკაცები კი ფეხზე დამდგარიყენებ. ჩვენს წინააღმდეგაზე უფროსმა ძმამ უკმაყოფილო და ცოტა ნაწყენი ტონითაც ვგვისახუბა: — „როგორ, დედაკაცები ისინდნენ და ჩვენ ფეხზე ვიდგეთ. ეს საღაური წყისა?“ — ჩვენც იძულებული ვაუხდით მათ წყის დამგორჩილებოდით. ყველა ეს ჩვევა ნათლად არის გამოსახული ხალხურ შემოქმედებაში.

ეს მაგალითები ნათლად მოწმობენ, თუ როგორი ტრადიციებით და თავისებურებებით ხასიათდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური ცეკვები. ამ საკითხის ზერედი და იხილი გზით გადაწყვეტად დიდ ზიანს მიაყენებს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სიწმინდის დაცვისა და მისი განვითარების საქმეს.

როგორც ზემოთ თქმულიდან ირკვევა, ცეკვა „ქართუ-

ლის“ მყარია და განრისხებული სახით შესრულება, ეს მთიულური და სხვა ამგვარი ხასიათის ცეკვის გაგონებით წარმოშობილი არტვის, ან კიდევ ვარკველი უსიღონო რობის შედეგია და იგი უწინააღმდეგება „ქართულის“ არსს — მამაკაცის მიერ ქალისადმი მოკრძალების გრძობის გამოხატვას.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოცეკვავე მამაკაცი „ქართულის“ შესრულების დროს შემოხრიალდება და ქალს ზურგს შეაქცევს. განა შეიძლება ამ ცეკვის მსგავლობის რომელიმე მომენტში ქალის გამოთამაშება და თავის დაკვრა, მისი გაცილება, მასთან პირისპირ სვლა, შესვენება, ფინალში შესვლა და ა. შ. თუ სხეულად დაარღვიე ამ ცეკვის ბუნება, ხასიათი და ყალბი მოძრაობა გააკეთე? რა პატივისცემაზე და მოკრძალებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ მამაკაცი ზურგს უჩვენებს მას? ან და მისი არ მოერიდება? ეს არ არის მართლოდენ ცეკვის დარღვევა. ცეკვა „ქართულში“ ამგვარი შემთხვევა აუცილებლად ნიშნავს ქალის შეურაცხყოფას და მისდამი უპატივცემლობას! სექც, ვფიქრობ სხვა ხასიათის ცეკვების გაგონის შედეგად, რაც დროულად უნდა იქნეს გათავისუფლებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ შემოტრიალების შედეგად ჩოხის კალთები იხსნება და შარვალი ჩნდება, რაც ცეკვა „ქართულში“ ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენი წინაპრები ამ ცეკვას ისეთი სიზოტობით და დიდი ოსტატობით ასრულებდნენ, რომ ჩოხის კალთა არავითარ მომენტში არ იხსნებოდა. ცეკვა ქართულში შარვლის გამოჩენა ეს, მამაკაცისათვის სამარცხენო ფატირაკს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ჩოხის სიგარტეს აუცილებლად მუხლები უნდა დაეჯარა. მიუტეტებელია და ყოველგვარ ესთეტობობასა და მოვლუბობა, როცა ჩოხა მოკლეა, და რსოვ ცეკვა „ქართულში“ დაღლის ან გასმის დროს გამოპურთილი მუხლები ჩანს და მათ ტლანქ მოძრაობას უცქერი. ზოგიერთი მოცეკვლის ასეთი შეუფერებელი ჩაცმულობა ზიარად მაყურებლის სამარცხენო აღმოფთვას იწვევს. მართლაც, მებტად მნატე კაცუნს ბუნება წარმოიგდებება, როცა ცეკვა „ქართულის“ ზოგიერთ შემსრულებელს ხალათის ზომის ჩოხა აცვიან... ასეთ სიმამხინჯეს არც კი ვინდა რომ უცქირო.

ცეკვა „ქართულის“ ბუნება და მისი ესთეტური მხარე მებტად მაღალი მორალით არის აღსაწესი. ამიტომ ყველა მისი საუკეთესო ელემენტი ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული.

ცეკვა „ქართული“ ისე უნდა დამთავრდეს, რომ მამაკაცის ტანსაცმელი არავითარ შემთხვევით არ უნდა შეეხოს ქალის ტანსაცმელს. ასევე არ შეიძლება ეს ცეკვა შესრულებს და მამაკაცს ტული თავზე ეხუროს.

ყოვლად შეუწყნარებელია აგრეთვე, როდესაც ქალი და ვაჟი ხელებს ურთიერთ შეხების გარეშე დაგაჯვარებინებენ და ისე ცეკვებენ. რა შეიძლება ითქვას ისეთ სიმამხინჯეზე, როდესაც ქალი ცეკვა „ქართულის“ ასრულებს და ამ დროს მამაკაცი ილილის ქვეშ გაუვლის მას? ყველა ეს საკითხი იმდენად ნათელი და გარკვეულია, რომ ვფიქრობ სათანადო დასკვნას თვითონ მკითხველი გააკეთებს.

ამ ამაღლებული ცეკვის შესრულებისას ქალს მებტად პაკროვანი ქროლება, პლასტიკობა და მცურავი ვოგმანი უნდა ახასიათებდეს. მამაკაცი კი ტექნიკურად იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ გასმის, ან დაღლის დროს მისი

ტანის ზედა ნაწილი თითქმის არც კი უნდა ირხეოდეს. ორივე კეთილშობილი გამომეტყველებით და მოხედინებ კარგობით უნდა იყოს დაჯილდოებული.

საჭიროა აქვე აღვნიშნო, ზოგიერთი დამკერვლის მიერ დოლის გაპარუბული ბრახენი, რაც ლირიკული ცეკვა „ქართულიათვის“ სრულიად უცხო და არადაამახასიათებელია.

არ იქნებოდა ზედმეტი, თუ მოვიგონებდით ძველი თაობის ცეკვა „ქართლის“ ზოგიერთ შემსრულებლებს, რომლებიც თავიანთი ბრწყინვალე ტექნიკით, წარმატაცი და თავისებური მოძრაობით ნამდვილი ოსტატები იყვნენ. მათი საუკეთესო ჩვენების აღდგენა, შესწავლა და სისწორით გადმოტანა დიდ სარგებლობას მოუტანდა ქორეოგრაფიული ხელოვნების მუშაკებს და საერთოდ ჩვენს ახალგაზრდა თაობას.

ასეთ სახატა შორის შეიძლება დავასახელოთ: ელო ანდრონიკაშვილი, ოლა ნაჩაძე, ლევან ფალავანდიშვილი, დიმიტრი აბაშიძე, ლევან ციმაკურიძე, ივანე ნანიშვილი, გიორგი ზახტაშვილი და სხვ.

ცეკვა „ქართლის“ საუკეთესო თვისებების ნათესახყოფად შეიძლება აღინიშნოს ერთი თვალსაჩინო ეპიზოდი. 1929 წლის სექტემბერში, ორჯონიძის სახელობის პარკში (ყოფ. მუსხიანი) მოეწყო ცეკვა „ქართლის“ შემსრულებელთა შეჯიბრება. დაწესებული იყო მხოლოდ სამი ჯილდო. მონაწილეობას ღებულობდა რვა წვედილი ქალ-ვაჟი. ამ სანახაობამ დიდძალ ხალხს მოუყარა თავი. შეჯიბრებას პრიმიტიულ ვითარებში მიმდინარებდა — ღია სცენაზე, სადაც ამჟამად, ზაფხულობით სასულე ორკესტრი უკრავს; სცენის ერთ მხარეზე მელდუღეუნი, ისხდნენ, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე — ქორის თამაშს წვერი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცეკვა „ქართლის“ საუკეთესო შემსრულებელი ვანო ნანიშვილი.

ქორის თავმჯდომარე თანამდევრობით გამოაცხადდა მონაწილთა ვაგარი და სახელი. ყოველ მათგანს დიდი მღელვარება ეტყობოდა. სცენაზე ავიდა ქართულ ტანსაცმელში გამოყოფილი პირველი წვედილი ქალ-ვაჟი. ხალხში ერთბაშად სიხუმე ჩამოვიდა. ვაისმა ცეკვა „ქართლის“ მგლოდა, რომელსაც დოლის რიტმული შეხამება აწვევინებდა. შეჯიბრების ყოველ მონაწილეს, რომლებიც ერთიმეორეს ცვლიდნენ, დანსწრე საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალსურს. უკანასკნელმა წვედილმა სხებთან შედარებით უფრო მეტი წარმატება მოიპოვა. ყველა ფიქრობდა, რომ პირველ ჯილდოს თორი ამ უკანასკნელ წვედილს მიანიჭებდა... მცროსიდან შესვენების შემდეგ ქორის თავმჯდომარე შეჯიბრების შედეგები გამოაქვეყნა. პირველი ჯილდო არაის არ მიაკუთვნეს. ხოლო უკანასკნელმა წვედილმა, რომელიც პირველ ჯილდოს მიიღოდა, მიიღო მეორე ჯილდო, მეორე წვედილმა კი მესამე ჯილდო დაიმსახურა.

მოცეკვავე ვაჟმა, რომელმაც მეორე ჯილდო მიიღო, მეტად ნაწყვილ ტონით მიმართა ივანე ნანიშვილს: „ამხანაგო ქორის თავმჯდომარე! თქვენი გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი. ჩვენ ყველაზე მეტი წარმატება გვგება, თქვენი კი პირველი ჯილდო მიიღო არ მოვაკუთვნებთ. მოვიხოვთ ხელახლა გადასინჯათ თქვენი არასწორი გადაწყვეტილება“.

ამ ვაისის სარჩევანს დამსწრე საზოგადოების ერთი ნა-

წილიც გამოეხმაურა. ამ გარემოებამ ვანო ნანიშვილი მეტად შეაწუხა. ყველანი დავინტერესდით, თუ რა პასუხს გასცემდა ქორის თავმჯდომარე მომჩივნას და რა ზომებს მიიღებდა ამ საკითხის გადასაწყვეტად. ვ. ნანიშვილმა, ქორის სამართლიანი და ავტორიტეტული გადაწყვეტილების დასაცავად ერთ საუკეთესო გამოსავალს მიმართა. მან თხოვა მოცეკვავე ვაჟს ასულიყო სცენაზე და რამდენიმე წუთით ქორის თავმჯდომარის ადგილზე დაეშვადა. ვაჟმა ცოტა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა ვანოს წინადადებას დაემორჩილებოდა. ვ. ნანიშვილი კი, რომელიც კობტად შეკერილ ჩოხა-ახალუში იყო გამოწყობილი, მივიდა მელდუღეუბთან და თავაზიანად თხოვა ცეკვა „ქართლის“ მგლოდის დაცვა.

ძნელია იმ მომხიბვლელი და თავდაპირველი მოძრაობის აღწერა ცეკვა „ქართული“, რაც ვანო ნანიშვილმა ახასიათებდა. პირველი ნახიჯის გადადგმისა და მისი ხელეების ვალისთხაზე ჩვენს წინ აღიმართა რინდული გამომეტყველები და თავაზიანობის გამომსახებელი აღმართი, რომელიც თითქმის ნავით მიუტრავდა და ტანის ზედა ნაწილს ერთ დონეზე უმოძრაოდ მიაქროლებდა. იგი ჯერ დამკერვლებს მიუახლოვდა. წინ რამდენიმე წამით ოსტატური ვაჟმა გაკეთა და შემდეგ ისევ წრეს დაურა. განსაკუთრებით მომხიბვლელი და წარმატაცი იყო, როდესაც სცენის სიღრმიდან ჩვენსკენ პირდაპირ დადგა და სრიალა გასმით წინ წამოსვლა იყო. შუა წრეში ნახევრად შებრუნდა, რამდენიმე წამით ვვრდებდა ჩაკერით სვლა გააკეთა, ისევ პირდაპირ გავისწორდა, ადგილზე კიდევ რამდენიმე მომავლეული ვაჟმა დაიკრა, ღრმა პატვისცემის ნიშნად მოკრძალებით თავი ძივს დახარა და ცეკვა დაამთავრა. აღტაცებულმა საზოგადოებამ ვანო ნანიშვილი მეტუხარე ტაშით დააჯილდოვა. ვაისს შეძახილები დიდხანს არ დამცხრალა. მეტად წარმატაცი და წარუხედილი იყო ქართული ცეკვის ის პოეტური სილამაზე, რაც ჩვენს მაშინ ვანო ნანიშვილის შესრულებით განვიცადეთ. უკვე ყველასათვის ნათელი გახდა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ცეკვა „ქართული“. ხანგრძლივი ტაშის გრიალში და ვაისს შეძახილებში ვერც კი ვავიგეთ როდის, ან როგორ გაიპარა სცენიდან პრეტენზიის ქმონე მოცეკვავე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პროფესიული ხელოვნების და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებამ მრავალი სახელოვანი ქორეოგრაფი — შემსრულებელი გამოავლინა.

ამ სტატიის ამოცანა არის განიხილოს პროფესიული ქორეოგრაფიული ხელოვნება, მაგრამ არ შემოიძლია გავკერით მინც არ ვახსენო ქორეოგრაფიული დარგის ის დიდი მოღვაწე, რომელმაც თავისი მაღალი მხატვრული შემოქმედებით განვითარა და მოწინავეთა რიგებში ჩააყენა ქართული ბალეტი. ეს არის ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდოსტატი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი. მისი მაღალი ნიჭი, დაუმრეტელი ენერჯია, შემოქმედებითი ფანტაზია და ტალანტი მრავალჯერ გამოვლინებულა და ამტკიცებულა ქართული პროფესიული ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდი ტილოების შესაქმნელად. ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით დაიწერა და დაიდგა რამდენიმე



თ. შინზამუელი

გვამი (სერიიდან "თუშეთი")

6



გ. როინიშვილი

საბლსაყენ

ნიმე საუკეთესო ქართული ბალეტი. ვახტანგ შაბუკიანის სახალხო ხელოვნება განსაკუთრებით იმით გამოირჩევა, რომ მის ძირითად საფუძვალს ყოველთვის ქართული ხალხური ქორეოგრაფია წარმოადგენს.

გუნდრულები რა ხალხურ ქორეოგრაფიას, საჭიროდ მიმაჩნია აღვინიშო ამ დარგის მოწინავე და თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც თავიანთი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური ცეკვების აღდგენისა და მათი განვითარების საქმეში.

